

საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო

(სადს

საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს ანტი-დოპინგური წესები 2021

(2021 წლის მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის საფუძველზე)

სარჩევი

შესავალი

წინასიტყვაობა 3

კოდექსის და სადს ანტი-დოპინგური წესების აუცილებლობის ფუნდამენტური დასაუთება...3

ეროვნული ანტი-დოპინგური პროგრამა 5

წინამდებარე ანტი-დოპინგური წესების მოცულობა 5

მუხლი 1 ანტი-დოპინგური წესების გამოყენება 5

მუხლი 2 ანტი-დოპინგური წესების დარღვევის განმარტება 8

მუხლი 3 მტკიცების ტვირთი 14

მუხლი 4 აკრძალვების ნუსხა 16

მუხლი 5 ტესტირება და გამოკვლევა Eრორ! Bოკმარკ ნოტ დეფინედ.

მუხლი 6 სინჯების ანალიზი 27

მუხლი 7 შედეგების ანალიზი Eრორ! Bოკმარკ ნოტ დეფინედ.

მუხლი 8 მიუკერძოებელიგანხილის უფლება 37

მუხლი 9 ინდივიდუალური შედეგების ავტომატური დისკვალიფიკაცია!

მუხლი 10 სანქციები ცალკეული პირებისათვის

მუხლი 11 ანტი-დოპინგური წესების დარღვევის შედეგების ასახვა გუნდზე 55

მუხლი 12 ეროვნული სპორტული ფედერაციების მიმართ დაწესებული სანქციებუსა და ჯარიმების შეფასება 56

მუხლი 13 აპელაციები 56

მუხლი 14 კონფიდენციალობა და შეტყობინება 64

მუხლი 15 გადაწყვეტილებების მიღება და აღიარება 67

მუხლი 16	სადს-ის ანტი-დოპინგური წესების დანერგვა და ეროვნული ფედერაციების ვალდებულები	68
მუხლი 17	სასარჩელო დროგადასულობის კანონი	69
მუხლი 18	სადს-ოს ანგარიშების შესაბამისობა მადს –ის მოთხოვნებთან	69
მუხლი 19	განათლება	69
მუხლი 20	ანტი-დოპინგური წესების ცვლილებები და მათი ინტერპრეტაცია	70
მუხლი 21	კოდექსის ინტერპრეტაცია	71
მუხლი 22	სპორტსმენების და სხვა პირების დამატებითი როლები და მოვალეობები	72
დანართი 1	განმარტებები	74
დანართი 2	მე-10 მუხლის გამოყენების მაგალითები	85

საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტო (სადს)

ანტიდოპინგური წესები 2021

შესავალი

წინასიტყვაობა

წინამდებარე ანტიდოპინგური წესები მიღებულია და სრულდება მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის ფარგლებში სადს-ის მიერ აღებული ვალდებულებების შესაბამისად და სადს-ის მხარდასაჭერად, მისი მუდმივი ძალისხმევისათვის, საქართველოში, სპორტში დოპინგის აღმოსაფხვრის მიზნით.

წინამდებარე ანტიდოპინგური წესები განსაზღვრავენ ნებისმიერი სპორტული სახეობის განხორციელების პირობებს. ისახავენ რა მიზნად ანტიდოპინგური პრინციპების გლობალურ და ჰარმონიულ გაძლიერებას, ეს წესები თავისი ბუნებით განსხვავდება სისხლის სამართლის და სამოქალაქო კანონებისაგან და ამდენად არ ექვემდებარება ნებისმიერ ეროვნულ მოთხოვნებსა და სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეების მიმართ მოქმედ სამართლებრივ სტანდარტებს და არ იზღუდება ამ სტანდარტებით. მოცემული საქმის ფაქტებისა და კანონის განხილვისას, ნებისმიერმა სასმართლომ, საარბიტრაჟო და სხვა განაჩენის გამომტანმა ორგანომ უნდა იცოდეს და პატივი სცეს წინამდებარე ანტიდოპინგური წესების განსხვავებულ ბუნებას კოდექსის აღსრულების ფარგლებში, და იმ ფაქტს, რომ ეს წესები წარმოადგენს მსოფლიო პარტნიორთა ფართო სპექტრის კონსენსუსს იმის თაობაზე, თუ რა არის საჭირო სამართლიანი სპორტის უზრუნველსაყოფად და დასაცავად.

როგორც კოდექსშია მოცემული, სადსი პასუხისმგებელია დოპინგ-კონტროლის ყველა ასპექტის ჩატარებაზე. დოპინგის კონტროლის ან ანტიდოპინგური განათლების ნებისმიერი ასპექტი შეიძლება სადს-ს მიერ გადაეცეს დელეგირებულ მესამე მხარეს, თუმცა სადსმა უნდა მოთხოვოს დელეგირებულ მესამე მხარეს შეასრულოს ასეთი ასპექტები კოდექსის, საერთაშორისო სტანდარტებისა და ამ ანტიდოპინგური წესების შესაბამისად. სადსი ყოველთვის რჩება სრული პასუხისმგებელი, რომ უზრუნველყოს ნებისმიერი დელეგირებული ასპექტის შესრულება კოდექსის შესაბამისად.

კოდექსისა და სადს-ის ანტიდოპინგური წესების ფუნდამენტური დასაბუთება

ანტიდოპინგური პოგრამების დანიშნულებაა შეინარჩუნოს ღირებულებები, რომლებიც წარმოადგენენ სპორტის ორგანულ ნაწილს. ამ ორგანულ ნაწილს ხშირად მოიხსენიებენ როგორც “სპორტის სულს”. ეს ოლიმპიზმის დედაარსია; კაცობრიობის მისწრაფება უპირატესობისაკენ თვითოეული ინდივიდუუმის ბუნებრივი ტალანტების სრულყოფის

საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტო (სადს)

ანტიდოპინგური წესები 2021

მეშვეობით სწორედ რომ პატიოსანი თამაშის წინაპირობაა. სპორტის სული ადამიანის სულიერი სამყაროს, სხეულისა და გონების ზეიმია; იგი აირეკლება ფასეულობებში, რომლებიც თან ახლავს სპორტს, მათ შორისაა:

- ეთიკა, სამართლიანი თამაში, პატიოსნება
- ჯანმრთელობა
- უბადლო შესრულება
- ხასიათი და განათლება
- გართობა და სიხარული
- გუნდური თამაში
- ერთგულება და პასუხისმგებლობა
- წესებისა და კანონებისადმი პატივისცემა
- საკუთარი მთავის და სხვა მონაწილეების პატივისცემა
- ვაჟკაცობა
- ერთობა და სოლიდარობა

დოპინგი მთელი თავისი არსით სპორტის სულის აბსოლუტური ანტაგონისტია.

ეროვნული ანტიდოპინგური პროგრამა

საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო (სადსი) დაარსებულია კერძო პირების მიერ, რომელთაც გააჩნიათ ანტი-დოპინგური საქმიანობის გამოცდილება და არ აქვთ რეალური ინტერესთა კონფლიქტი ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი ეროვნულ ფედერაციების, საერთაშორისო ფედერაციების, ათლეტების და სპორტთან დაკავშირებული სხვა პირების მიმართ, საქართველოს „მეწარმეთა კანონი“-ს და საქართველოს კანონის „საჯარო რეესტრი“-ს შესაბამისად, რომლის მიზანია იმოქმედოს, როგორც ეროვნულმა ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ, როგორც ასეთი, და კოდექსის 20.5.1 მუხლის შესაბამისად, სადს-ს აქვს განსაკუთრებული უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, რომ იყოს დამოუკიდებელი თავის ოპერატიულ გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაში სპორტისგან და მთავრობისგან შეზღუდვის გარეშე. ეს მოიცავს ნებისმიერი პირის მიერ მის ოპერატიულ გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაში მონაწილეობის აკრძალვას, რომელიც ამავე დროს მონაწილეობს ნებისმიერი საერთაშორისო ფედერაციის, ეროვნული ფედერაციის, ძირითადი

ღონისძიებების ორგანიზაციის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტის მართვაში ან საქმიანობაში. ან სამთავრობო განყოფილებაში, რომელიც პასუხისმგებელია სპორტზე ან ანტიდოპინგზე.

ანტიდოპინგური წესების მოქმედების სფერო

ანტიდოპინგური წესები ეხება:

(ა) სადსი, მისი გამგეობის წევრების, დირექტორების, ოფიცრებისა და განსაზღვრული თანამშრომლების ჩათვლით, დელეგირებული მესამე პირებისა და მათი თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მონაწილეობენ დოპინგ-კონტროლის ნებისმიერ ასპექტში;

ბ) საქართველოს ეროვნული ფედერაციები, მათ შორის მათი გამგეობის წევრები, დირექტორები, ოფიცრები და განსაზღვრული თანამშრომლები, დელეგირებული მესამე მხარეები და მათი თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობენ დოპინგ-კონტროლის ნებისმიერ ასპექტში;

გ) შემდეგ სპორტსმენებს, სპორტსმენთა დამხმარე პერსონალს და სხვა პირებს (მათ შორის, დაცულ პირებს), თითოეულ შემთხვევაში, არის თუ არა ასეთი პირი საქართველოს მოქალაქე ან რეზიდენტი;

(i) ყველა სპორტსმენი და სპორტსმენის დამხმარე პერსონალი, რომელიც არის საქართველოში რომელიმე ეროვნული ფედერაციის ან საქართველოში რომელიმე ეროვნული ფედერაციის ნებისმიერი წევრი ან შვილობილი ორგანიზაციის წევრი ან ლიცენზიის მფლობელი (მათ შორის ნებისმიერი კლუბები, გუნდები, ასოციაციები ან ლიგები);

(ii) ყველა სპორტსმენი და სპორტსმენის დამხმარე პერსონალი, რომელიც მონაწილეობს ისეთ ღონისძიებებში, შეჯიბრებებში და სხვა ღონისძიებებში, რომლებიც ორგანიზებულია, იწვევა, უფლებამოსილია ან აღიარებულია საქართველოში ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ, ან საქართველოში ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის ნებისმიერი წევრის ან შვილობილი ორგანიზაციის მიერ (ნებისმიერი კლუბების, გუნდების, ასოციაციების ან ლიგების ჩათვლით), სადაც არ უნდა ჩატარდეს;

(iii) ნებისმიერი სხვა სპორტსმენის ან სპორტსმენის დამხმარე პირი ან სხვა პირი, რომელიც აკრედიტაციის, ლიცენზიის ან სხვა სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე ან სხვაგვარად ექვემდებარება საქართველოში რომელიმე ეროვნული ფედერაციის ან რომელიმე წევრის ან შვილობილი ორგანიზაციის უფლებამოსილებას. ნებისმიერი ეროვნული

ფედერაციის საქართველოში (ნებისმიერი კლუბების, გუნდების, ასოციაციების ან ლიგების ჩათვლით) ანტიდოპინგური მიზნებისათვის; და

(iv) ყველა სპორტსმენი და სპორტსმენის დამხმარე პერსონალი, რომელიც მონაწილეობს ნებისმიერ საქმიანობაში, ნებისმიერ ღონისძიებაში, რომელიც ორგანიზებულია, ტარდება, მოწვეულია ან უფლებამოსილია ეროვნული ღონისძიების ან ეროვნული ლიგის ორგანიზატორის მიერ, რომელიც არ არის დაკავშირებული ეროვნულ ფედერაციასთან.

(v) რეკრეაციული სპორტსმენები: ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მონაწილეობს ან ჩართულია სპორტულ ან ფიტნეს საქმიანობაში რეკრეაციული მიზნებისთვის, მაგრამ არ მონაწილეობს ეროვნული ფედერაციის ან ფედერაციის წევრ ან არაწევრ ასოციაციების, ორგანიზაციების, კლუბის, გუნდის ან ლიგის მიერ მიერ ორგანიზებულ, აღიარებულ, ან მასპინძელ სპორტულ ღონისძიებებში და ვინც ანტიდოპინგური წესის დარღვევამდე ხუთი (5) წლის განმავლობაში არ ყოფილა საერთაშორისო დონის სპორტსმენი (როგორც ამას განსაზღვრავს თითოეული საერთაშორისო ფედერაცია საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად) ტესტირება და გამოძიება) ან ეროვნული დონის სპორტსმენი (სადს-ის ან სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული, ტესტირებისა და გამოკვლევების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად); არ წარუდგენია საქართველო ან რომელიმე სხვა ქვეყანა საერთაშორისო დონისძიებაში ღია კატეგორიაში; ან არ არის შეტანილი არცერთი რეგისტრირებული ტესტირების სიაში ან სხვა ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის სიაში, რომელსაც აწარმოებს ნებისმიერი საერთაშორისო ფედერაცია, სადს ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია.

(დ) ყველა სხვა პირი, ვის შესახებ კოდექსი სადს-ს უფლებამოსილებას ანიჭებს, მათ შორის ყველა სპორტსმენი, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები ან რეზიდენტები, და ყველა სპორტსმენი, რომლებიც იმყოფებიან საქართველოში, შეჯიბრებისათვის, ტრენინგისათვის ან სხვა მიზნებისათვის.

ითვლება რომ, ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი პირი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ან ჩართულია, საქართველოში სპორტში ეთანხმება აღნიშნულ ანტიდოპინგური წესებს და ვალდებულია არიან დაიცვან ის და დაემორჩილონ სადს-ის უფლებამოსილებას რომ უზრუნველყოს ამ ანტი - დოპინგის წესების დაცვა, მათ დარღვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი შედეგების ჩათვლით, და კოდექსის მე -8 და მე -13 მუხლებში მითითებულ სადისციპლინო კომისიის იურისდიქციას, რომ განიხილონ და დაადგინონ ამ ანტიდოპინგური წესებით გათვალისწინებული საქმეები და საჩივრები.

ზემოთ მოცემული სპორტსმენების საერთო სიიდან, ის სპორტსმენები რომლებიც ვალდებულია არიან დაიცვან საქართველოს ანტიდოპინგური წესები, ჩაითვლებიან ეროვნული დონის სპორტსმენებად და შესაბამისად, ამ ანტიდოპინგური წესების სპეციფიკური დებულებები, რომლებიც გამოიყენება ეროვნული დონის სპორტსმენებისთვის

(მაგ., ტესტირება, TUE- ები, ადგილსამყოფელი და შედეგების მენეჯმენტი) ვრცელდება ამ სპორტსმენებზე:

ა) სპორტსმენები, რომლებიც არიან საქართველოში ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის ან ეროვნულ ფედერაციასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციის წევრები ან ლიცენზიების მფლობელები, ასოციაციების, კლუბების, გუნდების ან ლიგების ჩათვლით.

ბ) სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობენ ნებისმიერ შეჯიბრში, ღონისძიებაში ან საქმიანობაში, რომელსაც ორგანიზებას უწევს, აღიარებს ან მასპინძლობს ეროვნული ფედერაცია, ნებისმიერი ასოცირებული ასოციაცია, ორგანიზაცია, კლუბი, გუნდი ან ლიგა ან მთავრობა საქართველოში.

გ) ნებისმიერი სხვა სპორტსმენი, რომელიც აკრედიტაციის, ლიცენზიის ან სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეთანხმების შესაბამისად, შედის საქართველოში ეროვნული ფედერაციის ან მასთან დაკავშირებული ასოციაციის, ორგანიზაციის, კლუბის, გუნდის ან ლიგის კომპეტენციაში.

დ) სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობენ ნებისმიერ ღონისძიებაში, რომელიც ორგანიზებულია, აღიარებულია ან მასპინძლობს ეროვნული ღონისძიების ორგანიზატორის ან სხვა ეროვნული ლიგის მიერ და რომელიც სხვაგვარად არ არის დაკავშირებული ეროვნულ ფედერაციასთან.

მუხლი 1. დოპინგის განმარტება

დოპინგი განიმარტება, როგორც ერთი ან მეტი ანტიდოპინგური წესის დარღვევის არსებობა, რაც განმარტებულია კოდექსის 2.1-დან 2.11 მუხლების მიხედვით.

მუხლი 2. ანტიდოპინგური წესების დარღვევა

ამ მუხლის მიზანია, განსაზღვროს გარემოებები და ქმედება, რომელიც გულისხმობს ანტიდოპინგური წესების დარღვევას. საქმეზე მოსმენა წარიმართება იმ მტკიცებულებების საფუძველზე, რაც ადასტურებს ამ განსაზღვრული ერთი ან რამოდენიმე წესის დარღვევას;

სპორტსმენი ან სხვა პირი პასუხისმგებელია იცოდეს, რა იგულისხმება ანტიდოპინგური წესების დარღვევაში და იმ ნივთიერებებისა და მეთოდების შესახებ, რომელიც შეტანილია აკრძალულ სიაში.

ანტიდოპინგური წესების დარღვევად ითვლება:

საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტო (სადს)

ანტიდოპინგური წესები 2021

2.1 სპორტსმენის სინჯში აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტების ან მარკერების არსებობა:

2.1.1 სპორტსმენი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ აკრძალული ნივთიერება არ მოხვდება მის ორგანიზმში. სპორტსმენი პასუხისმგებელია ნებისმიერ აკრძალულ ნივთიერებაზე ან მის მეტაბოლიტებსა და მარკერებზე, რომელიც მის სინჯში აღმოჩნდება. შესაბამისად, არ არის აუცილებელი რომ სპორტსმენის მხრიდან დამტკიცდეს განზრახვა, ბრალი, დაუდევრობა ან წინასწარი შეცნობით გამოყენება, რათა დადგინდეს ანტიდოპინგური წესების დარღვევა 2.1 მუხლის შესაბამისად.¹

2.1.2 2.1 მუხლში მითითებული ანტიდოპინგური წესების დარღვევის საკმარისი მტკიცებულება დგინდება შემდეგნაირად: როდესაც სახეზეა აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტების ან მარკერების არსებობა სპორტსმენის სინჯში და როდესაც სპორტსმენი უარს ამბობს ბ სინჯის ანალიზზე და შესაბამისად, ბ სინჯის ანალიზი არ ტარდება; ან როდესაც სპორტსმენის ბ სინჯის ანალიზი ტარდება და ბ სინჯის ანალიზი ადასტურებს აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტების ან მარკერების არსებობას, რომელიც აღმოჩნდა სპორტსმენის ა სინჯში, ან როდესაც სპორტსმენის ა და ბ სინჯი იყოფა ორ ნაწილად და გაყოფილი სინჯის მეორე ნაწილი ადასტურებს პირველ ნაწილში აღმოჩენილი აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტების ან მარკერების არსებობას ან სპორტსმენი უარს ამბობს გაყოფილი სინჯის მეორე ნაწილის ანალიზზე.²

2.1.3 გარდა იმ ნივთიერებებისა, რომელთათვისაც აკრძალულ სიაში ან ტექნიკურ დოკუმენტში განსაზღვრულია ზღვრული ოდენობა, სპორტსმენის ნიმუშში აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტების ან მარკერების ნებისმიერი წარმოდგენილი რაოდენობის არსებობა წარმოადგენს ანტიდოპინგური წესის დარღვევას.

2.1.4 2.1 მუხლით დადგენილი ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით, აკრძალული სიით, საერთაშორისო სტანდარტებით ან ტექნიკური

¹ [კომენტარი 2.1.1 მუხლზე: ამ მუხლის მიხედვით, სახეზეა ანტიდოპინგური წესების დარღვევა სპორტსმენის ბრალის მიუხედავად. ეს მუხლი ხშირად არის მითითებული CAS-ის გადაწყვეტილებებში, როგორც „მკაცრი პასუხისმგებლობა“. სპორტსმენის ბრალეულობა მხედველობაში მიიღება, როცა დგინდება ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები მე-10 მუხლის შესაბამისად. CAS-ის მიერ ხშირად ხდება ამ პრინციპის გამოყენება]

² [კომენტარი 2.1.2 მუხლზე: ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება, შეუძლია თავისი დისკრეციის შესაბამისად, მოახდინოს ბ სინჯის ანალიზი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სპორტსმენი არ ითხოვს ბ სინჯის ანალიზს]

დოკუმენტებით შესაძლებელია დადგინდეს სპეციალური კრიტერიუმები ცალკეული აკრძალული ნივთიერებების ანგარიშგების ან შეფასებისთვის.

2.2. სპორტსმენის მიერ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება ან გამოყენების მცდელობა³

2.2.1 სპორტსმენის პირადი ვალდებულებაა, უზრუნველყოს რომ არანაირი აკრძალული ნივთიერება არ მოხვდება მის ორგანიზმში და რომ არანაირი აკრძალული მეთოდი არ იქნება გამოყენებული. შესაბამისად, არ არის სავალდებულო რომ სპორტსმენის მხრიდან დამტკიცდეს განზრახვა, ბრალი, დაუდევრობა ან წინასწარ შეცნობით, რათა დადგინდეს ანტიდოპინგური წესების დარღვევა აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენების გამო.

2.2.2 აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის წარმატებით ან წარუმატებლობით გამოყენებას ან გამოყენების მცდელობას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. საკმარისია, რომ სახეზეა აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება ან გამოყენების მცდელობა, რათა დადგინდეს ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტი.⁴

³ [კომენტარი 2.2. მუხლზე: ყოველთვის არსებობდა შემთხვევები, როდესაც აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება ან გამოყენების მცდელობის დადგენა შესაძლებელი იყო სანდო წყაროებით, ისე როგორც ეს მითითებულია 3.2 მუხლის კომენტარში, იმ წესისგან განსხვავებით, როდესაც საჭიროა ანტიდოპინგური წესების დარღვევის მტკიცებულება 2.1. მუხლის შესაბამისად, გამოყენება ან გამოყენების მცდელობა შეიძლება დადგინდეს სხვა სანდო საშუალებებით, როგორიცაა არის მაგალითად სპორტსმენის აღიარება, მოწმის ჩვენება, დოკუმენტური მასალა, გრძივი პროფილირება, მათ შორის მონაცემების შეგროვება სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტიდან, ან სხვა ანალიტიკური ინფორმაცია, რომელიც ვერ ადასტურებს სპორტსმენის სინჯში აკრძალული ნივთიერების არსებობას 2.1. მუხლის შესაბამისად; მაგალითად, გამოყენება შეიძლება დადგინდეს სანდო ანალიტიკური მონაცემების საფუძველზე ა სინჯის ანალიზით (ბ სინჯის ანალიზის გარეშე) ან მხოლოდ ბ სინჯის ანალიზით, როდესაც ანტიდინგური სააგენტო წარმოადგენს დამაკმაყოფილებელ განმარტებას სხვა სინჯში ამ დადასტურების არ არსებობის შესახებ]

⁴ [კომენტარი მუხლი 2.2.2-ზე: აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენების მცდელობის დემონსტრირებას სჭირდება სპორტსმენის განზრახვის არსებობა. ის ფაქტი, რომ ამ მუხლისთვის საჭიროა სპორტსმენის განზრახვის დადასტურება, არ გამორიცხავს „მკაცრი პასუხისმგებლობის“ პრინციპს რომელიც დადგენილია 2.1 მუხლით და 2.2 მუხლით აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენების შესახებ. სპორტსმენის მიერ ანტიდოპინგური ნივთიერების გამოყენება წარმოადგენს ანტიდოპინგური წესების დარღვევას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ნივთიერება არ არის აკრძალული არასაშეჯიბრო პერიოდში და სპორტსმენი მას მიიღებს არასაშეჯიბრო პერიოდში. (თუმცა, აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტების ან მარკერების სინჯში არსებობა რომელიც აღებულია საშეჯიბრო პერიოდში წარმოადგენს

2.3 სპორტსმენის მიერ სინჯის ჩაბარების თავის არიდება, უარი სინჯის ჩაბარებაზე ან სინჯის ჩაგდება

პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული შეტყობინების შემდეგ, სინჯის ჩაბარებისთვის თავის არიდება, სინჯის ჩაბარებაზე უარი ან სინჯის ჩაგდება შესაბამისი დასაბუთების გარეშე⁵

2.4 სპორტსმენის მიერ ადგილსამყოფელის შესახებ შეუტყობინებლობა

რეგისტრირებულ ტესტირების სიაში მყოფი სპორტსმენის მხრიდან ნებისმიერ სამი ტესტის ჩაუბარებლობა ან ადგილსამყოფელის შესახებ შეუტყობინებლობა, როგორც ეს განმარტებულია შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტებით, 12 თვიანი პერიოდის მანძილზე.

2.5 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ დოპინგ კონტროლის ნებისმიერი ეტაპზე ჩარევა ან ჩარევის მცდელობა

2.6. სპორტსმენის ან სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ფლობა

2.6.1 სპორტსმენის მიერ ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის ფლობა საშეჯიბრო პერიოდში, ან სპორტსმენის მიერ ისეთი აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის ფლობა არასაშეჯიბრო პერიოდში, რომელიც აკრძალულია არასაშეჯიბრო პერიოდში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სპორტსმენი დაადასტურებს რომ ამგვარი ფლობა შეესაბამება 4.4. მუხლის მიხედვით დადგენილ თერაპიულ დოზირებას გამოყენების გამონაკლისს, ან წარმოადგენს სხვა მისაღებ გამამართლებელ განმარტებას.⁶

ანტიდოპინგური წესების დარღვევას 2.1 მუხლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, როდის მოხდა ამ ნივთიერების მიღება)

⁵ [კომენტარი მუხლი 2.3-ზე: მაგალითად სახეზე იქნება ანტიდოპინგური წესების დარღვევა, სინჯის ჩაბარებაზე თავის არიდების გამო, თუ დადგინდება, რომ სპორტსმენი მიზანმიმართულად არიდებდა თავს დოპინგ კონტროლის წარმომადგენელს, რათა თავი აერიდებინა შეტყობინების ან ტესტირებისთვის. სინჯის ჩაგდება შეიძლება გამოწვეული იყოს განზრახვით ან დაუდევრობით, ხოლო თავის არიდება და უაყროფა სპორტსმენის მიერ განზრახულ ქმედებაზე მიუთითებს.]

⁶ [კომენტარი მუხლზე 2.6.1 და 2.6.2 მისაღები გამამართლებელი განმარტება არ გულისხმობს, მაგალითად, აკრძალული ნივთიერების ყიდვას ან ფლობას იმ მიზნით, რომ ის გადაეცეს მეგობარს ან ნათესავს, გარდა სათანადო სამედიცინო მდგომარეობისა, როდესაც პირს ჰქონდა ექიმის მიერ გაცემული რეცეპტი, მაგალითად დიაბეტიანი ბავშვისთვის ინსულინის ყიდვა]

2.6.2 სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ საშეჯიბრო პერიოდში ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ფლობა, ან სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ არასაშეჯიბრო პერიოდში ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ფლობა, რომელიც აკრძალულია არასაშეჯიბრო პერიოდში და დაკავშირებულია სპორტსმენტთან, შეჯიბრთან ან ვარჯიშთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სპორტსმენის დამხმარე პერსონალი დაადასტურებს, რომ ეს ფლობა შეესაბამება თერაპიული გამოყენების გამონაკლისს, რომელიც მინიჭებული აქვს სპორტსმენს 4.4 მუხლის შესაბამისად ან წარმოადგენს სხვა გამამართლებელ განმარტებას.⁷

2.7 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის ტრეფიკინგი ან ტრეფიკინგის მცდელობა

2.8 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ადმინისტრირება ან ადმინისტრირების მცდელობა სხვა ნებისმიერი სპორტსმენის მიმართ საშეჯიბრო პერიოდში, ან ნებისმიერი სპორტსმენისთვის არასაშეჯიბრო პერიოდში ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ადმინისტრირება ან ადმინისტრირების მცდელობა, რომელიც აკრძალულია არასაშეჯიბრო პერიოდში.

2.9 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ თანამონაწილეობა ან თანამონაწილეობის მცდელობა

ანტიდოპინგური წესების დარღვევაში დახმარება, წახალისება, ხელშეწყობა, თანამონაწილეობა, შეთქმულება ან დამალვა და სხვა ნებისმიერი სახის განზრახ თანამონაწილეობა ან თანამონაწილეობის მცდელობა, და სხვა პირის მიერ მუხლი 10.14.1-ის დარღვევა ან დარღვევის მცდელობა.⁸

⁷ [კომენტარი მუხლებზე 2.6.1 და 2.6.2: გამამართლებელი განმარტება, შეიძლება იყოს მაგალითად, ა) როდესაც სპორტსმენს ან გუნდის ექიმს თან აქვს აკრძალული ნივთიერება ან მეთოდი მწვავე და გადაუდებელი შემთხვევისთვის (მაგალითად, ეპინეფრინის ინჟექტორი), ან ბ) როდესაც სპორტსმენი ფლობს აკრძალულ ნივთიერებას ან მეთოდს თერაპიული მიზნებისთვის, სულ მცირე პერიოდით ადრე, ვიდრე მიიღებს თერაპიული გამოყენების გამონაკლისს]

⁸ [კომენტარი მუხლზე 2.9: თანამონაწილეობა ან თანამონაწილეობის მცდელობა შეიძლება მოიცავდეს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ დახმარებას]

2.10 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ აკრძალული კავშირი

2.10.1 ანტიდოპინგური ორგანიზაციის უფლებამოსილების ქვეშ მყოფი სპორტსმენის ან სხვა პირის კავშირი პროფესიონალურ ან სპორტთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის სახით სპორტსმენის დამხმარე პერსონალთან, რომელიც:

2.10.1.1 ექვემდებარება ანტიდოპინგური ორგანიზაციის უფლებამოსილებას და იხდის დისკვალიფიკაციის პერიოდს ან

2.10.1.2 არ ექვემდებარება ანტიდოპინგური ორგანიზაციის უფლებამოსილებას და დისკვალიფიკაცია არ იყო გამოყენებული კოდექსით დადგენილი შედეგების მართვის პროცესში, ხოლო სისხლის სამართლის, დისციპლინურ ან პროფესიულ წარმოებისას აღმოჩნდა რომ კოდექსით დადგენილი წესების გამოყენების შემთხვევაში მას დაუდასტურებოდა ანტიდოპინგური წესების დარღვევა. დისკვალიფიკაციის სტატუსი ასეთი პირისთვის უნდა გაგრძელდეს კიდევ 6 წლით, სისხლის სამართლის, პროფესიული ან დისციპლინური გადაწყვეტილების მიღებიდან ან მას შემდეგ რაც მას დაეკისრა სისხლის სამართლის, დისციპლინური ან პროფესიული სანქცია; ან

2.10.1.3 შუამავლობს ან მოქმედებს ისეთი პირის სახელით, რომელიც აღწერილია მუხლებში 2.10.1.1 და 2.10.1.2.

2.10.2 იმისთვის რომ დადგინდეს ანტიდოპინგური წესების დარღვევა 2.10 მუხლის მიხედვით, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაადასტუროს, რომ სხვა პირმა იცოდა სპორტსმენის დამხმარე პერსონალის დისკვალიფიკაციის შესახებ.

ამ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი უნდა იყოს სპორტსმენზე ან სხვა პირზე, რომლებმაც უნდა დაადასტურონ რომ 2.10.1.1 ან 2.10.1.2 მუხლებით აღწერილი ნებისმიერი კავშირი სპორტსმენის დამხმარე პერსონალთან არ იყო პროფესიულ ანდაკავშირებული სპორტთან და/ან ამგვარი კავშირის თავიდან აცილება გონივრულად შეუძლებელი იყო.

ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა, რომელმაც იციან სპორტსმენის დამხმარე პერსონალის შესახებ, რომელიც პასუხობს 2.10.1.1 და 2.10.1.2 მუხლებში აღწერილ კრიტერიუმებს, უნდა აცნობოს ამის შესახებ მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას.⁹

⁹ [კომენტარი მუხლზე 2.10: სპორტსმენები ან სხვა პირები არ უნდა თანამშრომლობდნენ იმ მწვრთნელებთან, ტრენერებთან, ექიმებთან ან სხვა დამხმარე პერსონალთან, რომლებიც დისკვალიფიცირებულები არიან ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო ან რომლებსაც წაყენებული აქვთ სისხლის სამართლებრივი სასჯელი ან დისციპლინური სახდელი დოპინგთან

2.11 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ განხორციელებული ქმედებები, რაც აფერხებს და ხელს უშლის შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას

როდესაც ამგვარი ქმედება არ წარმოადგენს 2.5 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას, მაშინ:

2.11.1 ნებისმიერი ქმედება, რომელიც ემუქრება ან აშინებს სხვა პირს, რომელსაც სურს, კეთილსინდისიერად მიაწოდოს ინფორმაცია მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, კანონის აღმასრულებელს, მარეგულირებელ ან პროფესიულ დისციპლინურ ორგანოს, საქმის განმხილველ ორგანოს, ან პირს, რომელიც ატარებს გამოძიებას მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსა ან ანტიდოპინგური ორგანიზაციის სახელით ანტიდოპინგური წესების ან კოდექსთან შეუსაბამობის შესაძლო ფაქტზე,

2.11.2 პირის დასჯა, ვინც კეთილსინდისიერად მიაწოდა მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, კანონის აღმასრულებელს, მარეგულირებელ ან პროფესიულ დისციპლინურ ორგანოს, საქმის განმხილველ ორგანოს ან პირს, რომელიც ატარებს გამოძიებას მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსთვის ან ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის, მტკიცებულება ან ინფორმაცია რომელიც დაკავშირებულია ანტიდოპინგური წესების შესაძლო დარღვევასთან ან კოდექსთან შესაძლო შეუსაბამობასთან¹⁰

დაკავშირებით. ეს ასევე ეხება ურთიერთობას იმ სპორტსმენთან, რომელიც დისკვალიფიკაციის პერიოდში მუშაობს როგორც მწვრთნელი ან სპორტსმენის დამხმარე პერსონალი. ამგვარი კავშირების ზოგიერთი მაგალითია: ტრენინგის, სტრატეგიის, ტექნიკის, კვების რეჟიმის ან სამედიცინო რჩევის მიღება, ასევე თერაპია ან წამლების გამოწერა, ნებისმიერი სახის ადამიანის სხეულთან დაკავშირებული პროდუქტების მიწოდება ანალიზისთვის, ან სპორტსმენის დამხმარე პერსონალისთვის აგენტად ან წარმომადგენლად ყოფნის უფლების მინიჭება. აკრძალული ურთიერთობას/კავშირს არ არის აუცილებელი თან სდევდეს ფულადი კომპენსაცია. მაშინ როცა მუხლი 2.10 არ ავალდებულებს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას რომ შეატყობინოს სპორტსმენს ან სხვა პირს სპორტსმენის დამხმარე პერსონალის დისკვალიფიკაციის სტატუსის შესახებ, ამგვარი შეტყობინება, თუ იგი წარმოდგენილია, იქნება მნიშვნელოვანი მტკიცებულება იმისა, რომ სპორტსმენმა ან სხვა პირმა იცოდა სპორტსმენის დამხმარე პერსონალის დისკვალიფიკაციის სტატუსის შესახებ]

¹⁰ [კომენტარი მუხლზე 2.11.2 ამ მუხლის მიზანია, რომ დაიცვას ის პირები ვინც კეთილსინდისიერად აცნობებენ შესაბამის ორგანოს ანტიდოპინგური წესების შესაძლო დარღვევის შესახებ და არა იმ პირთა დასაცავად, ვინც ტყუილ ინფორმაციას აწვდის ასეთ ორგანოებს.]

2.11 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, დასჯა, მუქარა ან შეურაცხყოფის მიყენება პირისთვის გულისხმობს არაკეთილსინდისიერ ან არაპროპორციული პასუხის შემთხვევებს.¹¹

მუხლი 3 დოპინგის მტკიცებულება

3.1 მტკიცების ტვირთი და სტანდარტები

ანტიდოპინგური წესების დარღვევისას მტკიცების ტვირთი ეკისრება ანტიდოპინგურ ორგანიზაციას. მტკიცების სტანდარტი ითვალისწინებს ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ საქმის განმხილველი ორგანოსთვის მისაღებ დონეზე ანტიდოპინგური წესების დარღვევის დადასტურებას, წაყენებული ბრალდების სერიოზულობის გათვალისწინებით. მტკიცების ეს სტანდარტი ყველა შემთხვევაში აღემატება ალბათობის უბრალო ბალანსს, მაგრამ ნაკლებია ვიდრე მტკიცებულება გონივრული ეჭვის მიღმა.¹² იმ შემთხვევაში, როდესაც კოდექსით მტკიცების ტვირთი ეკისრება ანტიდოპინგური წესების დარღვევაში ეჭვმიტანილ სპორტსმენს ან სხვა პირს, რომელმაც უნდა უარყოს პრეზუმფცია ან დაადგინოს ფაქტების ან გარემოებების, მტკიცების სტანდარტი უნდა ეფუძნებოდეს ალბათობის ბალანსს, გარდა მუხლებით 3.2.2 და 3.2.3 გათვალისწინებული შემთხვევებისა.

¹¹ კომენტარი მუხლზე 2.11.2 დასჯა, მაგალითად, შეიძლება გულისხმობდეს ქმედებებს, რომლითაც ხდება ფიზიკური ან მენტალური კეთილდღეობაზე ზემოქმედება, ან აისახება შემტყობინებელი პირის, მისი ოჯახის ან მასთან დაკავშირებული პირების ეკონომიკურ ინტერესებზე. დასჯად არ ითვლება ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ კეთილსინდისიერების ფარგლებში ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე მითითება თვითონ შემტყობინებელი პირისთვის. მუხლი 2.11 მიზნებიდან გამომდინარე ეს შეტყობინება არაკეთილსინდისიერია, თუ პირმა იცის, რომ მისი ინფორმაცია არის მცდარი]

¹² [კომენტარი მუხლზე 3.1] მტკიცების ეს სტანდარტი რომელიც ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს, შეიძლება შედარდეს ქვეყნების უმეტესობაში გამოყენებულ სტანდარტებს, რომლებიც გამოიყენება პროფესიული გადაცდომების შემთხვევებში.]

3.2 ფაქტებისა და პრეზუმფციების დადგენის მეთოდები

ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტების დადგენა დასაშვებია ნებისმიერი სანდო საშუალებებით, მათ შორის აღიარებებით.¹³ დოპინგთან დაკავშირებულ საქმეებში მისაღებია მტკიცებულებებისთვის დადგენილი შემდეგი წესები:

3.2.1 ანალიტიკური მეთოდები ან ზღვრული ოდენობები, რომელიც დადგენილია მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ შესაბამის სამეცნიერო წრესთან კონსულტაციის შემდეგ, ან რომელმაც გაიარა კოლეგიური შემოწმება, ითვლება მეცნიერულად დასაბუთებულად. ნებისმიერმა სპორტსმენმა ან სხვა პირმა, რომელიც ცდილობს ამ მეცნიერულად დადასტურებული პრეზუმფციის გარემოებების ან პრეზუმფციის მეცნიერული დასაბუთების უარყოფას, პირველ რიგში უნდა აცნობოს WADA-ს დავისა და დავის საფუძვლის შესახებ. პირველი ინსტანციის მოსმენის ორგანოს, სააპელაციო ორგანოს ან CAS-ს, საკუთარი ინიციატივით, ასევე შეუძლია WADA-ს აცნობოს ნებისმიერი ასეთი სადაო საკითხის შესახებ. WADA-ს მიერ ასეთი შეტყობინების და საქმის მასალების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში ექნება უფლება ჩაერთოს საქმეში როგორც მხარე, გამოცხადდეს როგორც სასამართლოს მეგობარი (amicus curiae) ან სხვაგვარად უზრუნველყოს მტკიცებულების წარდგენა. CAS-ის წინაშე წარდგენილ საქმეებში, WADA-ს თხოვნით, CAS კოლეგიამ უნდა დანიშნოს სამეცნიერო ექსპერტი, რომელიც პანელს დაეხმარება სადაო საკითხის შეფასებაში.¹⁴

3.2.2 WADA-ს მიერ აკრედიტირებული ლაბორატორიები ან სხვა ლაბორატორიები, რომლებიც აღიარებულია WADA-ს მიერ, ახორციელებენ სინჯის ანალიზს და მასთან დაკავშირებულ პროცედურებს ლაბორატორიებისთვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტის დაცვის პრეზუმფციით. სპორტსმენს ან სხვა პირს შეუძლია გაასაჩივროს ეს პრეზუმფცია, თუ

¹³ [კომენტარი მუხლზე 3.2: მაგალითად, ანტიდოპინგური ორგანიზაციის შეუძლია დაადასტუროს ანტიდოპინგური წესების დარღვევა მუხლი 2.2 შესაბამისად სპორტსმენის აღიარებების, მესამე პირთა სანდო ჩვენებების, სანდო დოკუმენტური მასალის, ა და ბ სინჯიდან მიღებული სანდო ანალიტიკური ინფორმაციის ან დასკვნების საფუძველზე, რომელიც კეთდება სპორტსმენის სისხლის ან შარდის ანალიზებიდან, მაგალითად სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტიდან]

¹⁴ [კომენტარი მუხლზე 3.2.1 ცალკეული აკრძალული ნივთიერებებისთვის, WADA-მ შეიძლება მისცეს მითითება მის მიერ აკრედიტირებულ ლაბორატორიებს, რომ არ წარმოადგინონ ნიმუშები როგორც უარყოფითი ანალიტიკური შედეგები, იმ შემთხვევებში, როდესაც აკრძალული ნივთიერება, მისი მეტაბოლიტები ან მარკერები არის მინიმალური ანგარიშგების ზღვარს ქვემოთ. WADA-ს გადაწყვეტილება ანგარიშგების მინიმალური დონის დადგენის ან აკრძალული ნივთიერებების განსაზღვრის მინიმალური დონის დადგენის შესახებ არ შეიძლება გახდეს სადაო. გარდა ამისა, ლაბორატორიის მიერ აკრძალული ნივთიერების კონცენტრაციის დადგენა შეიძლება იყოს მხოლოდ სავარაუდო. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება რომ აკრძალული ნივთიერების ზუსტი კონცენტრაცია სინჯში, რომელიც არის ანგარიშგების მინიმალურ ზღვარს ქვემოთ, გამოყენებული იყოს იმ ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტის უარასყოფად, რომელიც გულისხმობს სინჯში აკრძალული ნივთიერების არსებობას.]

დაადასტურებენ, რომ მოხდა ლაბორატორიებისთვის დადენილი საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევა, რასაც შეეძლო გამოეწვია არასასურველი ანალიტიკური შედეგი.

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი გაასაჩივრებს ამ პრეზუმციას, იმის ჩვენებით, რომ ლაბორატორიებისთვის დადენილი საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევას შეეძლო გამოეწვია არასასურველი ანალიტიკური შედეგი, მაშინ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას დაეკისრება მტკიცების ტვირთი იმის დასადასტურებლად, რომ ამგვარ გადახვევას არ გამოუწვევია უარყოფითი ანალიტიკური შედეგის დადგომა.¹⁵

3.2.3 გადახვევა ნებისმიერი სხვა საერთაშორისო სტანდარტიდან, ანტიდოპინგური წესიდან ან პოლიტიკის დოკუმენტიდან რომელიც დადგენილია კოდექსით ან ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებით, არ იწვევს ანალიტიკური შედეგების ან სხვა მტკიცებულებების ბათილობას და არ შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მტკიცებულება ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტის გასაბათილებლად.¹⁶ თუმცა, თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს რომ ერთ ან რამოდენიმე კონკრეტული საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევას, რომელიც ქვემოთ არის ჩამოთვლილი, გონივრულად შეეძლო გამოეწვია ანტიდოპინგური წესების დარღვევა რაც გამოიხატა არასასურველ ანალიტიკურ შედეგის დადგომასა ან ადგილსამყოფელის შეტყობინების წესის დარღვევაში, მაშინ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ეკისრება ვალდებულება დაამტკიცოს რომ ამგვარ გადახვევას არ გამოუწვევია არასასურველი ანალიტიკური შედეგის დადგომა ან ადგილსამყოფელის შეტყობინების წესის დარღვევა.

¹⁵ [კომენტარი მუხლზე 3.2.2: სპორტსმენს ან სხვა პირს, ალბათობის ბალანსიდან გამომდინარე, ეკისრება მტკიცების ტვირთი, თუ მათ სურთ დაამტკიცონ რომ არასასურველი ანალიტიკური შედეგი დადგა ლაბორატორიებისთვის დადენილი საერთაშორისო სტანდარტისგან გადახვევით. შესაბამისად, მას შემდეგ რაც სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს გადახვევას ალბათობის ბალანსირებიდან გამომდინარე, მათ მიერ მიზეზობრივი კავშირის მტკიცების სტანდარტი იწვევს დაბლა, დაახლოებით ამგვარად „გონივრულად შეეძლო გამოეწვია“. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი აკმაყოფილებს ამ სტანდარტებს, მაშინ მტკიცების ტვირთი გადადის ანტიდოპინგურ ორგანიზაციაზე, რომ დაუმტკიცოს საქმის მწარმოებელ პანელს, რომ ამგვარ გადახვევას არ გამოუწვევია არასასურველი ანალიტიკური შედეგი.]

¹⁶ [კომენტარი მუხლზე 3.2.3: საერთაშორისო სტანდარტებიდან ან სხვა წესებიდან, რომელიც არ ეხება სინჯის აღებას და მის მართვას, უარყოფითი პასპორტის შედეგს, ან სპორტსმენის შეტყობინებას ადგილსამყოფელთან დაკავშირებით, ან ბ სინჯის გახსნას, მაგალითად, განათლებასთან, პირად მონაცემებთან ან თერაპიული გამოყენების გამონაკლისთან დაკავშირებული წესები, შეიძლება გახდეს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მხრიდან შესაბამისობის საქმის წარმოების საფუძველი, მაგრამ ეს არ იქნება დაკავშირებული იმასთან, ჩაიდინა თუ არა სპორტსმენმა ანტიდოპინგური წესების დარღვევა. მსგავსად ზემოთ თქმულისა, ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ 20.7.7 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტის დარღვევა, ვერ იქნება გამოყენებული ანტიდოპინგური წესების დარღვევის გასამართლებლად.]

- i. ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევა, რაც დაკავშირებულია სინჯის აღებასთან ან სინჯთან მოპყრობასთან, რომელსაც გონივრულად შეიძლება გამოეწვია ანტიდოპინგური წესების დარღვევა, რაც გამოვლინდა არასასურველი ანალიტიკური შედეგის დადგომაში. ამ შემთხვევაში, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ევალება დაამტკიცოს, რომ ამგვარ გადახვევას არ შეიძლებოდა გამოეწვია არასასურველი ანალიტიკური შედეგის დადგომა;
- ii. შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტიდან ან ტესტირების საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევა, რომელიც დაკავშირებულია სპორტსმენის პასპორტის მონაცემებთან და რომელსაც გონივრულად შეეძლო გამოეწვია ანტიდოპინგური წესების დარღვევა. ამ შემთხვევაში ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ეკისრება ვალდებულება დაამტკიცოს, რომ ამგვარ გადახვევას არ გამოუწვევია ანტიდოპინგური წესების დარღვევა;
- iii. შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევა, რომელიც დაკავშირებულია სპორტსმენისთვის ბ სინჯის გახსნის შეტყობინებასთან და რომელსაც გონივრულად შეეძლო გამოეწვია ანტიდოპინგური წესების დარღვევა, რაც გამოვლინდა არასასურველი ანალიტიკური შედეგის დადგომაში. ასეთ შემთხვევაში ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ეკისრება ვალდებულება დაამტკიცოს, რომ ამგვარ გადახვევას არ გამოუწვევია არასასურველი ანალიტიკური შედეგის დადგომა.¹⁷
- iv. შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევა, რომელიც დაკავშირებულია სპორტსმენისთვის შეტყობინებასთან და რომელსაც გონივრულად შეეძლო გამოეწვია ანტიდოპინგური წესების დარღვევა, რაც გამოვლინდა ადგილსამყოფელის შეტყობინების წესის დარღვევით. ამ შემთხვევაში ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ეკისრება ვალდებულება დაამტკიცოს, რომ ამგვარ გადახვევას არ შეეძლო გამოეწვია ადგილსამყოფელის წესის დარღვევა.

3.2.4 ფაქტები, დადგენილი სასამართლოს ან კომპეტენტური იურისდიქციის პროფესიული დისციპლინურ ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, რომლებიც არ არის გასაჩივრებული, უნდა წარმოადგენდეს უტყუარ მტკიცებულებას იმ სპორტსმენის ან სხვა პირის წინააღმდეგ, რომელსაც გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები ეხებოდა, თუ სპორტსმენი ან სხვა პირი არ დაამტკიცებს, რომ ამ გადაწყვეტილებით მის მიმართ დაირღვა ბუნებრივი სამართლიანობის პრინციპები.

¹⁷ [კომენტარი მუხლზე 3.2.3: საერთაშორისო სტანდარტებიდან ან წესებიდან გადახვევა, რომელიც არ ეხება სინჯის აღებას, არასასურველი პასპორტის შედეგს, ან სპორტსმენის შეტყობინებას ადგილსამყოფელის დასადგენად ან ბ სინჯის აღებას - მაგალითად, განათლების საერთაშორისო სტანდარტები, მონაცემთა დაცვა ან თერაპიული გამოყენების გამონაკლისი შეიძლება გამოიწვიოს შეუსაბამობის პროცესის დაწყება WADA-ს მიერ, მაგრამ არ გამოდგება ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტის სასამართლოებად. შესაბამისად, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ მიერ იმ დოკუმენტის დარღვევის ფაქტი რომელიც მითითებულია 20.7.7 მუხლში არ გამოდგება ამგვარი საფუძველისთვის.

3.2.5 საქმის განმხილველმა პანელმა შესაძლოა უარყოფითი დასკვნა გამოიტანოს სპორტსმენის ან სხვა პირის მიმართ, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ანტიდოპინგური წესების დარღვევაში, რადგან მიუხედავად დროული შეტყობინებისა, სპორტსმენი ან სხვა პირი უარს აცხადებს საქმის განმხილველი ორგანოს წინაშე წარდგომაზე (პირადად ან სატელეფონო საშუალების გამოყენებით, რასაც დაადგენს განმხილველი ორგანო) ან საქმის განმხილველი პანელისა ან ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე.

მუხლი 4 აკრძალული სია

4.1 აკრძალული სიის გამოქვეყნება და შესწორება

მსოფლიო ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, შესაბამისი სიხშირით, თუმცა, არანაკლებ ყოველწლიურად, უნდა გამოაქვეყნოს აკრძალული სია, საერთაშორისო სტანდარტის სახით. წარმოდგენილი აკრძალული სია და მისი შესწორებები წერილობითი სახით დაუყოვნებლივ ეგზავნება ყველა ხელმომწერ მხარესა და მთავრობებს კომენტარებისა და კონსულტაციებისთვის. აკრძალული სიის თითოეული ყოველწლიური ვერსია და მისი შესწორებები დაუყოვნებლივ ეგზავნება მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ ყველა ხელმომწერ მხარეს, აკრედიტირებულ ან დამტკიცებულ ლაბორატორიასა და მთავრობებს და განთავსდება მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის ვებ-გვერდზე. თითოეული ხელმომწერი გაატარებს შესაბამისი ღონისძიებებს, რათა აკრძალული სია მიაწოდოს მის წევრებსა და ამომრჩეველებს. ყოველი ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებში აღინიშნება, რომ თუ სიაში ან მის ცვლილებებში სხვაგვარად არ არის მითითებული, აკრძალული სია და მისი ცვლილებები ძალაში შედის ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვის ავტომატურად, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ მისი გამოქვეყნებიდან სამ თვის ვადაში და არ საჭიროებს ანტიდოპინგური ორგანიზაციების მხრიდან დამატებით მოქმედებების გატარებას.¹⁸

¹⁸ [კომენტარი მუხლზე 4.1: აკრძალული სია ან მისი შესწორება შეიძლება გამოქვეყნდეს საჭიროებისამებრ. თუმცა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს პროგნოზირება, სია გამოქვეყნდება ყოველწლიურად მიუხედავად იმისა მოხდება თუ არა მასში ცვლილება. მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის ყოველთვის ექნება ყველაზე განახლებული აკრძალული სია თავის ვებ-გვერდზე. აკრძალული სია არის სპორტში დოპინგის საწინააღმდეგო კონვენციის ინტეგრირებული ნაწილი. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო აცნობებს იუნესკოს გენერალურ დირექტორს აკრძალულ სიაში ცვლილებების შეტანის თაობაზე]

4.2 აკრძალული სიით განსაზღვრული აკრძალული ნივთიერებები და არაკრძალული მეთოდები

4.2.1 აკრძალული ნივთიერებები და აკრძალული მეთოდები

აკრძალული სიით განსაზღვრება ის აკრძალული ნივთიერებები და მეთოდები, რომლებიც აკრძალულია სპორტში (როგორც საშეჯიბრო ისე არასაშეჯიბრო პერიოდში) რადგან მათ აქვთ უნარი გააუმჯობესონ სპორტული შედეგი მომდევნო შეჯიბრში ან აქვთ უნარი შენიღბონ ის ნივთიერებები და მეთოდები, რომლებიც აკრძალულია მხოლოდ საშეჯიბრო პერიოდში. მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ აკრძალული სია კონკრეტული სპორტის სახეობისთვის შეიძლება გაიზარდოს. აკრძალული ნივთიერებები და აკრძალული მეთოდები შეიძლება შევიდეს აკრძალულ სიაში ზოგადი კატეგორიის სახით (მაგალითად ანაბოლური აგენტები) ან გაკეთდეს განსაზღვრული მითითება კონკრეტულ ნივთიერებაზე ან მეთოდზე.¹⁹

4.2.2 განსაზღვრული ნივთიერებები და განსაზღვრული მეთოდები

მუხლი 10-ის მიზნებიდან გამომდინარე, ყველა აკრძალული ნივთიერება არის განსაზღვრული ნივთიერება, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული აკრძალულ სიაში. არც ერთი აკრძალული მეთოდი არ არის განსაზღვრული მეთოდი თუ ეს კონკრეტულად არ არის ასე მითითებული აკრძალულ სიაში.²⁰

4.2.3 ბოროტად გამოყენებული ნივთიერებები

¹⁹ [კომენტარი მუხლზე 4.2.1: არასაშეჯიბრო პერიოდში აკრძალული ნივთიერების გამოყენება, რომელიც აკრძალულია მხოლოდ საშეჯიბრო პერიოდში არ წარმოადგენს ანტიდოპინგური წესების დარღვევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დგება არასასურველი ანალიტიკური შედეგი ნივთიერებაზე, მის მეტაბოლიტებზე ან მარკერებზე სინჯში, რომელიც აღებული იყო საშეჯიბრო პერიოდში]

²⁰ [კომენტარი მუხლზე 4.2.2: განსაზღვრული ნივთიერებები და მეთოდები, რომელიც ამ მუხლშია მითითებული არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს რომ არის ნაკლებ მნიშვნელოვანი ან ნაკლებად საშიში. უბრალოდ, ეს არის ის ნივთიერებები და მეთოდები, რომელიც უფრო იოლად შეიძლება მიიღოს ან გამოიყენოს სპორტსმენმა და აუცილებელი არ არის ის ემსახუროდეს შედეგების გაუმჯობესების მიზანს]

მუხლი 10-ის მიზნებიდან გამომდინარე, ბოროტად გამოყენებული ნივთიერებები გულისხმობს ისეთ აკრძალულ ნივთიერებებს, რომლებიც ასეთად არის მითითებული აკრძალულ სიაში, რადგან ისინი ბოროტად გამოიყენება საზოგადოებაში სპორტისგან კონტექსტიდან დამოუკიდებლად.

4.2.4 აკრძალული ნივთიერებების და აკრძალული მეთოდების ახალი კლასები

იმ შემთხვევაში როდესაც მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო გაზრდის აკრძალული ნივთიერებების ან მეთოდების სიას 4.1 მუხლის შესაბამისად, მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტი დაადგენს წარმოდგენს თუ არა ყველა ან რამოდენიმე აკრძალული ნივთიერება და მეთოდი განსაზღვრულ ნივთიერებას ან განსაზღვრულ მეთოდს 4.2.2 მუხლის, ან ბოროტად გამოყენებულ ნივთიერებას 4.2.3 მუხლის შესაბამისად.

4.3 აკრძალულ სიაში ნივთიერებების და მეთოდების შეტანის კრიტერიუმები

მსოფლიო ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი კრიტერიუმები, როდესაც შეაქვს ნივთიერება ან მეთოდი აკრძალულ სიაში:

4.3.1 ნივთიერება ან მეთოდი განიხილება აკრძალულ სიაში შესატანად, თუ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო თავისი დისკრეციის ფარგლებში დაადგენს რომ სახეზეა ორიდან ერთ-ერთი კრიტერიუმი:

4.3.1.1 სამედიცინო ან სხვა მეცნიერული მტკიცებულება, ფარმაცოლოგიური ეფექტი ან გამოცდილება ადასტურებს, რომ აკრძალულ ნივთიერებას ან მეთოდს, დამოუკიდებლად ან სხვა ნივთიერებებთან და მეთოდებთან კომბინაციაში, შეუძლია გააუმჯობესოს ან აუმჯობესებს სპორტულ შედეგს;²¹

²¹ [კომენტარი მუხლზე 4.3.1.1.: ეს მუხლი ითვალისწინებს იმას, რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი ნივთიერებები, რომლებიც არ არის აკრძალული მაგრამ შეიძლება აიკრძალოს, თუ მათი გამოყენება მოხდება ზოგიერთ სხვა ნივთიერებასთან ერთად. იმ ნივთიერებებზე, რომლებიც შეტანილია აკრძალულ სიაში, მაგრამ შედეგის გაუმჯობესება შეუძლიათ მხოლოდ სხვა ნივთიერებასთან კომბინაციაში, უნდა გაკეთდეს სათანადო დათქმა და უნდა აღინიშნოს, რომ მათი აკრძალვა უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს მტკიცებულება ორივე ნივთიერების კომბინირებულად გამოყენების შესახებ.]

4.3.1.2 სამედიცინო ან სხვა მეცნიერული მტკიცებულება, ფარმაკოლოგიური ეფექტი ან გამოცდილება რომ ამ ნივთიერების ან მეთოდის გამოყენება წარმოადგენს სპორტსმენის ჯანმრთელობისთვის არსებულ ან პოტენციურ რისკს;

4.3.1.3. მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ ნივთიერების ან მეთოდის გამოყენება არღვევს კოდექსის შესავალ ნაწილში აღწერილ სპორტულ სულისკვეთებას.

4.3.2 ნივთიერება ან მეთოდი ასევე უნდა იყოს შეტანილი აკრძალულ სიაში, თუ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო დაადგენს რომ არსებობს სამედიცინო ან სხვაგვარი მტკიცებულება, ფარმაკოლოგიური ეფექტი ან გამოცდილება, რომ ამ ნივთიერებას ან მეთოდს აქვს პოტენციური შენიღბოს სხვა აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება.²²

4.3.3 მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ აკრძალული ნივთიერებების და აკრძალული მეთოდების დადგენა, რომლებიც შეტანილი იქნება აკრძალულ სიაში, ამ ნივთიერებების კლასიფიკაცია, ნივთიერებების კლასიფიკაცია რომელიც აკრძალულია ყოველთვის ან მხოლოდ საშეჯიბრო პერიოდში, ნივთიერებების და მეთოდების კლასიფიკაცია როგორც განსაზღვრული ნივთიერება ან განსაზღვრული მეთოდი ან ნივთიერება, რომელიც ბოროტად გამოიყენება, არის საბოლოო და არ შეიძლება გახდეს დავის საგანი სპორტსმენის ან სხვა პირის მხრიდან იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ნივთიერება ან მეთოდი არ იყო შემნილბავი აგენტი ან არ ჰქონდა უნარი გაეუმჯობესებინა სპორტული შედეგი, არ წარმოადგენდა რისკს ჯანმრთელობისთვის ან არ ეწინააღმდეგებოდა სპორტულ სულისკვეთებას.

4.4 სამკურნალოდ გამოყენების ნებართვა (სგნ)

4.4.1 აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტების ან მარკერების სპორტსმენის სინჯში არსებობა, და/ან ამ ნივთიერების გამოყენება ან გამოყენების მცდელობა, ფლობა ან მიღება ან ამის მცდელობა, არ განიხილება როგორც ანტიდოპინგური წესების დარღვევა, თუ ეს ნივთიერება შეესაბამება სგნ-ს, და სამკურნალო გამოყენების გამონაკლისებისათვის დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს.

4.4.2 თუ სადს-ის მიერ არ არის გაწერილი სხვაგვარად მის ვებ გვერდზე განთავსებულ განცხადებაში, ეროვნული დონის სპორტსმენმა, რომელსაც ესაჭიროება აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება

²² [კომენტარი მუხლზე 4.3.2: როგორც მთლიანი პროცესის ნაწილი, ხელმომწერებს და მთავრობებს აქვთ უფლება წარმოადგინონ თავიანთი კომენტარები მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ აკრძალული სიის შინაარსთან დაკავშირებით.]

სამკურნალო მიზნებით, უნდა მიმართოს სადს სგნ სტატუსის მისაღებად მას მერე, რაც წარმოიქმნება ასეთი ნივთიერების ან მეთოდის მოხმარების საჭიროება, და ყველა შემთხვევაში (გარდა გადაუდებელი ან განსაკუთრებული სიტუაციებისა, ან როცა შეიძლება გამოვიყენოთ სამედიცინო გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტის მუხლი 4.3) სულ მცირე 30 დღით ადრე სპორტსმენის შემდეგ შეჯიბრებამდე [სადს-ის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ფორმის გამოყენებით]. სადს-მა უნდა დანიშნოს კომისია სგნ უფლების დართვის ან ცნობის მოთხოვნის განსახილველად (სგნ კომიტეტი). სგნ კომიტეტმა უნდა უმოკლეს ვადებში შეაფასოს მიმართვა და მიიღოს გადაწყვეტილება სამედიცინო გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი დებულებების თანახმად [და სადს-ის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული სპეციფიური პროტოკოლების გათვალისწინებით]. კომიტეტის გადაწყვეტილებები არის სადს-ის საბოლოო გადაწყვეტილებები და მათ შესახებ უნდა ეცნობოს მადს და სხვა შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს ანტიდოპინგის ადმინისტრირების და მართვის სისტემის (ადამს) მეშვეობით [და აგრეთვე სპორტსმენის ეროვნულ ფედერაციას] სამედიცინო გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

[მუხლი 4.4.2 კომენტარი: სამედიცინო გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტის მუხლი 5.1 თანახმად, სადს შეუძლია უარი სთქვას განიხილოს ეროვნული დონის სპორტსმენის წინასწარი განაცხადი სგნ გამოყენების შესახებ, თუ საუბარია სპორტის სახეობაზე, რომელიც არ არის პრიორიტიზებული სადს-ის ტესტირების გავრცელების გეგმაში, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სადს-მა ნება უნდა დართოს სპორტსმენს, რომელიც შემდგომში გაივლის ტესტირებას, წარადგინოს მოთხოვნა რეტროაქტიური სგნ სტატუსისათვის.

ყალბი ან დეზინფორმაციული არასრული ინფორმაციის მოწოდებამ სგნ აპლიკაციის განსამტკიცებლად (მათ შორის სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციიდან სგნ სტატუსის მიღების შესახებ წინა აპლიკაციაზე უარის მიღების დამალვა) შეიძლება გამოიწვიოს მუხლი 2.5 გათვალისწინებული ფალსიფიცირების ან ფალსიფიცირების მცდელობის ბრალდება.

სპორტსმენმა არ უნდა ივარაუდოს, რომ მისი აპლიკაცია სგნ ცნობის მისაღებად (ან ძველი სგნ-ის განსახლებლად) აუცილებლივ დაკმაყოფილდება. აკრძალული ნივთიერების ან აკრძალური მეთოდის ნებისმიერი სახით გამოყენება წარდგენილი აპლიკაციის დაკმაყოფილებამდე ხდება სპორტსმენის საკუთარი რისკის ხარჯზე].

4.4.3 თუ სადს-ი მიიღებს გადაწყვეტილებას შეამოწმოს სპორტსმენი, რომელიც არ არის საერთაშორისო ან ეროვნული დონის, სადს-მა ნება უნდა დართოს ასეთ სპორტსმენს მოითხოვოს რეტროაქტიური სგნ ნებისმიერი აკრძალული ნივთიერებისათვის ან აკრძალული მეთოდისათვის, რომლებსაც იგი იყენებს სამკურნალო მიზნით.

[მუხლი 4.4.3 კომენტარი: სამედიცინო გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტი აგრეთვე ნებას რთავს ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეზღუდოს ნებართვების გაცემა ეროვნული დონის სპორტსმენების გარკვეულ კატეგორიებისათვის წინასწარი სგნ განაცხადის საპასუხოდ. თუ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია გადაწყვეტს სინჯების აღბას ეროვნული დონის იმ სპორტსმენისაგან, ვისგანაც ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ არ მიიღო წინასწარი განაცხადი სგნ შესახებ, მაშინ საჭიროების შემთხვევაში ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა მისცეს სპორტსმენს უფლება რეტროაქტიულ სგნ განაცხადზე].

4.4.4 სადს მიერ გაცემული სგნ ვარგისიანია მხოლოდ ეროვნულ დონეზე; საერთაშორისო შეჯიბრების შემთხვევაში ეს ნებართვა ავტომატურად უქმდება. სპორტსმენმა, რომელიც არის ან გახდა საერთაშორისო დონის სპორტსმენი, უნდა მიმართოს შემდეგს:

4.4.4.1 თუ სპორტსმენს უკვე გააჩნია სადს-ის მიერ გაცემული სგნ მოცემულ ნივთიერების ან მეთოდთან დაკავშირებით, მას შეუძლია მიმართოს თავის საერთაშორისო ფედერაციას თხოვნით სცნონ სგნ სამკურნალო გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტის მუხლი 7 შესაბამისად. თუ ეს სგნ პასუხობს სამკურნალო გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტის კრიტერიუმებს, მაშინ საერთაშორისო ფედერაციამ უნდა სცნოს ამ ნებართვის ვარგისიანობა საერთაშორისო დონის შეჯიბრებისთვისაც. თუ საერთაშორისო ფედერაცია ჩათვლის, რომ სადს-ის მიერ გაცემული სგნ არ პასუხობს ამ კრიტერიუმებს, და ამიტომ უარს ამბობს მის ცნობაზე, საერთაშორისო ფედერაციამ უნდა უმოკლეს ვადაში შეატყობინოს ამის შესახებ საერთაშორისო დონის სპორტსმენს და სადს და თან მიუთითოს არ ცნობის მიზეზები. საერთაშორისო დონის სპორტსმენს და სადს უნდა ქონდეთ 21 დღიანი ვადა ამ შეტყობინების მიღებიდან, რომ გადასცენ ეს საქმე მადს განსახილველად. თუ მუხლი 4.4.6 შესაბამისად საქმე განსახილველად წარედგინა მადს, სადს-ის მიერ გაცემული სგნ ვარგისიანად ითვლება ეროვნული დონის შეჯიბრებისათვის და შეჯიბრების გარეთ ჩატარებული ტესტირებისათვის (მაგრამ იგი არ არის ვარგისიანი საერთაშორისო დონის შეჯიბრებისათვის)

ვიდრე არ იქნება მიღებული მადს-ის გადაწყვეტილება. თუ საქმე არ გაეგზავნება მადს განსახილველად, სგნ ნებისმიერ შემთხვევაში კარგავს ძალას 21 დღიანი დედლაინის გასვლისთანავე.

[მუხლი 4.4.4.1 კომენტარი: სამკურნალო გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტის მუხლი 5.6 და 7.1 (ა) შესაბამისად, საერთაშორისო ფედერაციამ თავის ვებ გვერდზე შეიძლება გამოაქვეყნოს შეტყობინება იმის შესახებ, რომ იგი ავტომატურად სცნობს სგნ გადაწყვეტილებებს (ან ასეთი გადაწყვეტილებების კატეგორიებს, მაგ. გარკვეული ნივთიერებების ან მეთოდების მიმართ), რომლებიც მიიღო ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა. თუ სპორტსმენის სგნ ექცევა კატეგორიაში, რომელსაც საერთაშორისო ფედერაცია სცნობს ავტომატურად, მაშინ სპორტსმენს არ სჭირდება მიმართოს საერთაშორისო ფედერაციას მისი სგნ ცნობისათვის.

სამკურნალო გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, სადს-ი ეხმარება თავის სპორტსმენებს განსაზღვრონ რა შემთხვევაშია საჭირო საერთაშორისო ფედერაციისათვის ან ღონისძიების მთავარი ორანიზაციისათვის მიმართვა სგნ ცნობისათვის; სადს-ი უნდა გაუძღვეს და მხარი დაუჭიროს სპორტსმენებს ეგნ ცნობის პროცესის განმავლობაში.

თუ საერთაშორისო ფედერაცია უარს ამბობს სადს-ის მიერ გაცემულ სგნ ცნობაზე მხოლოდ იმის გამო, რომ საქმეში არ არის სამედიცინო ჩანაწერები ან სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სამკურნალო გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტის კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად, საქმე არ უნდა გადაეცეს მადს. ამის ნაცვლად სპორტსმენის დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზები უნდა შეივსოს და განაცხადი უნდა თავიდან წარედგინოს საერთაშორისო ფედერაციას].

4.4.4.2 თუ სპორტსმენს ჯერ კიდევ არა აქვს სადს მიერ გაცემული სგნ მოცემულ ნივთიერებასთან ან მეთოდთან დაკავშირებით, სპორტსმენმა უნდა მიმართოს უშუალოდ საერთაშორისო ფედერაციას სგნ მისაღებად სამკურნალო გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტის მიერ დაწესებული პროცესის შესაბამისად. თუ საერთაშორისო ფედერაცია გასცემს სგნ, მან უნდა შეატყობინოს ამის შესახებ სპორტსმენს და სადს. თუ სადს-ი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ფედერაციის მიერ გაცემული სგნ ვერ პასუხობს სამკურნალო გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტის კრიტერიუმებს, მას აქვს 21 დღიანი ვადა, რომ მიმართოს მადს საკითხის განხილვის თხოვნით. თუ სადს გადაუგზავნის საქმეს მადს განსახილველად, მაშინ საერთაშორისო

ფედერაციის მიერ გაცემული სგნ რჩება ძალაში საერთაშორისო დონის შეჯიბრებისათვის და შეჯიბრის გარეთ პერიოდში ტესტირებისათვის (მაგრამ ეს ნებართვა კარგავს ვარგისიანობას ეროვნული დონის შეჯიბრებისათვის) ვიდრე მადს-ი არ მიიღებს გადაწყვეტილებას. თუ სადს-ი არ გადაუგზავნის საქმეს მადს განსახილველად, საერთაშორისო ფედერაციის მიერ გაცემული სგნ ვრცელდება ეროვნული დონის შეჯიბრებზეც, და აგრეთვე ძალაში რჩება განსახილველად დაშვებული 21 დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ.

[მუხლი 4.4.4.2 კომენტარი: საერთაშორისო ფედერაცია და სადს-ი შეიძლება შეთანხმდნენ, რომ სადს-ი განიხილავს სგნ განაცხადებს საერთაშორისო ფედერაციის სახელით].

4.4.5 სგნ ვადის გასვლა, გაუქმება ან გაბათილება

4.4.5.1 წინამდებარე ანტიდოპინგური წესებით გაცემული სგნ : (ა) ავტომატურად ითვლება ვადაგასულად ამ ნებართვაში მითითებული ნებისმიერი პერიოდის გასვლისას და არ საჭიროებს შემდგომ შეტყობინებას ან რაიმე ფორმალურ პროცედურას; (ბ) შეიძლება გაუქმდეს, თუ სპორტსმენი დროულად არ შეასრულებს სგნ გაცემისას სგნ კომიტეტის მიერ დადგენილ ნებისმიერ მოთხოვნას ან პირობას; (გ) შეიძლება გამოთხოვილ იქნას სგნ კომიტეტის მიერ, თუ შემდგომში დადგინდება, რომ სგნ-ის გაცემის კრიტერიუმები ფაქტიურად არ არის დაკმაყოფილებული; ან (დ) შეიძლება გაბათილებულ იქნას და გაეგზავნოს მადს განსახილველად ან გასასაჩივრებლად.

4.4.5.2 ასეთ შემთხვევაში სპორტსმენზე არ უნდა გავრცელდეს არანაირი სანქციები მის მიერ კონკრეტული აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენების ან ფლობის გამო, ვიდრე არ ამოიწურება ნებართვის ვადა, ან ვიდრე ნებართვა არ იქნება გაუქმებული, გამოთხოვნილი ან დაბრუნებული თავიდან განსახილველად. მუხლი 7.2 თანახმად ნებისმიერი შემდგომი სპორტსმენისათვის არასახარბიელო ანალიტიკური მონაცემების გადახედვის დასკვნამ უნდა გაითვალისწინოს მოხდა თუ არა აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენების ფაქტის დადგენა ამ თარიღამდე, და თუ ეს ასეა, სპორტსმენს არ წარუდგენენ ანტიდოპინგური წესის დარღვევის პრეტენზიას.

4.4.6 სგნ გადაწყვეტილებების გადახედვა და აპელაციები

4.4.6.1 თუ სადს-ი უარს ამბობს სგნ-ის გაცემაზე , სპორტსმენს შეუძლია მიმართოს მხოლოდ ეროვნული დონის სააპელაციო ორგანოს, რომელიც მითითებულია 13.2.2 და 13.2.3 მუხლებში.

4.4.6.2 მადს-მა უნდა განიხილოს საერთაშორისო ფედერაციის ნებისმიერი გადაწყვეტილება სადს-ის მიერ გაცემულ სგნ არცნობის შესახებ, რომელსაც სპორტსმენი ან სადს-ი წარუდგენს მას განსახილველად. ამის გარდა, მადს-მა უნდა განიხილოს საერთაშორისო ფედერაციის ნებისმიერი გადაწყვეტილება სგნ გაცემის შესახებ, რომელსაც სადს-ი წარუდგენს მადს განსახილველად. მადს შეუძლია განიხილოს ნებისმიერი სხვა სგნ გაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ნებისმიერ დროს დაინტერესებულ პირთა მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით. თუ განხილული სგნ-ის გაცემის გადაწყვეტილება პასუხობს სამკურნალო გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტის კრიტერიუმებს, მადს-ი არ შეუშლის ხელს ასეთი გადაწყვეტილების ამოქმედებას. თუ სგნ-ის გაცემის გადაწყვეტილება არ პასუხობს ზევითხსენებულ კრიტერიუმებს, მადს-ი გააუქმებს ამ გადაწყვეტილებას.

4.4.6.3 საერთაშორისო ფედერაციის (ან სადს, რომელიც შეთანხმებისამებრ მოქმედებს საერთაშორისო ფედერაციის სახელით) სგნ გაცემის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც არ განიხილავს მადს-ი, ან რომელიც მადს-მა განიხილა და არ გააუქმა, სპორტსმენს და/ან სადს მუხლი 13 თანახმად შეუძლიათ გაასაჩივრონ მხოლოდ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში (სსს).

[მუხლი 4.4.6.3 კომენტარი: ასეთ შემთხვევებში აპელაციაზე იგზავნება საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება სსგ ნებართვის გაცემაზე და არა მადს-ის გადაწყვეტილება სგნ გაცემის გადაწყვეტილების არ განხილვის ან (თუ მადს-მა განიხილა იგი) სგნ გაცემის გადაწყვეტილების არ გაუქმების შესახებ. ამასთან აპელაციის წარდგენის ვადის ათვლა იწყება მხოლოდ იმ თარიღიდან, როცა მადს-ი გამოაქვეყნებს თავის გადაწყვეტილებას. იმისდა მიუხედავად განიხილა თუ არა მადს-ის გადაწყვეტილება, მადს უნდა ეცნობოს აპელაციის შესახებ, რომ მას შეეძლოს მონაწილეობის მიღება სააპელაციო განხილვაში, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის].

4.4.6.4 მუხლი 13 თანახმად, სპორტსმენმა, სადს-მა და/ან საერთაშორისო ფედერაციამ შეუძლია გაასაჩივროს მადს-ის გადაწყვეტილება სგნ გაუქმებაზე მხოლოდ სსს-ში.

4.4.6.5 დროის გონოვრულ პერიოდში სწორად შეტანილ განაცხადზე სგნ-ის მიღების ან სგნ-ის გადახედვის შესახებ საპასუხო ქმედებების არ დაწყება უნდა

მუხლი 5 ტესტირება და გამოძიება

5.1 ტესტირების და გამოძიების მიზანი

5.1.1. ტესტირება და გამოძიება უნდა ჩატარდეს მხოლოდ ანტიდოპინგური მიზნით და ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის დებულებების შესაბამისად.

5.1.2 ტესტირების მიზანია ანალიტიკური მტკიცებულების მიღება, რომელიც დაადასტურებს, რომ სპორტსმენი აღწევს კოდექსის 2.1 მუხლს (სპორტსმენის სინჯში აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტების ან მარკერების არსებობა) ან 2.2 მუხლს (სპორტსმენის მიერ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება ან გამოყენების მცდელობა)

5.2 ტესტირების ჩატარების უფლებამოსილება

5.2.1 კოდექსით გათვალისწინებული სპორტულ ღონისძიების ტესტირების 5.3 მუხლით დაწესებული შეზღუდვების შესაბამისად, სადს აქვს უფლება ჩაატაროს საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირება ამ ანტიდოპინგური წესების შესავალში მითითებულ ყველა სპორტსმენზე (განყოფილება „ამ ანტიდოპინგური წესების მოქმედების სფერო“).

5.2.2 სადს უფლება აქვს მოსთხოვოს ნებისმიერ სპორტსმენს, რომელზეც ვრცელდება ტესტირების უფლებამოსილება (მათ შორის დისკვალიფიკაციის პერიოდში მყოფ სპორტსმენებს) ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე უზრუნველყოს სინჯის აღება.

[მუხლი 5.2.2 კომენტარი: გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სპორტსმენი ასახელებს სინჯის ასაღებ 60 წუთიან ინტერვალს სადამოს 11 საათიდან დილის 6 საათამდე პერიოდში, ან გამოხატავს თანხმობას ამ პერიოდში სინჯის ჩაბარებაზე, სადს არა აქვს სპორტსმენის ტესტირების უფლება ამ პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს სერიოზული და სპეციფიური ეჭვი, რომ სპორტსმენი შეიძლება ღებულობდეს დოპინგს. კამათი იმის შესახებ, არის თუ არა სადს-ის ეჭვი საკმარისად საფუძვლიანი ტესტირების ჩასატარებლად, არ შეიძლება იყოს გამოყენებული ანტიდოპინგური წესების დარღვევის საქმეში, როგორც დაცვის არგუმენტი, ასეთი ანტიდოპინგური ტესტირების ან ტესტირების მცდელობის საფუძველზე].

[5.2.2 მუხლის კომენტარი: სადს–მ შეიძლება მიიღოს დამატებითი უფლებამოსილება ტესტის ჩასატარებლად სხვა ხელმომწერებთან ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების გამოყენებით. თუ სპორტსმენმა არ დაადგინა სამოცდაათი (60) წუთიანი ტესტირების ფანჯარა 23:00 საათამდე. და დილის 6:00 საათზე, ან სხვაგვარად აქვს შეთანხმებული ტესტირება ამ პერიოდში, სადს არ შეამოწმებს სპორტსმენს ამ პერიოდის განმავლობაში, თუ მას არ აქვს სერიოზული და კონკრეტული ეჭვი, რომ სპორტსმენი შეიძლება იყოს დოპინგში. გამოწვევა იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა სადს-ს საექვო ტესტირება ამ პერიოდის განმავლობაში, არ წარმოადგენს ანტიდოპინგური წესის დარღვევას, რომელიც დაფუძნებულია ამ ტესტის ან მცდელობის ტესტის საფუძველზე.]

5.2.3 სადს უნდა ქონდეს ტესტირების უფლებამოსილება საშეჯიბრო ან არასაშეჯიბრო პერიოდში კოდექსის 20.7.8 მუხლის შესაბამისად.

5.2.4 თუ საერთაშორისო ფედერაცია ან ღონისძიების მთავარი ორგანიზაცია გადასცემს ტესტირების ნებისმიერი ნაწილის უფლებას სადს ან გააფორმებს კონტრაქტს მასთან ამის თაობაზე (უშუალოდ ან ეროვნული ფედერაციის მეშვეობით), სადს შეუძლია აიღოს დამატებითი სინჯები ან მოსთხოვოს ლაბორატორიას ჩაატაროს დამატებითი ანალიზები სადს-ის ხარჯზე. თუ აღებულია დამატებითი სინჯები ან ჩატარებულია დამატებითი ანალიზები, ეს ფაქტი უნდა ეცნობოს საერთაშორისო ფედერაციას ან ღონისძიების მთავარ ორგანიზაციას.

5.2.5 თუ წინამდებარე ანტიდოპინგური წესების იურისდიქციის ქვეშ მყოფი სპორტსმენის ტესტირებას ატარებს სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ტესტირების უფლებამოსილება, სადს-მა და სპორტსმენტა ეროვნულმა ფედერაციამ უნდა სცნონ ასეთი

ტესტირების შედეგები მუხლი 15 შესაბამისად (ამ სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან შეთანხმებით ან კოდექსის მუხლი 7 გათვალისწინებული სხვა მექანიზმის მეშვეობით)

5.3 ღონისძიების ტესტირება

5.3.1 გარდა კოდექსის 5.3 მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა, მხოლოდ ერთ ორგანიზაციას ეკისრება ტესტირების ინიცირება და მართვა ღონისძიების ჩატარების ადგილებზე ამ ღონისძიების მსვლელობის პერიოდში. საერთაშორისო ღონისძიებების საქართველოში ჩატარებისას, სინჯების აღება ინიცირდება და იმართება საერთაშორისო ფედერაციის მიერ (ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე ღონისძიების მმართველ ორგანოს). საქართველოში ეროვნული ღონისძიების ჩატარებისას სინჯების აღება ინიცირდება და იმართება სადს-ის მიერ. სადს-ის (ან ღონისძიების მმართველი ორგანოს) თხოვნით, ნებისმიერი ტესტირება ღონისძიების ჩატარების ადგილების გარეთ უნდა იყოს სადს-თან (ან შესაბამის მმართველ ორგანოსთან) კოორდინირებული.

5.3.2 თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელსაც სხვა შემთხვევაში აქვს ტესტირების უფლება, მაგრამ არა აქვს ტესტირების ინიცირების და მართვის უფლებამოსილება მოცემულ ღონისძიებასთან მიმართებაში, გამოთქვავს სურვილს ჩაატაროს სპორტსმენების ტესტირება ღონისძიების ჩატარების ადგილებზე ღონისძიების ჩატარების პერიოდში, იგი ჯერ უნდა მოეთათბიროს სადს (ან ღონისძიების მმართველ ორგანოს) ტესტირების ჩატარების და კოორდინირების ნებართვის მისაღებად. თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია არ დაკმაყოფილდა სადს-ის (ან ღონისძიების მმართველი ორგანოს) პაუზით, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია მიმართოს თხოვნით მადს მიიღოს ტესტირების ჩატარების და მისი კოორდინირების მეთოდების განსაზღვრის ნებართვა, ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. მადს-მა არ უნდა გასცეს ასეთი ნებართვა სადს-თან (ან ღონისძიების მმართველ ორგანოსთან) კონსულტაციების და მათი ინფორმირების გარეშე. მადს-ის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. თუ ტესტირების ჩატარების ავტორიზაციის დოკუმენტში სხვაგვარად არ არის გაწერილი, ასეთი ტესტირება უნდა განიხილოს, როგორც არასაშეჯიბრო პერიოდში ჩატარებული ტესტირება. შედეგების მართვა ნებისმიერი ასეთი ტესტირებისათვის ტესტირების მაინიცირებელი ანტიდოპინგური ორგანიზაციის პასუხისმგებლობაა, თუ ეს არ არის სხვაგვარად გაწერილი ღონისძიების მმართველი ორგანოს წესებში.

5.3.3 ეროვნული ღონისძიებების ჩამტარებელმა ეროვნულმა ფედერაციებმა და საორგანიზაციო კომიტეტებმა უნდა გასცენ დამოუკიდებელი დამკვირვებლის პროგრამის შესრულების ნებართვა და ხელი შეუწყონ მას.

5.4 ტესტირების დაგეგმვა

ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და იგივე სპორტსმენების ტესტირების შემსრულებელ სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან კოორდინირებული მოქმედებით, სადს-მა უნდა შეიმუშავოს ეფექტური, გონივრული და პროპორციანალური ტესტირების გავრცელების გეგმა, რომელიც სწორად განსაზღვრავს პრიორიტეტებს სპორტის სახეობების, სპორტსმენების კატეგორიების, ტესტების ტიპის, აღებული სინჯების ტიპის და სინჯების ანალიზის სახეობების მიმართ, და ყოველივე ეს სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან. მადს-ის მოთხოვნით სადს-მა უნდა მიაწოდოს მას თავისი მიმდინარე ტესტირების განაწილების გეგმის ასლი.

5.5. ტესტირების კოორდინირება

მიზანშეწონილობის შემთხვევაში ტესტირების კოორდინირება უნდა ხდებოდეს ანტიდოპინგური ადმინისტრაციის და მართვის სისტემის (ადამს) ან მადს-ის მიერ მოწონებული სხვა სისტემის მეშვეობით ტესტირების კომბინირებული ძალისხმევის ეფექტურობის მაქსიმალიზაციისათვის, და არასაჭირო განმეორებითი ტესტირებისაგან თავის არიდების მიზნით.

5.6 ინფორმაცია სპორტსმენის ადგილმდებარეობის შესახებ

5.6.1 სადს-მა უნდა გამოავლინოს იმ სპორტსმენების რეგისტრირებული ტესტირების პული, რომლებიც მოველენი არიან შეასრულონ ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის დანართ I მოყვანილი მოთხოვნები მათი ადგილმდებარეობის ინფორმაციის შესახებ. ყოველმა სპორტსმენმა, რომელიც ირიცხება რეგისტრირებულ ტესტირების პულში, ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის დანართი I შესაბამისად ყველა ცალკეულ შემთხვევაში უნდა მოიქცეს შემდეგნაირად: (ა) კვარტალურად შეატყობინოს სადს თავისი ადგილმდებარეობის შესახებ; (ბ) საჭიროების შემთხვევაში განაახლოს ეს ინფორმაცია, რათა იგი ყოველთვის იყოს ზუსტი და სრული; და (გ) უზრუნველყოს თავისი ხელმისაწვდომლობა ტესტირებისათვის დათქმულ ადგილებზე.

5.6.2 ადამს-ის მეშვეობით სადს-მა უნდა უზრუნველყოს რეგისტრირებული ტესტირების პულში შეყვანილი სპორტსმენების სახელობითი ან მკაფიოდ განსაზღვრული სპეციფიური კრიტერიუმების მქონე სიის ხელმისაწვდომობა. სადს-მა უნდა მოახდინოს ასეთი სპორტსმენების იდენტიფიკაცია და მათი ადგილმდებარეობის ინფორმაციის მოპოვება საერთაშორისო ფედერაციებთან კოორდინირებული ქმედებების მეშვეობით. როცა სპორტსმენი შეყვანილია რეგისტრირებული ტესტირების საერთაშორისო პულში თავისი საერთაშორისო ფედერაციის მიერ, ხოლო სადს-მა შეიყვანა იგი რეგისტრირებული ტესტირების ეროვნულ პულშიც, მაშინ სადს-ი და საერთაშორისო ფედერაცია უნდა შეთანხმდნენ სად შეინახება სპორტსმენის ადგილმდებარეობის ინფორმაცია; არავითარ შემთხვევაში სპორტსმენს არ მოეთხოვება დაარეგისტრიროს თავისი ადგილმდებარეობა ერთზე მეტ ორგანიზაციაში. სადს-მა უნდა გადახედოს და საჭიროებისამებრ განაახლოს თავისი კრიტერიუმები სპორტსმენების რეგისტრირებული ტესტირების პულში შესაყვანად, და დრო და დრო გადახადოს რეგისტრირებული ტესტირების პულის წევრობას ამ კრიტერიუმების შესაბამისად. სპორტსმენებს უნდა შეატყობინონ მისი რეგისტრირებული ტესტირების პულში შეყვანის შესაძლებლობის და ამ პულიდან მისი ამოღების შესახებ.

5.6.3 2.4. მუხლის თანახმად, სპორტსმენის მიერ ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დაუდევრობა უნდა ჩაითვალოს მონაცემების მიღების წარუმატებლობად ან დაკარგულ ტესტად (ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის განმარტების შესაბამისად), თუ სრულდება ტესტირების და გამოძიების სტანდარტში მითითებული მონაცემების მიღების წარუმატებლობის ან დაკარგული ტესტის კვალიფიკაციის მინიჭების პირობები.

5.6.4 სადს-ის რეგისტრირებული ტესტირების პულში მითითებული სპორტსმენის ვალდებულება დაემორჩილოს ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის დანართ I მოყვანილ მოთხოვნებს ძალაში რჩება მანამდე, სანამ (ა) სპორტსმენი წერილობით არ შეატყობინებს სადს, თავისი გადადგომის შესახებ ან (ბ) სადს-ი შეატყობინებს მას, რომ იგი აღარ აკმაყოფილებს სადს-ის რეგისტრირებული ტესტირების პულის მოთხოვნებს.

5.6.5 სპორტსმენის ადგილსამყოფელის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მადს და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს (ადამს-ის მეშვეობით), რომლებსაც აქვთ სპორტსმენის ტესტირების უფლება, და ეს ინფორმაცია ყოველთვის უნდა იყოს სრულიად კონფიდენციალური; მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ კოდექსის მუხლი 5.6 დებულებების შესრულების მიზნით; როგორც კი ეს ინფორმაცია დაკარგავს თავის მნიშვნელობას ამ

მიზნების მისაღწევად, ის უნდა განადგურდეს კონფიდენციალურობის და პირადი ინფორმაციის დაცვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

5.7 სპორტიდან წასული სპორტსმენების დაბრუნება შეჯიბრში

5.7.1 სადს-ის რეგისტრირებული ტესტირების პულში შეყვანილ სპორტსმენს, რომელმაც წარუდგინა სადს მისი სპორტიდან წასვლის შეტყობინება, არ შეუძლია დაუბრუნდეს საერთაშორისო ან ეროვნულ ღონისძიებებში მონაწილეობას ვიდრე იგი წერილობით არ შეატყობინებს სადს თავის სპორტში დაბრუნების განზრახვაზე და არ უზრუნველყოფს თავის ხელმისაწვდომობას ტესტირებისათვის შეჯიბრში დაბრუნებამდე ექვსი თვით ადრე პერიოდში, და აგრეთვე (მოთხოვნისამებრ) სანამ არ დაემორჩილება ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის დანართ I მოყვანილ მოთხოვნებს. სადს-მა სადს-თან და სპორტსმენის საერთაშორისო ფედერაციასთან კონსულტაციის შემდეგ შეიძლება დაუშვას მოცემული სპორტსმენისათვის წერილობითი შეტყობინების წესიდან გამონაკლისი, თუ მკაცრი ექვსი თვიანი ვადის წესის გამოყენება აშკარად უსამართლოა ამ სპორტსმენის მიმართ. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება მუხლი 13 შესაბამისად. შეჯიბრის ნებისმიერი შედეგები, რომლებიც მიიღება წინამდებარე 5.7.1 მუხლის დარღვევით, უნდა იქნას დისკვალიფიცირებული.

5.7.2 თუ სპორტსმენი ტოვებს სპორტს მისი დისკვალიფიკაციის პერიოდში, იგი არ უნდა დაუბრუნდეს საერთაშორისო ან ეროვნული ღონისძიებების შეჯიბრებს, სანამ იგი არ წარუდგენს საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს ან საერთაშორისო ფედერაციას ექვსი თვით ადრე წერილობით შეტყობინებას (ან შეტყობინებას, რომელიც ეკვივალენტურია დარჩენილი დისკვალიფიკაციის პერიოდისა სპორტსმენის სპორტიდან გასვლის ოფიციალური თარიღიდან ათვლით, თუ ეს პერიოდი აღემატება ექვს თვეს) სპორტში დაბრუნების თავისი განზრახვის შესახებ, და არ უზრუნველყოფს თავის ხელმისაწვდომობას ტესტირებისათვის ამ შეტყობინების მიწოდების თარიღიდან, და აგრეთვე (მოთხოვნისამებრ) არ დაემორჩილება ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის დანართ I მოყვანილ მოთხოვნებს.

5.7.3 სპორტსმენს, რომელიც არ არის შეყვანილი სადს-ის რეგისტრირებული ტესტირების პულში და რომელმაც წარუდგინა სადს მისი სპორტიდან წასვლის შეტყობინება, არ შეუძლია დაუბრუნდეს შეჯიბრებში მონაწილეობას, ვიდრე იგი წერილობით არ შეატყობინებს სადს თავის სპორტში დაბრუნების განზრახვის შესახებ სულ მცირე ექვსი თვით ადრე, და არ

უზრუნველყოფს არასაშეჯიბრო პერიოდში თავის ხელმისაწვდომობას ტესტირებისათვის წინასწარი გაფრთხილების გარეშე და აგრეთვე (მოთხოვნისამებრ) არ დაემორჩილება ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის დანართ I მოყვანილ სპორტსმენის ადგილსამყოფელის მოთხოვნებს, შეტყობინების ჩაბარების თარიღიდან შეჯიბრში ფაქტობრივ დაბრუნებამდე.

მუხლი 6. სინჯების ანალიზი

სინჯების ანალიზი ხდება შემდეგი პრინციპების დაცვით:

6.1 აკრედიტებული და მოწონებული ლაბორატორიების გამოყენება

მუხლი 2.1 თანახმად სინჯების ანალიზი უნდა ხდებოდეს მხოლოდ მადს მიერ აკრედიტებულ ან მოწონებულ ლაბორატორიებში. სინჯების ანალიზისათვის მადს მიერ აკრედიტებული ან მოწონებული ლაბორატორიის არჩევა ექსკუზიურად სადს პრეროგატივაა.

[მუხლი 6.1 კომენტარი: მუხლი 2.1 დაეღვევები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ სინჯის ანალიზით, რომელიც კეთდება მადს მიერ აკრედიტებულ ან სხვაგვარად მოწონებულ ლაბორატორიაში. სხვა მუხლების დარღვევები შეიძლება დადგინდეს სხვა ლაბორატორიებიდან მიღებული ანალიტიკური შედეგებით, თუ ეს შედეგები სანდოა].

6.2 სინჯების ანალიზის მიზანი

6.2.1 სინჯების ანალიზი ემსახურება აკრძალული ნივთიერებების ან აკრძალული მეთოდების და მადს მითითებით სხვა ნივთიერებების გამოყენების ფაქტების დადგენას კოდექსის მუხლი 4.5 აღწერილი მონიტორინგის პროგრამის შესაბამისად; ან სპორტსმენის შარდში, სისხლში ან სხვა მატრიქსში შესაბამისი პარამეტრების დადგენის ხელშეწყობას, მათ შორის დნმ-ის ან გენომური პროფილის შედგენას; ან ნებისმიერ სხვა ლეგიტიმურ ანტიდოპინგურ მიზანს.

[მუხლი 6.2 კომენტარი: მაგალითად, სპორტსმენის პროფილის შესაბამისი ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მიზნობრივი ტესტირების სამართავად ან მუხლი 2.2 შესაბამისად ანტიდოპინგური დარღვევის დაფიქსირების მხარდასაჭერად, ან ორივე შემთხვევაში ერთად]

6.2.2 სადს უნდა მისთხოვოს ლაბორატორიებს გააკეთონ დოპინგ კონტროლის სინჯების ანალიზი კოდექსის მუხლი 6.7 და ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის მუხლი 4.7 მკაცრ შესაბამისობაში.

6.3 სინჯების კვლევისათვის გამოყენება

არც ერთი სინჯი არ შეიძლება იყოს კვლევითი მიზნით გამოყენებული სპორტსმენის წერილობითი თანხმობის გარეშე. მუხლი 6.2 განსაზღვრული მიზნების გარდა სინჯების სხვა მიზნით გამოყენების შემთხვევაში, მათ უნდა მოსცილდეს ნებისმიერი საიდენტიფიკაციო ნიშანი, რომ არ მოხდეს სინჯისა და სპორტსმენის ურთიერთდაკავშირება.

6.4 სინჯის ანალიზის და შედეგების მოწოდების სტანდარტები

ლაბორატორიებმა უნდა გაანალიზონ სინჯები და გააფორმონ მიღებული შედეგები ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ეფექტური ტესტირების უზრუნველსაყოფად კოდექსის 5.4.1 მუხლში მითითებული ტექნიკური დოკუმენტი რისკის შეფასების საფუძველზე ადგენს სინჯის ანალიზის მენიუს სპორტის სპეციფიური სახეობისათვის და სპორტული დისციპლინებისათვის, და ლაბორატორიებმა უნდა მოახდინონ სინჯების ანალიზი ამ მენიუს შესაბამისად, შემდეგი შემთხვევების გარდა:

6.4.1 სადს შეიძლება მოითხოვოს ლაბორატორიებისაგან სინჯების უფრო ვრცელი მენიუთი გაანალიზება, ვიდრე ამას იძლევა ტექნიკური დოკუმენტი.

6.4.2 სადს შეიძლება მოითხოვოს ლაბორატორიებისაგან სინჯების ნაკლებად ვრცელი მენიუთი გაანალიზება, ვიდრე ამას იძლევა ტექნიკური დოკუმენტი, იმ პირობით, რომ ასეთი ვარიანტი

აკმაყოფილებს მადს, რადგან ტესტირების განაწილების გეგმაში განმარტებულია, რომ მოცემულ ქვეყანაში არსებული გარკვეული გარემოებების გამო, ან კონკრეტული სპორტის სახეობისათვის ნაკლებად ვრცელი ანალიზი უფრო უპრიანია.

6.4.3 ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ლაბორატორიებს საკუთარი ინიციატივით და თავისი ხარჯებით შეუძლიათ მოახდინონ სინჯების დამატებითი ანალიზი აკრძალური ნივთიერებების და აკრძალული მეთოდების გამოსავლენად ტექნიკური დოკუმენტის ან ტესტირების ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული სინჯების ანალიზის მენიუსაგან განსხვავებული მეთოდებით. ნებისმიერი ასეთი ანალიზების შედეგები უნდა გაფორმდეს ანალიზის პასუხების დოკუმენტში, და მათ უნდა მიენიჭოს იგივე იურიდიული ძალა, როგორც ნებისმიერ სხვა ანალიტიკურ შედეგს.

[მუხლი 6.4 კომენტარი: ამ მუხლის ამოცანაა “გონივრული ტესტირების” პრინციპის სინჯის ანალიზის მენიუზე გავრცელება, რათა მოხერხდეს დოპინგის მაქსიმალურად ეფექტურად გამოვლენა. ცნობილია, რომ ანტიდოპინგური ხელმისაწვდომი რესურსები შეზღუდულია, და რომ სინჯების ანალიზის მენიუს გავრცელებამ სპორტის ზოგიერთი სახეობებისათვის და ზოგ ქვეყანაში შეიძლება შეამციროს გაანალიზებული სინჯების რაოდენობა].

6.5 სინჯების შემდგომი ანალიზი

ნებისმიერი სინჯი შეძლება შეინახოს, და მოგვიანებით მოხდეს მისი შემდგომი ანალიზი მუხლი 6.2 მოყვანილი მიზნებით: (ა) მადს მიერ ნებისმიერ დროს; და/ან (ბ) სადს მიერ ნებისმიერ დროს ა და ბ სინჯების ანალიზის პასუხების მიღებამდე (ან სინჯის ანალიზის პასუხები, როცა ბ სინჯის ანალიზი გადაიდო ან არ გაკეთდება), და სადს აცნობებს სპორტსმენს, რომ ეს გაკეთდა ანტიდოპინგური წესის დარღვევის მუხლი 2.1 საფუძველზე. სინჯების ასეთი შემდგომი ანალიზები უნდა აკმაყოფილებდეს ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტსა და ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს.

მუხლი 7. შედეგების მართვა: პასუხისმგებლობა, პირველადი განხილვა, შეტყობინება და დროებითი დისკვალიფიკაცია

ანტიდოპინგური წესების შედეგების მართვა უზრუნველყოფს ანტიდოპინგური წესების დარღვევის განხილვას სამართლიანად, დროულად და ეფექტურად.

7.1 შედეგების მართვის პასუხისმგებლობა

7.1.1 თუ სხვაგვარად არ არის მითითებული მუხლებში 6.6., 6.8 და კოდექსის 7.1 მუხლში, შედეგების მართვა უნდა იყოს და უნდა წარმართოს იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის პროცედურული წესების მიხედვით, რომელმაც დაიწყო და წარმართა სინჯების აღება (ან თუ სინჯის აღება არ ხდება, მაშინ ის ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელიც შეატყობინებს სპორტსმენს ან სხვა პირს ანტიდოპინგური წესების შესაძლო დარღვევის შესახებ და დაიწყებს ამ წესების დარღვევის გამოძიებას.)

7.1.2 თუ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესები არ აძლევს მას უფლებას განახორციელოს შედეგების მართვა იმ სპორტსმენის მიმართ, რომელიც არ არის ამ ანტიდოპინგური ორგანიზაციის ქვეყნის მოქალაქე, რეზიდენტი, ლიცენზიის მფლობელი ან სპორტული ორგანიზაციის წევრი, მაშინ შედეგების მართვა შეიძლება განახორციელოს შესაბამისმა საერთაშორისო ფედერაციამ ან მესამე მხარემ, რომელსაც აქვს სპორტსმენზე ან სხვა პირზე უფლებამოსილება შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის წესებიდან გამომდინარე.

7.1.3 შედეგების მართვა პოტენციური ადგილმდებარეობის წესის დარღვევასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ფედერაციის ან სადსის მიერ, ვისთანაც სპორტსმენი წარადგენს ამ ინფორმაციას შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. თუ სადსი დაადგენს ადგილმდებარეობის წესის დარღვევას ან გამოტოვებულ ტესტს, მან ეს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს ადამსის საშუალებით, საიდანაც ეს ინფორმაცია ასევე ცნობილი გახდება სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვისაც..

7.1.4 სხვა შემთხვევები, როდესაც სადსს აქვს უფლებამოსილება განახორციელოს შედეგების მართვა ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო სპორტსმენის ან სხვა პირის მხრიდან, რომელიც შედის მის დაქვემდებარებაში, განისაზღვრება კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად.

7.1.5 მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ შეიძლება მიმართოს სადს შედეგების მართვის განსახორციელებლად, კონკრეტული გარემოებების არსებობისას. თუ სადსი უარს განაცხადებს შედეგების მართვის ჩატარებაზე გონივრულ ვადებში, რომელიც დადგენილია მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ, ამგვარი უარი შეიძლება ჩაითვალოს შეუსაბამოზად, და მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ შეიძლება იმ სხვა ანტიდოპინგურ

ორგანიზაციას დაავალოს შედეგების მართვის განხორციელება, რომელსაც აქვს სპორტსმენსზე და სხვა პირზე უფლებამოსილება და რომელიც თანახმაა განახორციელოს შედეგების მართვა. თუ ამგვარი ანტიდოპინგური ორგანიზაცია არ არსებობს, მაშინ ნებისმიერი სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელიც თანახმაა შედეგების მართვის განხორციელებაზე. ასეთ შემთხვევებში სადსი ვალდებულია აანაზღაუროს შედეგების მართვის და იურისტის ხარჯები, რომელიც გასწია სხვა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, ხოლო ამ ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმა, ჩაითვლება კოდექსთან შეუსაბამობად.

7.2 ანტიდოპინგური წესების შესაძლო დარღვევის განხილვა და შეტყობინება

სადსმა უნდა განახორციელოს შესაძლო ანტიდოპინგური წესების დარღვევის განხილვა და შეტყობინება შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

7.3 წინა ანტიდოპინგური წესების დარღვევის დადგენა

მანამ, სანამ მოხდება სპორტსმენის ან სხვა პირის შეტყობინება შესაძლო ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით როგორც ზემოთ არის ნახსენები, სადსმა უნდა მიმართოს ადამსს და მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, ასევე სხვა შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, რომ განსაზღვროს, მოხდა თუ არა მანამდე ანტიდოპინგური წესების დარღვევა.

7.4 დროებითი დისკვალიფიკაცია²³

7.4.1 სავალდებულო დროებითი დისკვალიფიკაცია არასასურველი ანალიტიკური ან საპასპორტო შედეგის დადგომის გამო.

თუ სადსი მიიღებს არასასურველ ანალიტიკურ ან საპასპორტო შედეგს (მას შემდეგ რაც მოხდება არასასურველი საპასპორტო შედეგის განხილვა) აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამო, რომელიც არ არის განსაზღვრული ნივთიერება ან განსაზღვრული მეთოდი, მაშინ უნდა მოხდეს დროებითი დისკვალიფიკაციის დაწესება სპორტსმენზე მაშინვე, როგორც კი მოხდება განხილვა და შეტყობინება მუხლი 7.2. ის შესაბამისად.

სავალდებულო დროებითი დისკვალიფიკაცია შეიძლება გაუქმდეს თუ: 1. სპორტსმენი დაუმტკიცებს სადსის განმხილველ პანელს რომ დარღვევა დაკავშირებული იყო

²³ [კომენტარი მუხლზე 7.4: მანამ, სანამ სადსი დააწესებს დროებითი დისკვალიფიკაციას, უნდა მოხდეს ანტიდოპინგური წესების და შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი შიდა განხილვების ჩატარება]

დაბინძურებულ ნივთიერებასთან, ან 2. დარღვევა დაკავშირებულია ბოროტად გამოყენებულ ნივთიერებასთან და სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ მას უფლება აქვს მიიღოს შემცირებული დისკვალიფიკაციის პერიოდი მუხლის 10.2.4.1-ის შესაბამისად. სადსის პანელის გადაწყვეტილება რომ გაუქმდეს დროებითი დისკვალიფიკაცია, რომელიც ეფუძნება სპორტსმენის მტკიცებას დაბინძურებულ ნივთიერებასთან დაკავშირებით, არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

7.4.2 არასასურველი დროებითი დისკვალიფიკაცია, რომელიც ეფუძნება არასასურველ ანალიტიკურ შედეგს განსაზღვრული ნივთიერების და განსაზღვრული მეთოდისთვის, დაბინძურებულ პროდუქტებს ან სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევას, სადსმა შეიძლება დააწესოს დროებითი დისკვალიფიკაცია ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული მუხლით 7.4.1 სპორტსმენის ბ სინჯის ანალიზის გაკეთებამდე, ან მე-8 მუხლით გათვალისწინებულ საბოლოო მოსმენამამდე.

არასასურველი დროებითი დისკვალიფიკაცია შეიძლება გაუქმდეს სადსის გადაწყვეტილებით ნებისმიერ დროს, სადსის განმხილველი პანელის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მე-8 მუხლის შესაბამისად, თუ შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

არასავალდებულო დისკვალიფიკაცია შეიძლება გაუქმდეს სადსის გადაწყვეტილებით ნებისმიერ დროს, მანამ სანამ საქმის განმხილველი მხარე გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას მე-8 მუხლის შესაბამისად, თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

7.4.3 მოსმენისა და გასაჩივრების შესაძლებლობა

მუხლების 7.4.1 და 7.4.2 მიუხედავად, დროებითი დისკვალიფიკაცია არ შეიძლება დაწესდეს, თუ სპორტსმენს ან სხვა პირს არ მიეცემა: ა) შუალედური მოსმენის შესაძლებლობა დროებითი დისკვალიფიკაციის დაწესებამდე ან მისი დაწესებიდან გონივრულ ვადაში, ან ბ) დაჩქარებული მოსმენის უფლება მუხლი 8 შესაბამისად დროებითი დისკვალიფიკაციის დაწესებიდან გონივრულ ვადებში.

დროებითი დისკვალიფიკაციის დაწესება, ან გადაწყვეტილება, რომ არ დაწესდეს დროებითი დისკვალიფიკაცია, შეიძლება გასაჩივრდეს დაჩქარებული წესით მუხლი 12-ის შესაბამისად.

7.4.4 დროებითი დისკვალიფიკაციის ნებაყოფლობითი აღიარება

სპორტსმენს თავისი ინიციატივით უფლება აქვს აღიაროს დროებითი დისკვალიფიკაცია არა უგვიანეს 1. ბ სინჯის გაგზავნიდან ათი დღისა (ან როდესაც უარი ითქვა ბ სინჯის ანალიზზე)

ან ათი დღისა, მას შემდეგ რაც მოხდა ანტიდოპინგური წესების დარღვევის შეტყობინება, ან 2-იმ დღისა, როდესაც სპორტსმენი პირველად მიიღებს მონაწილეობას შეჯიბრში ამგვარი შეტყობინების მიღებიდან.

სხვა პირებს უფლება აქვთ თავისი ინიციატივით აღიარონ დროებითი დისკვალიფიკაცია ათი დღის ვადაში, მას შემდეგ რაც მიიღეს ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ შეტყობინება.

ამგვარი დროებითი აღარების შემთხვევაში, დროებითი დისკვალიფიკაცია შედის ძალაში და აქვს იგივე ძალა, როგორც დროებით დისკვალიფიკაციას, რომელიც წესდება მუხლების 7.4.1 ან 7.4.2 ის მიხედვით, თუმცა, ნებაყოფლობითი აღიარების შემთხვევაში სპორტსმენს ან სხვა პირს ნებისმიერ დროს შეუძლია აღიარების გაუქმება, ამ შემთხვევაში, სპორტსმენს ან სხვა პირს არ ჩაეთვლება ეს პერიოდი დროებითი დისკვალიფიკაციის ვადაში.

7.4.5 თუ დროებითი დისკვალიფიკაციაა წესდება არასასურველი ანალიტიკური შედეგის გამო და შესაბამისი ბ სინჯის ანალიზი (თუ ამას მოითხოვს სპორტსმენი ან სადსი), არ ადასტურებს ა სინჯის შედეგს, მაშინ სპორტსმენს არ შეიძლება დაეკისროს დროებითი დისკვალიფიკაცია მუხლი 2.1 დარღვევისთვის. იმ შემთხვევებში, როდესაც სპორტსმენი ან სპორტსმენის გუნდი გაირიცხა შეჯიბრიდან მუხლი 2.1 დარღვევის გამო და ბ სინჯის ანალიზი არ დაადასტურებს ა სინჯის ანალიზის შედეგს, მაშინ შესაძლებელია სპორტსმენის ან მისი გუნდის აღდგენა ღონისძიებაზე, თუ ეს გავლენას არ იქონიებს ამ ღონისძიებაზე.

7.5 შედეგების მართვის გადაწყვეტილებები

შედეგების მართვის გადაწყვეტილებები ან სადსის მიერ მიღებული სხვა განჩინებები არ არის კონკრეტული გეოგრაფიული არეალით ან სპორტით შემოსაზღვრული და უნდა ეხებოდეს და განსაზღვრავდეს შემდეგ საკითხებს: 1. მოხდა თუ არა ანტიდოპინგური წესების დარღვევა ან უნდა დაწესდეს თუ არა დროებითი დისკვალიფიკაცია და ამგვარი გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთება, და რომელი მუხლები არის დარღვეული და 2. ყველა შედეგი, რაც დადგება ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო, მათ შორის გამოსაყენებელი დისკვალიფიკაცია მუხლების 9 და 10.10 შესაბამისად, მედლებისა და პრიზების ჩამორთმევის საკითხი, დისკვალიფიკაციის პერიოდი და ფინანსური შედეგები..²⁴

²⁴ [კომენტარი მუხლზე 7.5: შედეგების მართვის გადაწყვეტილებები მოიცავს დროებით დისკვალიფიკაციას . სადსის თითოეული გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს მოხდა თუ არა ანტიდოპინგური წესების დარღვევა და ყველ ის შედეგი, რაც გათვალისწინებულია ამგვარი დარღვევისთვის, მათ შორის დისკვალიფიკაციას, გარდა მუხლი 10.1. გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის (რომელიც ამ უფლებამოსილებას ანიჭებს ღონისძიების ორგანიზატორს.) მუხლი 15 ის მიხედვით ამგვარი გადაწყვეტილებები და შედეგების დკისრება ავტომატურდგერელდება ყველ პსორტზე ყველ ქვეყანაში. მაგალითად იმის განსასაზღვრად რომ სპორტსმენმა ჩაიდნა ანტიდოპინგური წესების დარღვევა, რომელიც ეფუძნება არსასაზღვრელანალოტურშედგეს საშეჯიბროპერიოდში სპორტსმენის შედეგები ამ შეჯიბრში გაუქმდება მუხლი 9-ის მიხედვითად ყველ სხვა შედეგი, რომელიც მიღწეულია სპორტსმენის მიერ მას შემდეგ რაც მოხდა სინჯის აღება დისკვალიფიკაციის მთელ პერიოდს განმავლობაში, ასევე გაუქმდება მუხლის 10.10 შესაბამისად თუ არასასაზღვრელ ანალოტურ შედეგი დდება ღონისძიებაზე სინჯის აღების საფუძველზე, მაშინ მთავარი ღონისძიების ორგანიზატორს აქვს უფლება გადაწყვიტოს, გაუქმდება თუ არა ამ სპორტსმენის ინდივიდუალური შედეგები ამ ღონისძიებაზე, რომელიც მან მიიღოს სინჯის აღებამდე მუხლის 10.1 შესაბამისად]

7.6 შედეგების მართვის გადაწყვეტილების შეტყობინება

სადსმა უნდა შეატყობინოს სპორტსმენებს, სხვა პირებს, ხელმომწერ მხარეებსა და მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს შედეგების მართვის გადაწყვეტილების შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია მუხლით 14.2 და შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტით.

7.7 სპორტიდან წასვლა²⁵

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი წავა სპორტიდან სადსის მიერ შედეგების მართვის განხორციელებისას, სადს უფლება აქვს დაასრულოს შედეგების მართვის პროცესი. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი სპორტიდან წავა სადსის მიერ შედეგების მართვის დაწყებამდე და სადს ექნებოდა ამ სპორტსმენის ან სხვა პირის მიმართ შედეგების მართვის განხორციელების უფლებამოსილება იმ დროს, როდესაც მან ჩაიდინა ანტიდოპინგური წესების დარღვევა, სადს აქვს უფლება განახორციელოს შედეგების მართვა.

მუხლი 8 შედეგების მართვა: სამართლიანი განხილვისა და განხილვის გადაწყვეტილების შეტყობინების უფლება

ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც წაყენებულია ანტიდოპინგური წესების დარღვევის ბრალდება, სადსი ვალდებულია უზრუნველყოს სამართლიანი მოსმენით გონივრულ ვადებში, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი საქმის განხილვის პანელის მიერ, კოდექსისა და შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

8.1 სამართლიანი მოსმენა

²⁵ [კომენტარი მუხლზე 7.7: სპორტსმენის ან სხვა პირის ქმედება, სანამ ეს სპორტსმენი ან სხვა პირი მოექცეოდა ნებისმიერი ანტიდოპინგური სააგენტოს იურისდიქციის ქვეშ არ უნდა ჩაითვალოს ანტიდოპინგური წესების დარღვევად, თუმცა, შეიძლება გახდეს ამ სპორტსმენის ან სხვა პირის სპორტული ორგანიზაციის წევრობაზე უარის ლეგიტიმური საფუძველი..]

8.1.1 საქმის განხილველი სამართლიანი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი პანელი

8.1.1.1 სადსმა უნდა შექმნას ანტიდოპინგური საქმეების განხილვის პანელი, რომელსაც აქვს უფლებამოსილება განსაზღვროს მოახდინა თუ არა სპორტსმენმა ან სხვა პირმა ანტიდოპინგური წესების დარღვევა და დააწესოს შესაბამისი შედეგები.

8.1.1.2 სადსმა უნდა უზრუნველყოს ანტიდოპინგური საქმეების განხილვის პანელი დამოუკიდებლობა ინტერესთა კონფლიქტისგან და მისი შემადგენლობა, მოქმედების პერიოდი, პროფესიული განათლება, ოპერაციული დამოუკიდებლობა და შესაბამისი დაფინანსება შეესაბამება შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს.

8.1.1.3 საბჭოს წევრები, თანამშრომლები, კომისიის წევრები, კონსულტანტები ან სადსის და მისი ორგანოების სხვა ოფიციალური წარმომადგენლები, ასევე ნებისმიერი პირი, რომელიც ჩართულია გამოძიებაში და საქმის წინასწარ განხილვაში, არ შეიძლება დაინიშნოს როგორც წევრი და/ან დამხმარე (ამგვარი დამხმარე არ შეიძლება გადაწყვეტილების განხილვის ან მისი ჩამოყალიბების მონაწილე იყოს) ანტიდოპინგური საქმეების განხილვის პანელში, ამასთან, არც ერთ წევრს არ უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული თერაპიული გამონაკლისის განხილვაში, შედეგების მართვის გადაწყვეტილებაში ან ამ საქმესთან დაკავშირებულ საგაჩივრების საქმეში.

8.1.1.4 სადსის ანტიდოპინგური საქმეების განხილვის პანელი უნდა შედგებოდეს დამოუკიდებელი თავმჯდომარისგან და სხვა 4 დამოუკიდებელი წევრისაგან.

8.1.1.5 თითოეული წევრი უნდა დაინიშნოს მათი სამართლებრივი, სპორტული, სამედიცინო ან/და სამეცნიერო გამოცდილების შესაბამისად. თითოეული წევრი ინიშნება ერთხელ განახლებადი 3 წლის ვადით.

8.1.1.6 სადსის საქმის განხილვის პანელს უნდა შეეძლოს საქმე განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება სადსის ან მესამე პირების ამ პროცესში ჩარევის გარეშე.

8.1.2 განხილვის პროცესი

8.1.2.1 როდესაც სადსი უგზავნის შეტყობინებას სპორტსმენს ან სხვა პირს შესაძლო ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე და სპორტსმენი ან სხვა პირი უარს არ აცხადებს საქმის განხილვაზე მუხლის 8.3.1 ან 8.3.2 შესაბამისად, მაშინ საქმე გადაეგზავნება სადსის საქმის განხილვის პანელს, რომელმაც საქმე უნდა განიხილოს შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის მე-8 და მე-9 მუხლებში ჩამოყალიბებული პრინციპების შესაბამისად.

8.1.2.2 თავმჯდომარემ უნდა დაინიშნოს სამი წევრი (რომელიც ასევე შეიძლება მოიცავდეს თავმჯდომარეს) საქმის განსახილველად. საქმის განხილვის პროცესში პანელის ეერთი წევრი უნდა იყოს კვალიფიციური იურისტი, რომელსაც უნდა გააჩნდეს არა ნაკლებ სამ წლიანი შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ხოლო ერთი წევრი უნდა იყოს კვალიფიციური

მედიცინის პრაქტიკოსი, რომელსაც გააჩნია არანაკლებ სამწლიანი შესაბამისი სამედიცინო გამოცდილება.

8.1.2.3 თავმჯდომარის მიერ დანიშვნის შემდგომ, პანელის თითოეულმა წევრმა ხელი უნდა მოაწეროს დეკლარაციას, სადაც აღნიშნულია, რომ მათ არ იციან არც ერთი ფაქტისა და გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათ მიუკერძოებლობას, გარდა იმ გარემოებებისა, რაც მათთვის საქმიდან გამომდინარე გახდა ცნობილი.

8.1.2.4 განხილვები რომლებიც ტარდება ღონისძიებებთან დაკავშირებით სპორტსმენის ან სხვა პირის მიმართ, შეიძლება ჩატარდეს დაჩქარებული წესით ანტიდოპინგური საქმის განხილველი პანელის თანხმობის შემთხვევაში.²⁶

8.1.2.5 მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო, საერთაშორისო ფედერაცია და სპორტსმენის ან სხვა პირის ფედერაცია შეიძლება დაესწროს მოსმენას როგორც დამკვირვებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, სადსმა უნდა უზრუნველყოს მათი ინფორმირება შეჩერებულ საქმეებსა და საქმეების განხილვისას მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

8.2 გადაწყვეტილებების შეტყობინება

8.2.1 განხილვის ბოლოს ან დასრულებისთანავე, სადსმა უნდა გამოსცეს წერილობითი გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის მე-9 მუხლის მოთხოვნებს და მოიცავს დასაბუთებას, დისკვალიფიკაციის პერიოდს, შედეგების გაუქმებას მუხლის 10.10 შესაბამისად, და სადაც ეს საჭიროა, დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ რატომ არ მოხდა მაქსიმალური სანქციის გამოყენება.

8.2.2 სადსმა უნდა შეატყობინოს გადაწყვეტილების შესახებ სპორტსმენს ან სხვა პირს და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ გასაჩივრების უფლება მუხლის 13.2.3-ის შესაბამისად და დაუყოვნებლივ განათავსოს ინფორმაცია ადამსში. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მუხლი 13-ის შესაბამისად.

8.3 განხილვაზე უარის თქმა

8.3.1 სპორტსმენს ან სხვა პირს, ვის მიმართაც წაყენებულია ანტიდოპინგური წესების დარღვევის ბრალდება, შეუძლია უარი განაცხადოს განხილვაზე ნებისმიერ დროს და აღიაროს

²⁶ [კომენტარი მუხლზე 8.1.2.4: მაგალითად განხილვა შეიძლება დაჩქარდეს ღონისძიების წინა ღამეს, როდესაც ამ საკითხის გადჭრა მნიშვნელოვანია იმის დასადგენად აქვს თუარ სპორტსმენს შეჯიბრში მონაწილეობის უფლება ან ღონისძიების დროს, როდესაც საქმის გადაწყვეტა დადგენს სპორტსმენის მიერმიღწეულ შედეგების ვალდებულებას ან მისი მიერმონაწილეობის გაგრძელებას.]

სადსის მიერ დაწესებული სანქციები და, თუ ეს შესაძლებელია, მიიღოს სარგებელი შედეგების მართვის შეთანხმებით, როგორც ეს განსაზღვრულია მუხლის 10.8 შესაბამისად.

8.3.2 თუმცა, სპორტსმენს ან სხვა პირს, რომლის მიმართაც წაყენებულია ანტიდოპინგური წესების დარღვევის ბრალდება, ვერ უარყოფს მას დადგენილ ვადებში, რომელიც მითითებულია სადსის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში, მაშინ ჩაითვლება რომ სპორტსმენმა ან სხვა პირმა აღიარა დარღვევა და უარი თქვა საქმის განხილვაზე და აღიარა დაწესებული სანქციები.

8.3.3 იმ შემთხვევებში, როდესაც გამოიყენება მუხლები 8.3.1 და 8.3.2, არ არის სავალდებულო სადსის საქმის განმხილველი პანელის წინაშე საქმის განხილვა. ამის საპირისპიროდ, სადმა უნდა გამოსცეს წერილობითი გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის მე-9 მუხლს და რომელიც მოიცავს დასაბუთებას, დისკვალიფიკაციის პერიოდს, შედეგების დისკვალიფიკაციას მუხლის 10.10 შესაბამისად, და სადაც საჭიროა, დასაბუთებას, თუ რატომ არ მოხდა მაქსიმალური სანქციის გამოყენება.

8.3.4 სადსმა უნდა აცნობოს გადაწყვეტილების შესახებ სპორტსმენს ან სხვა პირს ან სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს გასაჩივრების უფლება მუხლის 13.2.3 შესაბამისად და დაუყოვნებლივ განათავსოს ინფორმაცია ადამსში. სადსმა უნდა გაასაჯაროვოს გადაწყვეტილება მუხლი 14.3.2 მოთხოვნების შესაბამისად.

8.4 ერთჯერადი განხილვა საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში

ანტიდოპინგური წესების დარღვევა რომელიც ეხება საერთაშორისო დონის სპორტსმენებს, ეროვნული დონის სპორტსმენებს ან სხვა პირებს, სპორტსმენის ან სხვა პირის, სადსის (რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება მუხლის 7 შესაბამისად) და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს თანხმობით, შეიძლება განხილულ იქნეს ერთჯერადად პირდაპირ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.²⁷

²⁷ [კომენტარი მუხლზე 8.4: ზოგიერთ შემთხვევებში, ჯამური ღირებულება პირველ ინსტანციაში ჩატარებულ ეროვნულ ან საერთაშორისო განხილვასა და შემდგომ მის ხელახლა განხილვას საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში, შეიძლება იყოს საკმაოდ დიდი. ამიტომ, თუ ამ მუხლში მითითებული ყველა მხარე ეთანხმება იმას, რომ მისი პოზიცია სრულად იქნება გამოხატული და დაცული ერთჯერადად საქმის განხილვით, მაშინ არ არის ორი განხილვის ხარჯების გაღება აუცილებელი. სადს შეუძლია ამგვარ განხილვაში დამკვირვებლად მიიღოს მონაწილეობა.]

მუხლი 9 ინდივიდუალური შედეგების ავტომატური გაუქმება

ანტიდოპინგური წესების დარღვევა ინდივიდუალურ სპორტში საშეჯიბრო პერიოდში ჩატარებულ ტესტირებასთან დაკავშირებით, ავტომატურად იწვევს ამ შეჯიბრში მიღებული შედეგების გაუქმებას ყველა შემდგომ შედეგთან ერთად, მათ შორის მედლების, ქულებისა და პრიზების ჩამორთმევას.²⁸

მუხლი 10 ინდივიდუალური სანქციები

10.1 იმ შეჯიბრის შედეგების გაუქმება, სადაც დაირღვა ანტიდოპინგური წესები

10.1.1 ღონისძიების მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებით, ანტიდოპინგური წესების დარღვევამ მიმდინარე ღონისძიების პერიოდში ან ამ ღონისძიებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს ამ ღონისძიებაში მიღწეული ყველა ინდივიდუალური შედეგის გაუქმება ყველა სათანადო სანქციის დაკისრებით, მათ შორის ყველა მედლის, ქულების და პრიზების ანულირება, გარდა 10.1.2 მუხლით გაწერილი შემთხვევებისა.

ღონისძიებაში მიღწეული სხვა შედეგების გაუქმების გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა იყოს გათვალისწინებული სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, რამდენად სერიოზულია სპორტსმენის მიერ ანტიდოპინგური წესის დარღვევა და იყო თუ არა სხვა შეჯიბრებებში ჩატარებული ტესტირებების პასუხები უარყოფითი.²⁹

10.1.2 თუ სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ მას არ მიუძღვის ბრალი ანტიდოპინგური წესების დარღვევაში ან დაუდევრობაში, სპორტსმენის პიროვნული შედეგები სხვა შეჯიბრებებში არ ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დიდია ალბათობა, რომ

²⁸ [კომენტარი მუხლზე 9: გუნდურ სპორტში, ნებისმიერი ჯილდო, რომელიც მიღებულია ინდივიდუალურად სპორტსმენის მიერ გაუქმდება. თუმცა, გუნდის დისკვალიფიკაცია მოხდება მუხლი 11-ის შესაბამისად. სპორტი, რომელიც არ არის გუნდური, მაგრამ ჯილდო გაიცემა გუნდების მიხედვით, დისკვალიფიკაცია ან სხვა სანქცია დადგება გუნდის მიმართ, თუ მისი ერთი ან მეტი წევრი ჩაიდენს ანტიდოპინგური წესების დარღვევას, როგორც ეს მითითებულია გამოსაყენებელი საერთაშორისო ფედერაციის წესებში.]

²⁹ [კომენტარი მუხლზე 10.1.1: მაშინ, როცა მუხლი 9 განაპირობებს ინდივიდუალური შეჯიბრის შედეგების დისკვალიფიკაციას, თუ სპორტსმენის ტესტირების ანალიზი აკრძალულ ნივთიერებებზე და მეთოდებზე აღმოჩნდა დადებითი ინდივიდუალური შეჯიბრის დროს (მაგ. ზურგზე ცურვის 100 მ დისტანციაზე), წინამდებარე მუხლის შესაბამისად შესაძლებელია ინდივიდუალური შეჯიბრის ყველა ეტაპის შედეგების დისკვალიფიკაცია (მაგ. ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (ცსფ) მსოფლიო ჩემპიონატი.)

გარდა შეჯიბრისა, სადაც დაფიქსირდა ანტიდოპინგური წესების დარღვევა, სხვა შეჯიბრებშიც მიღწეულ შედეგებზე იმოქმედა ანტიდოპინგური წესების დარღვევამ.

10.2 აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის არსებობის, გამოყენების ან გამოყენების მცდელობის ან ფლობის შედეგად გამოწვეული დისკვალიფიკაცია. ქვემოთ მოყვანილია დისკვალიფიკაციის ხანგრძლივობა 2.1, 2.2 ან 2.6 მუხლების დარღვევის გამო, გარდა შემთხვევებისა, როდესაც 10.5, 10.6 ან 10.7 მუხლების თანახმად შესაძლებელია ამ ვადის შემცირება ან შეჩერება:

10.2.1 მუხლი 10.2.4 ის შესაბამისად, დისკვალიფიკაციის ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს, თუ:

10.2.1.1 ანტიდოპინგური წესის დარღვევა არ არის დაკავშირებული განსაზღვრულ ნივთიერებასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს, რომ ანტიდოპინგური წესის დარღვევა არ მომხდარა შეგნებულად.³⁰

10.2.1.2 ანტიდოპინგური წესის დარღვევა დაკავშირებულია მითითებულ ნივთიერებასთან და სადს შეუძლია დაამტკიცოს რომ ანტიდოპინგური წესის დარღვევა შეგნებულად მოხდა..

10.2.2 თუ მუხლი 10.2.4.1 ის შესაბამისად, შეუძლებელია 10.2.1 მუხლის გამოყენება, მაშინ დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა იყოს ორი წელი.

10.2.3 10.2 მუხლში გამოყენებული ტერმინი “შეგნებულად” ემსახურება იმ სპორტსმენების იდენტიფიკაციას, რომლებიც თაღლითობენ. ამგვარად ეს ტერმინი მიესადაგება იმ სპორტსმენებს ან სხვა პირებს, რომლებმაც იცოდნენ, რომ არღვევდნენ ანტიდოპინგურ წესს ან, რომ არსებობს სერიოზული რისკი იმისა, რომ მათი საქციელი შეიძლება იყოს ანტიდოპინგური წესის დარღვევა, ან ამ საქციელის შედეგად ანტიდოპინგური წესი დაირღვევა, და მაინც დემონსტრაციულად უგულველყოფდნენ ამ რისკს. ანტიდოპინგური წესის დარღვევა, რომელიც დაფიქსირდა მხოლოდ შეჯიბრის პერიოდში აკრძალული ნივთიერების აღმოჩენით, შეიძლება განიხილოს როგორც “არა შეგნებული”, თუ ეს ნივთიერება მიეკუთვნება მითითებული ნივთიერებების კატეგორიას, და სპორტსმენს შეუძლია დაამტკიცოს, რომ აკრძალული ნივთიერება იყო გამოყენებული არასაშეჯიბრო პერიოდში. თუ ეს არის მითითებული ნივთიერება და სპორტსმენი შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ეს აკრძალული ნივთიერება მან გამოიყენა არასაშეჯიბრო პერიოდში, ანტიდოპინგური წესის დარღვევა, რომელიც დაფიქსირდა მხოლოდ შეჯიბრის პერიოდში აკრძალული ნივთიერების აღმოჩენით, არ უნდა განიხილოს, როგორც “შეგნებული”, თუ ეს

³⁰ [კომენტარი მუხლზე 10.2.1.1: მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად შესაძლებელია სპორტსმენმა ან სხვა პირმა დაამტკიცოს, რომ ანტიდოპინგური წესის დარღვევა არ ყოფილა ჩადენილი განზრახვით, იმის ჩვენების გარეშე, თუ როგორ შემოვიდა აკრძალული ნივთიერება სპორტსმენის სისტემაში, ნაკლებად სავარაუდოა რომ 2.1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სპორტსმენი წარმატებით დაამტკიცოს, რომ ის მოქმედებდა განზრახვის გარეშე თუ ვერ დაამტკიცებს აკრძალული ნივთიერების წყაროს].

ნივთიერება არ მიეკუთვნება მითითებული ნივთიერებების კატეგორიას, ხოლო სპორტსმენს შეუძლია დაამტკიცოს, რომ იხმარა აკრძალული ნივთიერება არასაშეჯიბრო პერიოდში, და ეს ზრ იყო დაკავშირებული მისი სპორტული მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან..³¹

10.2.4 მუხლი 10.2 ის სხვა დებულებების მიუხედავად, იქ, სადაც ანტიდოპინგური წესების დარღვევა მოხდა ბოროტად გამოყენებული ნივთიერების შედეგად:

10.2.4.1 თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს რომ მიღება ან გამოყენება მოხდა არასაშეჯიბრო პერიოდში და დაკავშირებული არ იყო სპორტული შედეგების გაუმჯობესებასთან, მაშინ დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა იყოს სამი თვე. ამასთან, დისკვალიფიკაციის პერიოდი ამ მუხლის მიხედვით, უნდა შემცირდეს ერთ თვემდე, თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დამაკმაყოფილებლად გაივლის ბოროტად გამოყენებული ნივთიერების მკურნალობის პროგრამას, რომელიც აღიარებულია სადსის მიერ. ამ მუხლით გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის პერიოდის შემდგომი შემცირება დაუშვებელია მუხლი 10.6 ის დებულებებზე დაყრდნობით.³²

10.2.4.2 თუ მიღება, გამოყენება ან ფლობა მოხდა საშეჯიბრო პერიოდში, და სპორტსმენს შეუძლია დაამტკიცოს რომ მიღება, გამოყენება ან ფლობა არ იყო დაკავშირებული სპორტული შედეგების გაუმჯობესებასთან, მაშინ მიღება, გამოყენება ან ფლობა არ უნდა ჩაითვალოს განზრახვით ჩადენილად და არ უნდა მოხდეს დამამძიმებელი გარემოებების შეფარდების საფუძველი მუხლი 10.4 ის მიხედვით.

10.3 დისკვალიფიკაცია სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევისათვის

ქვევით მოყვანილია დისკვალიფიკაციის ხანგრძლივობა სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევისათვის, რომლებიც არ არის გაწერილი 10.2 მუხლში, გარდა 10.6, ან 10.7 მუხლებში გაწერილი შემთხვევებისა:

10.3.1 მუხლების 2.3 და 2.5 დარღვევისთვის, დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა იყოს ოთხი წელი, გარდა იმ შემთხვევებისა: 1. თუ სპორტსმენი სინჯის ჩაუბარებლობის შემთხვევაში დაუშვებულ კომისიას, რომ ანტიდოპინგური წესების დარღვევა არ იყო შეგნებული, დისკვალიფიკაციის პერიოდი განისაზღვრება ორი წლით, 2. ყველა სხვა შემთხვევაში, თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს ისეთი გაუთვალისწინებელი გარემოებების არსებობას, რომელიც ამართლებს დისკვალიფიკაციის პერიოდის შემცირებას ორიდან ოთხ წლამდე

³¹ [კომენტარი მუხლზე 10.2.3: მუხლი 10.2.3 აწესებს „განზრახვის“ სპეციალურ განმარტებას, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ 10.2 მუხლის მიზნებისთვის.]

³² [კომენტარი მუხლზე 10.2.4.1: იმის დადგენა, დამტკიცებულია თუ არა მკურნალობის პროგრამა და გაიარა თუ არა ეს პროგრამა დამაკმაყოფილებლად სპორტსმენს ან სხვა პირმა სადსის დისკრეტია. ეს მუხლი მიზნად ისახავს მისცეს სადსს შესაძლებლობა თვითონ შეაფასოს და დაადგოს ლეგიტიმური და რეპუტაციის მქონე მკურნალობის პროგრამები და არა „ცრუ“ მკურნალობის პროგრამები. ამასთან, მოსალოდნელია, რომ ლეგიტიმური მკურნალობის პროგრამების მახასიათებლები შეიძლება მრავალფეროვანი იყოს და დროთა განმავლობაში შეიცვალოს ისე, რომ WADA- სთვის პრაქტიკული არ იყოს სავალდებულო კრიტერიუმების შემუშავება, მისაღები მკურნალობის პროგრამების დასადგენად.]

პერიოდში ბრალეულობის ხარისხის მიხედვით, 3. თუ საქმე ეხება დაცულ პირს ან რეკრეაციულ სპორტსმენს, მაშინ დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ ორ წელს და მინიმუმ მოიცავდეს გაფრთხილებასა და დისკვალიფიკაციის პერიოდის სრულ გაუქმებას, დაცული პირის ან რეკრეაციული სპორტსმენის ბრალის ხარისხის შესაბამისად.

10.3.2 2.4 მუხლით გათვალისწინებული დარღვევებისათვის დისკვალიფიკაციის პერიოდი ორი წელია, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ერთ წლიან მინიმუმამდე, სპორტსმენის ბრალეულობის ხარისხის მიხედვით. ამ მუხლში მოყვანილი დისკვალიფიკაციის პერიოდის ორიდან ერთწლამდე დიაპაზონში მერყეობა, არ შეიძლება იყოს გამოყენებული იმ სპორტსმენების მიმართ, რომლებიც ხშირად უკანასკნელ წუთში ხდიან ცნობილს დათქმული ადგილსამყოფელის შეცვლას, ან როცა მისი სხვა საქციელი სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ სპორტსმენი ცდილობს თავი აარიდოს ტესტირებას.

10.3.3 2.7 ან 2.8 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევებისათვის დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა შეადგენდეს მინიმუმ ოთხ წელიწადს მაქსიმუმ სამუდამოდ, დარღვევის სიმძიმის მიხედვით. 2.7 ან 2.8 მუხლით გათვალისწინებული დარღვევები დაცული პირის შემთხვევაში უნდა განიხილოს, როგორც განსაკუთრებულად მძიმე დარღვევა, თუ ეს დარღვევა ჩადენილია სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ, და ასეთი დარღვევები უნდა ისჯებოდეს სპორტსმენის დამხმარე პერსონალის სამუდამო დისკვალიფიკაციით, გარდა შემთხვევებისა, როცა იყო გამოყენებული განსაზღვრული ნივთიერება. გარდა ამისა, 2.7 და 2.8 მუხლების სერიოზული დარღვევების შემთხვევები, რომლებიც აგრეთვე შეიძლება წარმოადგენდეს არასპორტული კანონების და რეგულაციების დარღვევებს, უნდა ეცნობის კომპეტენტურ ადმინისტრაციულ, პროფესიულ ან სასამართლო ხელისუფლებას³³

10.3.4 მუხლი 2.9 გათვალისწინებული დარღვევებისათვის დისკვალიფიკაციის პერიოდი შეადგენს მინიმუმ ორ და მაქსიმუმ სამუდამო დარღვევის სერიოზულობის ხარისხის მიხედვით.

10.3.5 გათვალისწინებული დარღვევებისათვის დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა იყოს ორი წელიწადი, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ერთ წლამდე სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხისა და სხვა გარემოებების მიხედვით.³⁴

³³ [კომენტარი მუხლზე 10.3.3: პირებზე, რომლებიც მონაწილეობენ სპორტსმენისათვის დოპინგის მიწოდებაში, ან ეხმარებიან მას დოპინგის გამოყენების დამალვაში, უნდა ვრცელდებოდეს უფრო სერიოზული სანქციები, ვიდრე დადებითი დოპინგ ტესტის მქონე სპორტსმენებზე. ვინაიდან სპორტული ორგანიზაციების სადამსჯელო ღონისძიებები ძირითადად იფარგლება აკრედიტაციის, წევრობის და სპორტის სხვა შეღავათების გაუქმებით, კომპეტენტური ორგანოების ინფორმირება ასეთი სერიოზული დარღვევების შესახებ წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბოჯს დოპინგის მოხმარების გასაჩერებლად].

³⁴ [კომენტარი მუხლზე 10.3.5: როცა 2.10 მუხლში ნახსენები სხვა პირი წარმოადგენს სუბიექტს და არა პიროვნებას, მაშინ ეს სუბიექტი შეიძლება დაისაჯოს მუხლი 12 შესაბამისად].

10.3.6 მუხლი 2.11 დარღვევის შემთხვევაში, დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა იყოს მინიმუმ ორი წელი და მაქსიმუმ სამუდამო, სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ჩადენილი დარღვევის სერიოზულობის გათვალისწინებით.³⁵

10.4 დამამძიმებელი გარემოებები, რამაც შეიძლება გაზარდოს დისკვალიფიკაციის პერიოდი თუ სადსი ინდივიდუალურ შემთხვევაში დააფიქსირებს ანტიდოპინგური წესის დარღვევას, გარდა დარღვევებისა რომელიც გათვალისწინებულია 2.7 (ტრეფიკინგი ან ტრეფიკინგის მცდელობა), 2.8 (ადმინისტრირება ან ადმინისტრირების მცდელობა), 2.9 (თანამონაწილეობა) ან 2.11 (სპორტსმენის ან სხვა პირის ქმედება რომ ხელი შეუშალოს დოპინგის შესახებ ინფორმაციის შეტყობინებას) მუხლებით, მაშინ სახეზეა დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც ამართლებს სტანდარტულ სანქციაზე მკაცრი დისკვალიფიკაციის პერიოდის დაწესებას. დისკვალიფიკაციის სტანდარტული ვადა უნდა გაიზარდოს ორ წლამდე დარღვევის სერიოზულობიდან და დამამძიმებელი გარემოების შინაარსიდან გამომდინარე, თუ სპორტსმენი ან სხვა პირი არ დაამტკიცებს, რომ მათ არ შეეძლოთ ცოდნოდათ რომ დაარღვიეს ანტიდოპინგური წესები.³⁶

10.5 დისკვალიფიკაციის პერიოდის გაუქმება ბრალის ან დაუდევრობის არარსებობის გამო

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს რომ მას არ მიუძღვის ბრალი ან დაუდევრობა, მაშინ ამ დარღვევისთვის გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა გაუქმდეს.³⁷

³⁵ [კომენტარი მუხლზე 10.3.6: თუ აღმოჩნდა რომ ქმედება ეწინააღმდეგება ორივე მუხლს: 2.5 და 2.11, მაშინ გამოყენებული უნდა იყოს ის მუხლი, რომლისთვისაც უფრო მკაცრი სანქცია არის გათვალისწინებული.]

³⁶ [კომენტარი მუხლზე 10.4: დარღვევები მუხლების 2.7, 2.8, 2.9 და 2.11 არ გამოიყენება მუხლში 10.4 რადგან ამ მუხლისთვის დადგენილი სანქციები ითვალისწინებენ საკმარის დისკრეციას, რომ მათი დამრღვევები დაისაჯონ სიცოცხლის ბოლომდე დისკვალიფიკაციით და აღარ საჭიროებს დამატებით დამამძიმებელი გარემოებების განხილვას.]

³⁷ [კომენტარი მუხლზე 10.5: ეს მუხლი და მუხლი 10.6.2 ეხება მხოლოდ სანქციების დაკისრების საკითხს, ისინი არ გამოიყენება იმის განსასაზღვრად, დაირღვა თუ არა ანტიდოპინგური წესები. ეს მუხლები ამოქმედდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, თუ სპორტსმენი დაატყვიცვს, რომ მიუხედავად სათანადო ყურადღებისა, მეთოქემ მოახდინა მისი საბოტაჟირება. მეორე მხრივ, ბრალის ან დაუდევრობა არ არსებობა არ შეეხება შემდეგ შემთხვევებს: ა) ტესტის დადებითი შედეგი არასწორად ეტიკეტირებული ან დაბინძურებული ვიტამინის ან საკვები დანამატის მიღების გამო (სპორტსმენები პასუხისმგებელი არიან იმაზე, თუ რა მოხდება მათ ორგანიზმში, მუხლი 2.1) და გაფრთხილებულები არიან საკვებ დანამატში დაბინძურების არსებობის შესახებ; ბ) აკრძალული ნივთიერების მიღება სპორტსმენისთვის მისი ექიმის ან მწვრთნელის მიერ, მისი საქმის კურსში ჩაყენების გარეშე (სპორტსმენები პასუხისმგებელი არიან მედპერსონალის შერჩევაზე და მათ გაფრთხილებაზე, რომ ვერ მიიღებენ აკრძალულ ნივთიერებებს); გ) საბოტაჟი სპორტსმენის მეუღლის, მწვრთნელის ან მისი გარემოცვის ნებმისმიერი სხვა პირის მხრიდან (სპორტსმენები პასუხისმგებელი არიან იმაზე, თუ რა ხდება მათ ორგანიზმში და აგრეთვე იმ პერსონალის ქცევაზე, ვისაც ანდობენ ხელმისაწვდომობას თავიანთ საკვებსა და

10.6 დისკვალიფიკაციის ვადის შემცირება უმნიშვნელო ბრალის ან უმნიშვნელო დაუდევრობის გამო

10.6.1 განსაკუთრებულ შემთხვევებში 2.1, 2.2 ან 2.6 მუხლების დარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციების შემსუბუქება.

მუხლი 10.6.1 გათვალისწინებული ყველა შემსუბუქება არის ურთიერთგამომრიცხავი და არ შეიძლება მათი კუმულაციურად გამოყენება.

10.6.1.1 განსაზღვრული ნივთიერებები ან განსაზღვრული მეთოდები

როდესაც ანტიდოპინგური წესების დარღვევა ეხება განსაზღვრულ ნივთიერებას (და არა ბოროტად გამოყენებულ ნივთიერებას) ან განსაზღვრულ მეთოდს, და სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს რომ სახეზე იყო უმნიშვნელო ბრალი ან უმნიშვნელო დაუდევრობა, მაშინ დისკვალიფიკაცია უნდა შემოიფარგლოს მინიმუმ გაფრთხილებით და მაქსიმუმ ორწლიანი დისკვალიფიკაციით, სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით.

10.6.1.2 დაბინძურებული პროდუქტები

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს, რომ სახეზეა უმნიშვნელო ბრალი ან უმნიშვნელო დაუდევრობა და ორგანიზმში აკრძალული ნივთიერების მოხვედრის წყარო იყო დაბინძურებული პროდუქტი, დაკისრებული საქცია უნდა შემოიფარგლოს მინიმუმ გაფრთხილებით და მაქსიმუმ ორწლიანი დისკვალიფიკაციით, სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით.³⁸

სასმელზე). თუმცა, კონკრეტულ შემთხვევებში, საქმის უნიკალურ გარემოებებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ნებისმიერ შემთხვევაში სანქცია შემსუბუქდეს თუ სახეზეა უმნიშვნელო ბრალი ან დაუდევრობა.]

³⁸ [კომენტარი მუხლზე 10.6.1.2: ამ მუხლით გათვალისწინებული სარგებლის მიღება სპორტსმენს შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ ის არა მხოლოდ დაამტკიცებს იმას, რომ აკრძალული ნივთიერება მის ორგანიზმში მოხვდა დაბინძურებული პროდუქტის საშუალებით, არამედ რომ სახეზე იყო უმნიშვნელო ბრალი ან უმნიშვნელო დაუდევრობა. ამასთან ნიშანდობლივია, რომ სპორტსმენებს ეძლევათ შეტყობინება, რომ ისინი საკვებ დანამატებს იღებენ თავიანთი რისკის საფუძველზე. სანქციის შემცირება დაბინძურებულ პროდუქტთან დაკავშირებით, სადაც სახეზე იყო უმნიშვნელო ბრალი ან უმნიშვნელო დაუდევრობა, იშვიათად გამოიყენება, რადგან სპორტსმენმა უნდა დაამტკიცოს რომ მან მიიღო სიფრთხილის ყველა ზომა დაბინძურებული პროდუქტის მიღებამდე. როდესაც ხდება შეფასება შეუძლია თუ არა სპორტსმენს დაამტკიცოს დაბინძურების წყაროს წარმომავლობა, მნიშვნელოვანია, მაგალითად იმის დადგენა, გამოიყენა თუ არა რეალურად სპორტსმენმა აკრძალული ნივთიერება ან განაცხადა თუ არა ამ პროდუქტის შესახებ, დოპინგ კონტროლის ფორმაზე. ეს მუხლი არ უნდა გავრცელდეს იმ პროდუქტებზე, რომლებმაც გაიარეს გარკვეული ტიპის დამუშავება. როდესაც არასასურველი ანალიტიკური შედეგი დგება გარემოს დაბინძურების გამო, არა პროდუქტების არამედ მაგალითად სასმელი წყლის ან ტბის წყლის გამო, იმ გარემოებების დადგომის გამო რასაც გონივრულად მოაზროვნე ადამიანი ვერ გაითვალისწინებდა, მაშინ სახეზე იქნება ბრალის ან დაუდევრობის არ არსებობა მუხლი 10.5-ის შესაბამისად].

ეს მუხლი არ უნდა გავრცელდეს პროდუქტებზე, რომელიც გადის რაიმე დიპის გადაშლას. როდესაც არასასურველი ანალიტიკური შედეგი დგება გარემოს დაბინძურების გამო „არა პროდუქტის“ მაგალითად, როგორცაა ონკანის წყალი ან ტბის წყალი, როდესაც არც ერთ გონივრულ ადამიანს არ შეიძლება სცოდნოდა, რომ არსებობს ანტიდოპინგური წესების რაიმე სახის დარღვევის რისკი, ამ შემთხვევაში ტიპურად იქნება ბრალის ან დაუდევრობის არ არსებობა მუხლის 10.5 შესაბამისად]

10.6.1.3 დაცული პირები და რეკრეაციული სპორტსმენები

როდესაც ანტიდოპინგური წესების დარღვევა ეხება ბოროტად გამოყენებულ ნივთიერებას და ის ჩადენილია დაცული პირის ან რეკრეაციული სპორტსმენის მიერ და დაცულ პირს და რეკრეაციულ სპორტსმენს ჩეუძლიათ დაამტკიცონ ბრალის ან დაუდევრობის არ არსებობა, მაშინ დისკვალიფიკაცია უნდა შემოიფარგლოს მინიმუმ გაფრთხილებით და მაქსიმუმ ორ წლიანი დისკვალიფიკაციით დაცული პირისა და რეკრეაციული სპორტსმენის ბრალის ხარისხის გათვალისწინებით.

10.6.2 უმნიშვნელო ბრალის ან უმნიშვნელო დაუდევრობის გამოყენება 10.6.1 მუხლის მიღმა

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც არ გამოიყენება 10.6.1 მუხლი, რომ სახეზეა უმნიშვნელო ბრალი ან უმნიშვნელო დაუდევრობა, მაშინ მე -10.7 მუხლით გათვალისწინებული სანქციის შემდგომი შემცირება ან გაუქმება შესაძლებელია, და სხვაგვარად გამოსაყენებელი დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება შემცირდეს სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით, მაგრამ დაუშვებელია შემცირებული პერიოდი იყოს გამოსაყენებელი დისკვალიფიკაციის პერიოდის ნახევრისა. თუ სხვა შემთხვევაში გამოსაყენებელი დისკვალიფიკაციის პერიოდის ვადა იქნებოდა სიცოცხლის ბოლომდე, მაშინ მისი შემცირებული ვადა უნდა იყოს არანაკლებ რვა წლისა.³⁹

10.7 დისკვალიფიკაციის პერიოდის, ან სხვა შედეგების გაუქმება, შემცირება ან შეჩერება ბრალისგან დამოუკიდებელი მიზეზების საფუძველზე

10.7.1 ქმედითი დახმარება ანტიდოპინგური წესების დარღვევის აღმოჩენასა და დადგენაში⁴⁰

10.7.1.1 სადს შეუძლია, მე-13 მუხლით გათვალისწინებული სააპელაციო გადაწყვეტილების მიღებამდე, ან აპელაციის ვადის გასვლამდე, დროებით შეაჩეროს სპორტსმენზე დაკისრებული შედეგები (გარდა გაუქმებისა და სავალდებულო გასაჯაროებისა),

³⁹ [კომენტარი მუხლზე 10.6.2: ეს მუხლი შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა ანტიდოპინგური წესის დარღვევის საქმეზე, გარდა იმ მუხლებისა სადაც ანტიდოპინგური წესების დარღვევა გულისხმობს განზრახვას (მაგალითად, მუხლები 2.5, 2.7, 2.8, 2.9 ან 2.11) ან განზრახვა არის კონკრეტული სანქციის ელემენტი (მაგალითად მუხლი 10.2.1) ან სანქციის დიაპაზონი მოცემულია უკვე თავად მუხლში სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე.]

⁴⁰ [[კომენტარი მუხლზე 10.7.1: სპორტსმენის, სპორტსმენის დამხმარე პერსონალის ან სხვა პირის მიერ თავიანთი შეცდომის გაცნობიერება და თანამშრომლობა რომ გამოვლინდეს სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტები მნიშვნელოვანია სუფთა სპორტისათვის.]

როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოს ან პროფესიულ დისციპლინარულ ორგანოს და რამაც გამოიწვია: 1) სხვა პირის მიერ ჩადენილი ანტიდოპინგური წესის დარღვევის გამოვლენა ან 2) სხვა პირის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლებრივი დარღვევის ან პროფესიული წესების დარღვევის აღმოჩენა ან გამოაშკარავება სამართალდამცავი ან დისციპლინარული ორგანოების მიერ, როდესაც ინფორმაცია მიწოდებულია დახმარების გამწევი პირის მიერ სადისკუსიოს, ან სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება, ან 3) მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ წარმოება ხელმომწერი მხარის, აკრედიტირებული ლაბორატორიის ან სპორტსმენის პასპორტის მმართველი ორგანოს (როგორც ეს განმარტებულია ტესტირებისა და მოკვლევის საერთაშორისო სტანდარტებში) წინააღმდეგ კოდექსთან, საერთაშორისო სტანდარტებთან ან სხვა ტექნიკურ დოკუმენტებთან შეუსაბამობის გამო, ან 4) სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოს ან დისციპლინური ორგანოების მხრიდან მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს თანხმობით, სისხლის სამართლის დანაშაულის ან პროფესიული გადაცდომის ან სპორტის მთლიანობის წესების დარღვევის ფაქტის დადგენა, რომელიც არ არის დაკავშირებული დოპინგთან. მე-13 მუხლით დადგენილი სააპელაციო გადაწყვეტილების ან სააპელაციო ვადის გასვლის შემდეგ, სადსს შეუძლია შეაჩეროს სხვაგვარად გამოსაყენებელი სამართლებრივი შედეგების ნაწილი მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსა და შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის თანხმობით.

სხვაგვარად გამოსაყენებელი დისკვალიფიკაციის პერიოდის შეჩერება დამოკიდებული უნდა იყოს სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ჩადენილი ანტიდოპინგური წესების დარღვევის და იმ მნიშვნელოვანი დახმარების ხარისზე, რომელსაც სპორტსმენი ან სხვა პირი გასწევს სპორტში დოპინგის აღმოფხვრის, კოდექსთან შეუსაბამობის და/ან სპორტული მთლიანობის წესების დარღვევის გამოსავლენად. არ შეიძლება სანქციის სამ-მეოთხედზე მეტის შეჩერება. თუ სხვაგვარად სანქცია იქნებოდა დაკისრებული სიცოცხლის ბოლომდე, მაშინ ამ მუხლით გათვალისწინებული დარჩენილი სანქციის პერიოდი არ შეიძლება იყოს 8 წელზე ნაკლები. ამ პარაგრაფის მიზნებიდან გამომდინარე, სხვაგვარად გამოსაყენებელი დისკვალიფიკაციის პერიოდი არ უნდა მოიცავდეს დისკვალიფიკაციის პერიოდს რომელიც შეიძლება დაემატოს მუხლის 10.9.3.2 ის შესაბამისად. თუ სახეზეა ქმედითი დახმარების გამწევი სპორტსმენის ან სხვა პირის მოთხოვნა, სადსმა უნდა მისცეს სპორტსმენს ან სხვა პირს მისთვის ინფორმაციის მიწოდების უფლებამოსილება შემზღუდავი ხელშეკრულების დადებით.

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი არ გააგრძელებს თანამშრომლობას და სრულყოფილი და ქმედითი დახმარების გაწევას, რის საფუძველზეც მოხდა დისკვალიფიკაციის შეჩერება, სადსმა, რომელმაც შეაჩერა დისკვალიფიკაციის პერიოდი, შეუძლია აღადგინოს შეჩერებული შედეგები ან გადაწყვიტოს არ შეაჩეროს შედეგები. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ნებისმიერი პირის მიერ, რომელსაც აქვს გასაჩივრების უფლება მე-13 მუხლის საფუძველზე.

10.7.1.2 იმისთვის რომ კიდევ უფრო შეუწყოს ხელი სპორტსმენების და სხვა პირების მიერ ქმედითი დახმარების გაწევას ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვის, სადსის მოთხოვნით, ან იმ სპორტსმენის ან სხვა პირის მოთხოვნით, რომელმაც დაარღვია ანტიდოპინგური წესები ან კოდექსი(ან ბრალდებულია დარღვევაში), მსოფლიო

ანტიდოპინგური სააგენტომ შეიძლება შედეგების მართვის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე (მათ შორის მე-13 მუხლის მიხედვით საბოლოო სააპელაციო გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც) განაცხადოს თანხმობა, შეხედულებისამებრ, შეაჩეროს დისკვალიფიკაციის პერიოდი ან სხვა შედეგები. გამონაკლის შემთხვევებში, მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ შეიძლება თანხმობა განაცხადოს დისკვალიფიკაციისა და სხვა შედეგების შეჩერებაზე ქმედითი დახმარების სანაცვლოდ, რომელიც უფრო მეტია ვიდრე ეს ამ მუხლით არის გათვალისწინებული, ან სრულიად გააუქმოს დისკვალიფიკაციის ვადა, სავალდებულო გასაჯაროება და/ან პრიზებისა და ფულის ჩამორთმევა, ან ხარჯების დაფარვა. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს თანხმობის მიუხედავად, შესაძლებელია შედეგების აღდგენა ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებში. მე-13 მუხლით გათვალისწინებული პირობების მიუხედავად, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს ამ მუხლით გათვალისწინებული ეს გადაწყვეტილება არ შეიძლება გასაჩივრდეს.

10.7.1.3 თუ სადსი შეაჩერებს შესაბამისი სანქციის ნებისმიერ ნაწილს გაწეული ქმედითი დახმარების გამო, ეს შეტყობინება უნდა გაეგზავნოს სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ გასაჩივრების უფლება 13.2.3 მუხლით, 14.2 მუხლის შესაბამისად. განსაკუთრებულ შემთხვევებში ანტიდოპინგური ინტერესებიდან გამომდინარე, მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ შეიძლება მიანიჭოს სადსს უფლებამოსილება, დადოს კონფიდენციალური ხელშეკრულება, რაც გულისხმობს გაწეული ქმედითი დახმარების შინაარსის გამჟღავნების შეზღუდვას ან გადავადებას.

10.7.2 ანტიდოპინგური წესების დარღვევის აღიარება სხვა მტკიცებულების არარსებობისას

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი ნებაყოფლობით აღიარებს ანტიდოპინგური წესების დარღვევას მანამ, სანამ მიიღებს შეტყობინებას სინჯის ჩაბარების მოთხოვნის შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოავლინოს დარღვევა (ან 2.1 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გარდა, სხვა ანტიდოპინგური წესის დარღვევასა და დარღვევის პირველი შეტყობინების მიღებამდე მე-7 მუხლით დადგენილი წესით) და თუ აღიარება არის დარღვევის ერთადერთი მტკიცებულება, მაშინ დისკვალიფიკაციის ვადა შეიძლება შემცირდეს, მაგრამ გათვალისწინებული ვადის მაქსიმუმ ნახევრით.⁴¹

⁴¹ [კომენტარი მუხლზე 10.7.2: ეს მუხლი ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი საკუთარი ინიციატივით აღიარებს ანტიდოპინგური წესის დარღვევას იმ სიტუაციაში, როცა არც ერთ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას არ აქვს ინფორმაცია ანტიდოპინგური წესების შესაძლო დარღვევაზე. იგი არ შეეხება იმ სიტუაციას, როცა აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც სპორტსმენი ან სხვა პირი გააცნობიერებს, რომ მოსალოდნელია მათი გამოაშკარავება. დისკვალიფიკაციის პერიოდის შემცირების ხარისხს განაპირობებს სპორტსმენის ან სხვა პირის გამოაშკარავების ალბათობა, მათ მიერ ნებაყოფლობითი აღიარების გარეშე.]

10.7.3 სანქციის შემსუბუქების რამოდენიმე საფუძვლის ერთდროულად გამოყენება

როცა სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს, რომ აქვს უფლება სანქციის შემცირებაზე მუხლების 10.5, 10.6 ან 10.7 შესაბამისად, მანამ სანამ განისაზღვრება დისკვალიფიკაციის შემცირება ან შეჩერება მუხლის 10.7 მიხედვით, უნდა დადგინდეს რა ვადა შეესაბამება ანტიდოპინგური წესების დარღვევას მუხლების 10.2, 10.3, 10.5 და 10.6 თანახმად. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს რომ აქვს სანქციის გაუქმების ან შეჩერების უფლება 10.7 მუხლიდან გამომდინარე, მაშინ დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება შემცირდეს ან შეჩერდეს, მაგრამ იგი უნდა შეადგენდეს არა უმცირეს გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის ვადის ერთ მეოთხედს.

10.8 შედეგების მართვის შეთანხმებები

10.8.1 დისკვალიფიკაციის ერთი წლით შემცირება ცალკეული ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის ადრეული აღიარებით ან სანქციაზე თანხმობის გამოხატვით მას შემდეგ რაც მოხდება სადსის მიერ პოტენციური ანტიდოპინგური წესის დარღვევის ფაქტის შეტყობინება სპორტსმენისა და სხვა პირისათვის, და სანქცია ამ დარღვევისთვის არის ოთხი ან მეტი წელი (მათ შორის დისკვალიფიკაციის პერიოდი 10.4 მუხლის მიხედვით), ხოლო სპორტსმენი ან სხვა პირი აღიარებს დარღვევას და დისკვალიფიკაციის პერიოდს არა უმეტეს შეტყობინების მიღებიდან 20 დღისა, სპორტსმენმა ან სხვა პირმა შეიძლება მიიღოს დისკვალიფიკაციის ერთი წლით შემცირება ანტიდოპინგური ორგანიზაციის ინიციატივით. როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი მიიღებს დისკვალიფიკაციის ერთი წლით შემცირებას ამ მუხლის მიხედვით, დამატებით ნებისმიერი სხვა სახის შემცირება სხვა მუხლების საფუძველზე დაუშვებელია.⁴²

10.8.2 საქმის გადაწყვეტის შეთანხმება

როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი თავისი დისკრეციის ფარგლებში აღიარებს ანტიდოპინგური წესების დარღვევას მას შემდეგ რაც მოხდება მათი კონფრონტაცია სადსის მიერ და ისინი აღარებენ შედეგებს, რომელიც მისაღებია სადსისთვის და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსთვის, მაშინ: ა) სპორტსმენს ან სხვა პირს უფლება აქვს მიიღოს დისკვალიფიკაციის პერიოდის შემცირება, რისთვისაც სადსი და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო შეაფასებს მუხლებს 10.1 დან 10.7 გამოყენების შესაძლებლობას ანტიდოპინგური წესის დარღვევის სერიოზულობის, სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალის ხარისხის ან მათ მიერ დარღვევის აღიარების სიჩქარის საფუძველზე და ბ) დისკვალიფიკაციის პერიოდის ათვლა შეიძლება დაიწყოს სინჯის აღების დღიდან ან იმ დღიდან, როდესაც ბოლოჯერ დაირღვა ანტიდოპინგური წესი. ყველა შემთხვევაში, როდესაც მოხდება ამ მუხლის გამოყენება,

⁴² [კომენტარი მუხლზე 10.8.1: მაგალითად, თუ სადსიასკენის, რომ სპორტსმენმა დაარღვია მუხლი 2.1 ანაბოლური სტეროიდის გამოყენებით და დაადასტურა, რომ დისკვალიფიკაციის ვადაა ოთხი წელი, მაშინ სპორტსმენს შეუძლია შეამციროს დისკვალიფიკაციის პერიოდი სამ წლამდე, თუ აღიარებს დარღვევას და მიიღებს დისკვალიფიკაციის სამწლიანი პერიოდს ამ მუხლით განსაზღვრულ ვადაში, შემდგომი შემცირების გარეშე. ეს დაასრულებს საქმეს დამატებითი მოსმენის გარეშე.]

სპორტსმენმა ან სხვა პირმა უნდა მოიხადოს სულ მცირე შეთანხმებული სანქციის ნახევარი, რომლის ათვლა დაიწყო მაშინ, როდესაც სპორტსმენმა ან სხვა პირმა აღიარა დაკისრებული სანქცია ან როდესაც დაწესდა დროებითი სანქცია და სპორტსმენი ან სხვა პირი დაემორჩილა ამ სანქციას. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს და სადსის გადაწყვეტილება გამოიყენონ ეს შეთანხმება ან არ გამოიყენონ ეს შეთანხმება და სანქციის ოდენობა, ასევე დისკვალიფიკაციის პერიოდის დაწყების თარიღი, არ არის მოსმენის ორგანოს გადახედვის საგანი და არ შეიძლება გასაჩივრდეს მე-13 მუხლის საფუძველზე.

თუ სპორტსმენს ან სხვა პირს, სურს ამ მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების მიღწევა, მაშინ სადსს შეუძლია ნება დართოს სპორტსმენს ან სხვა პირს რომ განიხილონ ანტიდოპინგური წესების დარღვევის აღარება ანტიდოპინგურ სააგენტოსთან, მზლუდავი შეთანხმებით დადებით.⁴³

10.9 მრავალჯერადი დარღვევები

10.9.1 ანტიდოპინგური წესების მეორე ან მესამე დარღვევა

10.9.1.1 თუ სპორტსმენი ან სხვა პირი მეორეჯერ დაარღვევს ანტიდოპინგურ წესს, მაშინ მისი დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა იყოს მეტი:

ა) ექვს თვეზე ან

ბ) შემდეგ დიაპაზონში: 1. ანტიდოპინგური წესების პირველად დარღვევისას დაკისრებული დისკვალიფიკაციის პერიოდს დამატებული გამოსაყენებელი დისკვალიფიკაციის პერიოდი მეორე დარღვევისთვის და ეს დისკვალიფიკაცია ჩაითვალოს როგორც პირველი დარღვევა;

2. მეორე დარღვევისთვის გამოსაყენებელი დისკვალიფიკაციის გაორმაგებული ოდენობა, რომელიც განხილული იქნება როგორც პირველი დარღვევა, ხოლო ზუსტი ოდენობა განისაზღვრება საქმის გარემოებების და სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალის ხარისხით.

10.9.1.2 ანტიდოპინგური წესების მესამე დარღვევა ყოველთვის გამოიწვევს სიცოცხლის ბოლომდე დისკვალიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე დარღვევა ექვემდებარება შემცირებას ან გაუქმებას 10.5 ან 10.6 მუხლებით, ან მოიცავს 2.4 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას. ამ კონკრეტულ შემთხვევებში, დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება განისაზღვროს რვა წლიდან სიცოცხლის ბოლომდე..

10.9.1.3 დისკვალიფიკაციის პერიოდი რომელიც დაწესდება მუხლების 10.9.1.1 და 10.9.1.2 მიხედვით შეიძლება შემდგომ შემცირდეს 10.7 მუხლის საფუძველზე.

10.9.2 ანტიდოპინგური წესის დარღვევა, სადაც სპორტსმენმა ან სხვა პირმა დაამტკიცა რომ ჩადენილი იყო ბრალის ან დაუდევრობის გარეშე,, არ შეიძლება ჩაითვალოს დარღვევად 10.9 მუხლის მიზნებიდან დამომდინარე. ამასთან, ანტიდოპინგური წესის დარღვევა, რომლის სანქცირებაც მოხდა 10.2.4.1 მუხლით, არ შეიძლება ჩაითვალოს დარღვევად 10.9 მუხლის მიხედვით.

⁴³ [კომენტარი მუხლზე 10.8.: მე -10 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება განიხილება საქმის გადაწყვეტის შეთანხმებაში, რათა დაწესდეს შესაბამისი შედეგების და არ შეიძლება გამოიყენებულ იქნას ამ შეთანხმების პირობების მიღმა..]

10.9.3 დამატებითი წესები პოტენციური მრავალჯერადი დარღვევებისთვის

10.9.3.1 1 მუხლი 10.9-ით დადგენილი სანქციების შესაფარდებლად, გარდა 10.9.3.2 და 10.9.3.3 მუხლებისა, ანტიდოპინგური წესების დარღვევა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მეორე დარღვევად, თუ სადსი დაამტკიცებს, რომ სპორტსმენმა ან სხვა პირმა დამატებით დაარღვია ანტიდოპინგური წესები, მას შემდეგ რაც სადსმა აცნობა სპორტსმენს ან სხვა პირს მათ მიერ ჩადენილი ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ მუხლი 7-ით შეტყობინებისთვის დადგენილი წესების დაცვით, ან მას შემდეგ რაც სადსი გასწევს ყველა გონივრულ ძალისხმევას რომ შეატყობინოს დამრღვევს ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ. თუ სადსი ამას ვერ დაამტკიცებს, მაშინ ანტიდოპინგური წესების დარღვევა განიხილება როგორც პირველი დარღვევა, თუმცა, შესაძლებელია მას დაემატოს დამამძიმებელი გარემოებები. პირველი დარღვევის პერიოდში მიღებული შედეგები გაუქმდება 10.10 მუხლის შესაბამისად.⁴⁴

10.9.3.2 თუ სადსი დაამტკიცებს რომ სპორტსმენმა ან სხვა პირმა ჩაიდინა ანტიდოპინგური წესების დამატებითი დარღვევა შეტყობინების გაგზავნამდე, და დარღვევა მოხდა 12 ან მეტი თვის წინ ან პირველი შეტყობინების შემდგომ, მაშინ დისკვალიფიკაციის პერიოდის დაანგარიშება უნდა მოხდეს ისე, თითქოს დამატებითი დარღვევა იყოს დამოუკიდებელი პირველი დარღვევა და ამ დისკვალიფიკაციის ათვლა უნდა მოხდეს უკვე დაკისრებული დისკვალიფიკაციის შემდგომ და არა მასთან ერთად. ამ მუხლის გამოყენებისას, ერთად განხილული დარღვევები უნდა განხილულ იქნეს როგორც ერთი დარღვევა მუხლის 10.9.1 მიზნებიდან გამომდინარე.

10.9.3.3 თუ სადსი დაამტკიცებს რომ სპორტსმენმა ან სხვა პირმა ჩაიდინა მუხლი 2.5 გათვალისწინებული დარღვევა დოპინგ კონტროლის პროცესთან დაკავშირებით და დამატებით სხვა ანტიდოპინგური წესის დარღვევა, მუხლი 2.5 დადგენილი დარღვევა განიხილება როგორც ცალკე მდგომი პირველი დარღვევა და სანქცია ამ დარღვევისთვის დაეკისრება არა ერთობლივად, არამედ მიყოლებით, იმ დამატებით დარღვევასთან ერთად, თუ მასზე დაწესდა დისკვალიფიკაცია. ამ მუხლის გამოყენებისას, დარღვევები განიხილება როგორც ერთი დარღვევა მუხლი 10.9.1 ის მიზნებისთვის.

10.9.3.4 თუ სადსი დაამტკიცებს რომ პირმა ჩაიდინა მეორე ან მესამე ანტიდოპინგური წესის დარღვევა დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიკაციის პერიოდები მრავალჯერადი დარღვევებისთვის უნდა დაწესდეს მიყოლებით და არა ერთობლივად.

10.9.4 ანტიდოპინგური წესების მრავალჯერადი დარღვევა ათწლიანი პერიოდის განმავლობაში

⁴⁴ [კომენტარი მუხლზე 10.9.3.1: იგივე წესი გამოიყენება, როდესაც სანქციის დაკისრების შემდგომ სადსი აღმოაჩენს რომ ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტები მოხდა სპორტსმენისთვის პირველი შეტყობინების გაგზავნამდე, სადსმა უნდა დააქნოს სანქცია, რომელიც გამოყენებული იქნებოდა თუ ორივე დარღვევა ერთად იქნებოდა განხილული, მათ შორის განიხილოს დამამძიმებელი გარემოებების გამოყენება.]

მუხლის 10.9 მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ თითოეული ანტიდოპინგური წესი, დაირღვეს ათწლიან პერიოდში, რათა ჩაითვალოს მრავალჯერად დარღვევად.

10.10 შედეგების გაუქმება საშეჯიბრო პერიოდში სინჯის აღებასთან ან ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით

მუხლი 9-ით გათვალისწინებული დადებითი სინჯის მიღების შემდეგ, შეჯიბრის შედეგების ავტომატურ გაუქმებასთან ერთად, სპორტსმენის მიერ მიღწეული ყველა სხვა საშეჯიბრო შედეგები, რასაც მან მიაღწია ამ სინჯის აღების შემდეგ (საშეჯიბრო თუ არასაშეჯიბრო პერიოდში), ან იმ პეროდშიდან როდესაც მოხდა სხვა ანტიდოპინგური წესის დარღვევა წინასწარი შეჩერების ან დისკვალიფიკაციის პერიოდის დაკისრებამდე, გაუქმდება, მათ შორის მოხდება მედლების, ქულებისა და ჯილდოების ჩამორთმევა, თუ სამართლიანობის პრინციპი სხვაგვარად არ მოითხოვს.⁴⁵

10.11 ფულადი ჯილდოს გაუქმება

სადსმა, რომელმაც დაიბრუნა ფულადი ჯილდო ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის, გაატარებს ყველა ზომას აღნიშნული ჯილდოს სხვა სპორტსმენებისთვის გადასაცემად, რომლებიც მიიღებდნენ ამ ჯილდოს, თუ სანქცირებული სპორტსმენი არ მიიღებდა შეჯიბრში მონაწილეობას.⁴⁶

10.12 ფინანსური შედეგები

10.12.1 ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის, სადსს თავისი დისკრეციის ფარგლებში და პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე, შეუძლია სპორტსმენისგან ან სხვა პირისგან ა) მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც დაკავშირებულია ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკისრებული დისკვალიფიკაციის პერიოდისგან დამოუკიდებლად და/ან ბ) დააჯარიმოს სპორტსმენი ან სხვა პირი 2000 ევროს ოდენობით, როდესაც უკვე დაწესებულია დისკვალიფიკაციის პერიოდის მაქსიმალური ვადა.

⁴⁵ [კომენტარი მუხლზე 10.10: კოდექსის არც ერთი მუხლი არ ზღუდავს სპორტსმენს ან სხვა პირს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება იმ პირისგან, რომელმაც ჩაიდინა ანტიდოპინგური წესების დარღვევა და ზიანი მიაყენა სუფთა სპორტსმენს ან სხვა პირს.]

⁴⁶ [კომენტარი მუხლზე 10.11: ეს მუხლი არ არის გამიზნული სადსს დააკისროს ვალდებულება მოიპოვონ ჩამორთმეული საპრიზო თანხა. თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია აირჩევს არ მიიღოს ზომები ჩამორთმეული საპრიზო თანხის დასაბრუნებლად, მას შეუძლია მიანიჭოს ამ ფულის დაბრუნების უფლებამოსილება სპორტსმენს (სპორტსმენებს), რომელიც მიიღებდნენ ამ თანხას. ამ საპრიზო თანხის მიღებისა და განაწილების „გონივრული ზომები“ შეიძლება გულისხმობდეს შეგროვებული ჩამორთმეული საპრიზო თანხის გამოყენებას სადსისა და მის სპორტსმენების შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე.]

10.12.2 ფინანსური სანქციის დაწესება ან ხარჯების ანაზღაურება არ შეიძლება გახდეს დისკვალიფიკაციის შემცირების ან სხვა სანქციის გაუქმების საფუძველი, რომელიც დადგებოდა ასეთ შემთხვევაში.

10.13 დისკვალიფიკაციის პერიოდის ათვლა

როდესაც სპორტსმენი უკვე იხდის დისკვალიფიკაციას ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის, ახალი დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა დაიწყოს მიმდინარე დისკვალიფიკაციის დასრულების შემდგომ დღეს. სხვა შემთხვევაში, გარდა ქვემოთმოყვანილი შემთხვევისა, დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა დაიწყოს მოსმენის ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან, ან როდესაც მოსმენის უფლებაზე მოხდება უარის თქმა, ან თუ არ ჩატარდება მოსმენა, მაშინ იმ დღეს, როდესაც მოხდება დისკვალიფიკაციის აღიარება ან მისი სხვაგვარად დაკისრება.

10.13.1 ვადის გადაცილებები, რომელიც არ არის დაკავშირებული სპორტსმენთან ან სხვა პირთან

როდესაც სახეზეა მოსმენის ჩატარების ვადის სერიოზული გადაცილება ან დოპინგ კონტროლის სხვა ეტაპების ვადის გადაცილება და თუ სპორტსმენს ან სხვა პირს შეუძლია დამტკიცოს რომ ეს ვადის გადაცილება არ არის მათთან დაკავშირებული, მაშინ სანქციის დამკისრებელ ორგანოს შეუძლია დისკვალიფიკაციის პერიოდის ათვლის დაწყება იმ თარიღიდან, როდესაც მოხდა სინჯის აღება ან როდესაც ბოლოს მოხდა ანტიდოპინგური წესის დარღვევა. ყველა შეჯიბრიდან გამომდინარე შედეგი, რომელიც მიღწეულ იქნა დისკვალიფიკაციის დაწესებიდან, მათ შორის რეტროაქტიული დისკვალიფიკაცია, უნდა გაუქმდეს.⁴⁷

10.13.2 დროებითი დისკვალიფიკაციის ან დისკვალიფიკაციის პერიოდის მოხდის ჩათვლა

10.13.2.1 თუ სპორტსმენი ან სხვა პირი მოიხდის დროებითი დისკვალიფიკაციის პერიოდს, მას ეს პერიოდი ჩაეთვება საბოლოოდ დაწესებული დისკვალიფიკაციის პერიოდში. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი არ მოიხდის დაწესებულ დროებით დისკვალიფიკაციას, მაშინ მას არ ეკუთვნის ჩათვლა ამ პერიოდისთვის. თუ დისკვალიფიკაციის პერიოდი მოხდისა

⁴⁷ [კომენტარი მუხლე 10.13.1: გარდა 2.1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, ის პერიოდი რაც ანტიდოპინგურ ორგანიზაციას სჭირდება რომ მოაპოვოს სათანადო ფაქტები და დამტკიცოს ანტიდოპინგური წესების დარღვევა შეიძლება იყოს გრძელვადიანი, განსაკუთრებით მაშინ როდესაც სპორტსმენმა ან სხვა პირმა გამოიყენა ყველა ღონე, რომ თავი აარიდებინა გამჟღავნებისთვის. ამ შემთხვევებისთვის არის გათვალისწინებული ამ მუხლით დადგენილი სანქციების ვადის დაწესებაზე მოქნილობა..]

იმ გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც შემდგომ გასაჩვრდა, მაშინ სპორტსმენს ან სხვა პირს უნდა ჩაეთვალოს ის პერიოდი, რომელიც მოიხადა და საბოლოო დისკვალიფიკაციის ათვლაში.

10.13.2.2 თუ სპორტსმენი ან სხვა პირი ნებაყოფლობით აღიარებს დროებით დისკვალიფიკაციას წერილობითი ფორმით იმ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან, რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება და შემდგომ მოიხდის დროებით დისკვალიფიკაციას, მას ჩაეთვლება ნებაყოფლობითი დისკვალიფიკაციის პერიოდი საბოლოო დასკვალიფიკაციის პერიოდში. სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ამ წერილობითი აღიარების ასლი დროულად უნდა გაეგზავნოს ყველა მხარეს, რომელსაც აქვს უფლება მიიღოს ეს შეტყობინება 14.1 მუხლის თანახმად.⁴⁸

10.13.2.3 დისკვალიფიკაციის პერიოდში არ ჩაითვლება დროებითი დისკვალიფიკაციის ან ნებაყოფლობითი დისკვალიფიკაციის დაწესდებამდე პერიოდი, მიუხედავად იმისა, გადაწყვეტს თუ არა სპორტსმენი რომ აღარ მიიღოს შეჯიბრში მონაწილეობა ან იქნება თუ არა ის გუნდის მიერ შეჯიბრიდან მოხსნილი.

10.13.2.4 გუნდურ სპორტში დისკვალიფიკაცია ეკისრება გუნდს. თუ სამართლიანობა სხვაგვარად არ მოითხოვს, დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა დაიწყოს მოსმენის შედეგად საბოლოო გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან, ან მოსმენის უფლებაზე უარის შემთხვევაში, იმ თარიღიდან, როდესაც მოხდა დისკვალიფიკაციის აღიარება ან მისი სხვაგვარად დაკისრება. დროებითი დისკვალიფიკაციის პერიოდი (მიუხედავად იმისა მოხდა მისი აღიარება ნებაყოფლობით თუ მოხდა მისი დაკისრება) უნდა ჩაითვალოს საბოლოო დაწესებული დისკვალიფიკაციის ვადაში.

10.14 სტატუსი დროებითი დისკვალიფიკაციის ან დისკვალიფიკაციის პერიოდში

10.14.1 დისკვალიფიკაციის პერიოდში შეჯიბრებებში მონაწილეობის აკრძალვა

არც ერთ დისკვალიფიციურ სპორტსმენს ან სხვა პირს, დისკვალიფიკაციის პერიოდში არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებებში ან სხვა ღონისძიებებში (გარდა სპეციალური ანტიდოპინგური საგანმანათლებლო ან სარეაბილიტაციო პროგრამებისა), რომლებიც ორგანიზებულია ხელმომწერი მხარის, მისი წევრი ორგანიზაციის, ან ამ უკანასკნელის წევრი კლუბის ან ორგანიზაციის მიერ. ასევე პროფესიული ლიგის მიერ ორგანიზებული შიდა თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში ან სამთავრობო ორგანოს მიერ დაფინანსებული ნებისმიერ ელიტარულ თუ ნაციონალური დონის სპორტულ ღონისძიებებში.

⁴⁸ [[კომენტარი მუხლზე 13.2.2.: სპორტსმენის მიერ დროებით დისკვალიფიკაციის აღიარება არ არის ბრალის აღიარება და არ უნდა იყოს გამოყენებული სპორტსმენის საწინააღმდეგოდ.]

ოთხ წელზე მეტით დისკვალიფიცირებულ სპორტსმენს ან სხვა პირს, ოთხი წლის გასვლის შემდეგ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ ღონისძიებებში, რომელიც არ არის სანქცირებული ან კოდექსის ხელმომწერის ან კოდექსის ხელმომწერის წევრის უფლებამოსილების ქვეშ, მხოლოდ იმ პირობით, თუ ადგილობრივი სპორტული ღონისძიება არ აძლევს სპორტსმენს უფლებამოსილებას მიიღოს მონაწილეობა ეროვნულ ან საერთაშორისო ღონისძიებაზე და არ აძლევს სპორტსმენსა და სხვა პირს უფლებას, იმუშაონ დაცულ პირებთან.

დისკვალიფიცირებული სპორტსმენი ან სხვა პირი დისკვალიფიკაციის პერიოდში ექვემდებარება ტესტირებას და სადსის მოთხოვნებს, წარმოადგინოს ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია.⁴⁹

10.14.2 ვარჯიშზე დაბრუნება

10.14.1 მუხლიდან გამონაკლისის სახით, სპორტსმენს შეუძლია დაბრუნდეს გუნდთან ერთად ვარჯიშზე ან გამოიყენოს კლუბის, სადსის წევრის ან ხელმომწერის წევრი ორგანიზაციის ინვენტარი: 1. დისკვალიფიკაციის პერიოდის ამოწურვის ბოლო ორი თვის განმავლობაში ან 2) დაკისრებული დისკვალიფიკაციის ბოლო ერთი მეოთხედის განმავლობაში.⁵⁰

10.14.3 დისკვალიფიკაციის ან დროებითი დისკვალიფიკაციის პერიოდში შეჯიბრში მონაწილეობის აკრძალვის დარღვევა

თუ დისკვალიფიცირებული სპორტსმენი ან სხვა პირი, დაარღვევს 10.14.1-ით დადგენილი მონაწილეობის აკრძალვას, ასეთი მონაწილეობის შედეგები გაუქმდება და დაწესდება დისკვალიფიკაციის ახალი პერიოდი, რომლის ხანგრძლივობა ტოლია დისკვალიფიკაციის

⁴⁹ [კომენტარი მუხლზე 10.14.1: მაგალითად, ქვემოთ მოცემული 10.14.2 მუხლის თანახმად, დისკვალიფიცირებულ სპორტსმენებს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თავიანთი ეროვნული ფედერაციის ან ამ ეროვნული ფედერაციის წევრი კლუბის მიერ ორგანიზებულ სასწავლო ბანაკში, გამოფენაში ან ვარჯიშში, რომელიც ფინანსდება სამთავრობო სააგენტოს მიერ. გარდა ამისა, დისკვალიფიცირებული სპორტსმენი არ შეიძლება მონაწილეობდეს არა-ხელმომწერი პროფესიონალურ ლიგაში (მაგ., ჰოკეის ეროვნული ლიგა, კალათბურთის ეროვნული ასოციაცია და ა.შ.), არა-ხელმომწერი საერთაშორისო ღონისძიების ორგანიზაციის ან არა-ხელმომწერი ეროვნული დონის ორგანიზებული ღონისძიებებში 10.14.3-ე მუხლში მოცემული შედეგების დადგომის გარეშე. ტერმინი "აქტიუობა" ასევე მოიცავს ადმინისტრაციულ საქმიანობას, მაგალითად, ამ მუხლში აღწერილი ორგანიზაციის ოფიციალურ დირექტორად, ოფიცრად, თანამშრომლად ან მოხალისედ ყოფნას. ერთ სპორტში დაწესებული დისკვალიფიკაცია ასევე აღიარებული უნდა იყოს სხვა სპორტის სახეობის მიერ (იხ. მუხლი 15.1, გადაწყვეტილებების ავტომატური სავალდებულო მოქმედება). სპორტსმენს ან სხვა პირს, რომელიც იხდის დისკვალიფიკაციის პერიოდს, არ აქვს უფლება იყოს მწვრთნელი ან სპორტსმენის დამხმარე პირი, ხოლო ამ ვალდებულებების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა სპორტსმენის მიერ 2.10-ის დარღვევა. დისკვალიფიკაციის პერიოდში განხორციელებული ნებისმიერი შესრულების სტანდარტი არ იქნება აღიარებული სადსის ან საქართველოს ეროვნული ფედერაციების მიერ რაიმე მიზნისთვის.]

⁵⁰ [კომენტარი მუხლზე 10.14.2: ბევრ გუნდურ სპორტში და ზოგიერთ ინდივიდუალურ სპორტში (მაგალითად თხილამურებით ხტომა ან ტანვარჯიში) სპორტსმენებს არ შეუძლიათ თავად ეფექტურად ივარჯიშონ, იმისთვის რომ მოემზადონ შეჯიბრისთვის დისკვალიფიკაციის პერიოდში. იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ამ მუხლში არის მითითებული, დისკვალიფიცირებულ სპორტსმენს შეუძლია მხოლოდ ვარჯიში და არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრში ან აქტივობებში, რაც გაწერილია მუხლში 14.1]

პირველი პერიოდის, და ის დაემატება თავდაპირველი დისკვალიფიკაციის პერიოდს, მისი დასრულების შემდგომ. ახალი დისკვალიფიკაციის პერიოდი, მათ შორის გაფრთხილების პერიოდი, შეიძლება განისაზღვროს კონკრეტულად სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხით. იმის განსაზღვრა, ჩაიდინა თუ არა სპორტსმენმა ან სხვა პირმა მონაწილეობის წესის დარღვევა და შესაფერისი სანქცია, უნდა მოხდეს იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, რომელმაც განახორციელა შედეგების მართვა პირველი დისკვალიფიკაციის პერიოდში. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მე-13 მუხლის შესაბამისად.

სპორტსმენს ან სხვა პირს, რომელმაც დაარღვია მონაწილეობის წესი დროებით დისკვალიფიკაციის პერიოდში, რომელიც აღწერილია მუხლში 10.14.1, არ შეიძლება მიეცეს შეღავათი დროებითი დისკვალიფიკაციის მოხდის პერიოდისთვის და ამ შეჯიბრში მიღწეული ყველა შედეგი უნდა გაუქმდეს.

თუ სპორტსმენის დამხმარე პერსონალი ან სხვა პირი დაეხმარება პირს მონაწილეობის წესის დარღვევაში დისკვალიფიკაციის ან დროებითი დისკვალიფიკაციის პერიოდში, სადსმა უნდა დააკისროს მას სანქციები 2.9 მუხლის დარღვევის გამო.

10.14.4 ფინანსური დახმარების შეწყვეტა დისკვალიფიკაციის პერიოდში

ნებისმიერი ანტიდოპინგური წესის დარღვევისთვის, რომელიც არ ითვალისწინებს შემცირებულ სანქციას მუხლების 10.5 და 10.6 შესაბამისად, ზოგიერთი ან ყველა სპორტთან დაკავშირებული ფინანსური დახმარება ან სხვა სპორტთან დაკავშირებული სარგებელი უნდა შეჩერდეს სადსის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტისა და ეროვნული ფედერაციებისგან.

10.15 სანქციის ავტომატური გამოქვეყნება

სანქციის სავალდებულო ნაწილი უნდა ითვალისწინებდეს ავტომატურ გამოქვეყნებას, როგორც ეს დადგენილია მუხლით 14.3.

მუხლი 11 შედეგები გუნდებისთვის

11.1 გუნდური სპორტული სახეობების ტესტირება

თუ ერთზე მეტ სპორტსმენს ღონისძიებასთან დაკავშირებით გაეგზავნება შეტყობინება ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ მე-7 მუხლის შესაბამისად, მაშინ ამ ღონისძიების ორგანიზატორმა, ღონისძიების განმავლობაში, უნდა ჩაატაროს გუნდის მიზნობრივი შესაბამისი ტესტირება.

11.2 შედეგები სპორტის გუნდური სახეობებისთვის

თუ სპორტული ღონისძიების დროს სპორტის გუნდურ სახეობაში გამოვლენილი იქნა ანტიდოპინგური წესების დარღვევა ორი ან მეტი გუნდის წევრის მიერ, ანტიდოპინგური წესების დამრღვევ სპორტსმენებზე დაკისრებული სანქციის გარდა, ღონისძიების ორგანიზატორმა, შესაბამისი სანქციები უნდა დააწესოს გუნდზეც (მაგალითად, ქულების ჩამორთმევა, შეჯიბრიდან დისკვალიფიკაცია ან სხვა სანქცია).

11.3 ღონისძიების ორგანიზატორის მიერ უფრო მკაცრი სანქციების დაწესება სპორტის გუნდური სახეობებისთვის

ღონისძიების ორგანიზატორმა შეიძლება დააწესოს უფრო მკაცრი ზომები ვიდრე ეს გათვალისწინებულია 11.2 მუხლის მიხედვით.⁵¹

მუხლი 12 სადსის მიერ სანქციების დაწესება სხვა სპორტულ ორგანიზაციების მიმართ

როდესაც სადსისთვის ცნობილი გახდება, რომ საქართველოში მოქმედი ეროვნული ფედერაცია ან სხვა სპორტული ორგანიზაცია, რომლის მიმართაც მას გააჩნია უფლებამოსილება, არ შეასრულებს, არ განახორციელებს და სისრულეში არ მოიყვანს ანტიდოპინგურ წესებს თავისი იურისდიქციის ფარგლებში, სადს შეუძლია მოსთხოვოს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, საქართველოს მთავრობას ან საერთაშორისო ფედერაციას გაატარონ შემდეგი დისციპლინური ღონისძიებები, ან, როდესაც მას აქვს ამის უფლებამოსილება, თვითონ გაატაროს ეს დამატებითი დისციპლინური ღონისძიებები:

12.1 კონკრეტული პერიოდის განმავლობაში აუკრძალოს ყველა ან ამ ორგანიზაციის ზოგიერთ წევრს სამომავლო ღონისძიებებსა თუ ყველა ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.

12.2 გაატაროს დამატებითი დისციპლინური ღონისძიებები ამ ორგანიზაციის ან მისი ორგანოს აღიარებასთან, სადსის მიერ ჩატარებულ ღონისძიებაში მონაწილეობასთან და/ან დააჯარიმოს ეს ორგანიზაცია ან მისი ორგანო შემდეგი გარემოებების არსებობის საფუძველზე:

12.2.1 როდესაც ამ ანტიდოპინგური წესების ოთხი დარღვევა (გარდა მუხლი 2.4 დარღვევებისა) ჩადენილია იმ სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ვინც დაკავშირებულია ამ ორგანიზაციასა ან მის ორგანოსთან 12 თვიანი პერიოდის მანძილზე. ამ შემთხვევაში: ა) ამ

⁵¹ [კომენტარი მუხლზე 11.3: მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტმა შეიძლება დაადგინოს წესები, რომელიც ითხოვს გუნდის დისკვალიფიკაციას ოლიმპიურ თამაშებზე უფრო ნაკლები ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო ოლიმპიური თამაშების განმავლობაში.]

ორგანიზაციის ან მისი ორგანოს ყველა ან ზოგიერთ წევრს შეიძლება აეკრძალოს სადსის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება ორ წლამდე და/ან ბ) ეს ორგანიზაცია ან ორგანო ჯარიმდება 4000 ევრომდე ჯარით.

12.2.2 როდესაც ოთხი ან მეტი ანტიდოპინგური წესების დარღვევა (გარდა მუხლი 2.4 გათვალისწინებული დარღვევისა) განხორციელდა მუხლი 12.2.1-ით გათვალისწინებულ დარღვევებთან ერთად სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ რომელიც დაკავშირებულია ამ ორგანიზაციასთან ან ორგანოსთან 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ეს ორგანიზაციას ან მის ორგანოს შეიძლება აეკრძალოს მონაწილეობა ოთხ წლამდე.

12.2.3 როდესაც ორგანიზაციასთან ან მის ორგანოსთან დაკავშირებული ერთ სპორტსმენზე ან სხვა პირზე მეტი ჩაიდენს ანტიდოპინგური წესების დარღვევას საერთაშორისო ღონისძიებაზე. ამ შემთხვევაში, ეს ორგანიზაცია ან ორგანო შეიძლება დაჯარიმდეს 3000 ევროს ოდენობით.

12.2.4 როდესაც ორგანიზაცია ან ორგანო ვერ ახდენს სადსის სათანადოდ ინფორმირებას სპორტსმენის ადგილსამყოფელის შესახებ, მას შემდეგ რაც მიიღო ამ მოთხოვნის შეტყობინება სადსისგან. ამ შემთხვევაში ეს ორგანიზაცია ან მისი ორგანო შეიძლება დაჯარიმდეს 1000 ევროს ოდენობით თითოეული სპორტსმენის საკითხთან დაკავშირებით, ამასთან მას ასევე დაეკისრება ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება რაც სადსმა გასწია ამ ორგანიზაციის ან ორგანოს წევრი სპორტსმენის ტესტირებისთვის.

12.3 შეუჩეროს ამ ორგანიზაციას მთლიანი ან ნაწილობრივი დაფინანსება ან სხვა ფინანსური ან არაფინანსური დახმარება.

12.4 დაავალდებულოს ეს ორგანიზაცია ან ორგანო, რომ აუნაზღაუროს სადს ყველა ხარჯი (მათ შორის ლაბორატორიის ხარჯი, საქმის განხილვის ხარჯები და მგზავრობა), რაც დაკავშირებულია ამ ორგანიზაციის ან ორგანოს წევრი სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან.

მუხლი 13 შედეგების მართვა: გასაჩივრება⁵²

⁵² [კომენტარი მუხლზე 13: კოდექსის მიზანია გადაწყვეტოს ანტიდოპინგური საკითხები სამართლიანი და გამჭვირვალე პროცესის შედეგად გასაჩივრების უფლებით. ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ მიღებული ანტიდოპინგური გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია მუხლით 14. განსაზღვრულ პირებსა და ორგანიზაციებს, მათ შორის მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს, აქვთ შესაძლებლობა გაასაჩირონ ეს გადაწყვეტილებები. გაითვალისწინეთ, რომ დაინტერესებული პირების და ორგანიზაციების განმარტება, რომელსაც აქვთ გასაჩივრების უფლება მუხლი 13-ის შესაბამისად, არ გულისხმობს იმ სპორტსმენებსა და ფედერაციებს, რომელთაც შეიძლება სარგებელი ნახონ სხვა მოასპარეზეს დისკვალიფიკაციით.]]

13.1 გასაჩივრებას დაქვემდებარებული გადაწყვეტილებები

ამ კოდექსზე, ან კოდექსის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია 13.2 -13.7 მუხლების შესაბამისად, ან კოდექსის სხვა მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. პირველი გადაწყვეტილება ძალაში რჩება გასაჩივრების პერიოდში, თუ სააპელაციო ორგანო სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

13.1.1 განხილვის საგანი არ არის შეზღუდული

აპელაციის განხილვის საგანი მოიცავს განხილვის თემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და არ არის შეზღუდული მხოლოდ იმ საკითხებით და საგნით, რაც პირველ ინსტანციაში იყო წარდგენილი. ნებისმიერ მხარეს შეუძლია წარადგინოს მტკიცებულება, სამართლებრივი არგუმენტები და მოთხოვნები, რომლებიც არ იყო წამოწეული პირველ ინსტანციაში იმდენად, რამდენადაც მათი წარმოშობა დაკავშირებულია ერთიდაიმავე ქმედებისგან ან ზოგადი ფაქტებისა და გარემოებებისგან, რომელიც წარმოდგენილი იყო პირველ ინსტანციაში მოსმენის პერიოდში..⁵³

13.1.2 საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟი არ უნდა იყოს შეზღუდული გასაჩივრებული საქმის დადგენილი გარემოებებით

თავის გადაწყვეტილებებში, საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟი არ უნდა იყოს შეზღუდული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დისკრეციით..⁵⁴

13.1.3 მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო არ არის ვალდებული ამოწუროს მოქმედების შიდა სშუალებები

იმ შემთხვევაში, როდესაც მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას აქვს აპელაციის უფლება მე-13 მუხლის მიხედვით და არც ერთი სხვა მხარე, რომელიც ჩართული იყო პროცესში არ ასაჩივრებს ამ გადაწყვეტილებას, მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს უფლება აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება პირდაპირ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში, მაშინაც კი, როდესაც არ არის ამოწურული შიდა პროცესით გათვალისწინებული სხვა საშუალებები..⁵⁵

⁵³ [კომენტარი მუხლზე 13.1.1: განახლებული ტექსტი არ გულისხმობს 2015 წლის კოდექსის მნიშვნელოვან ცვლილებას, არამედ გამოიყენება სივრცისთვის. მაგალითად, როდესაც პირველ ინსტანციაში მოსმენის დროს სპორტსმენს დაეკისრა პასუხისმგებლობა მხოლოდ გაყალბებისთვის, თუმცა, შეიძლება ასევე ყოფილიყო თანამონაწილეობა, სააპელაციო ორგანოს შეუძლია განხილოს ორივე ბრალდება და დააკისროს სანქცია ორივესთვის.]

⁵⁴ [კომენტარი მუხლზე 13.1.2 CAS -ის მიერ საქმის წარმოება ხდება ხელახლა. მანამდე არსებული საქმის წარმოება არ ზღუდავს მტკიცებულებებს ან არ აქვს წონა CAS -ის მიერ საქმის წარმოებისას.]

⁵⁵ [კომენტარი მუხლზე 13.1.3: როდესაც გადაწყვეტილება მიიღება სადსის მიერ საქმის წარმოების ბოლო ეტაპამდე (მაგალითად, პირველი განხილვისას), და არც ერთი მხარე არ აირჩევს რომ გაასაჩივროს გადაწყვეტილება, მაშინ მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს უფლება აქვს გვერდი აუაროს დარჩენილ შიდა პროცედურებს და საქმე გაასაჩივროს პირდაპირ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.]

13.2 გასაჩივრება ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე, შედეგებზე, დროებით სანქციებზე, გადაწყვეტილებების აღსრულებასა და უფლებამოსილებაზე

ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტის დადასტურების შესახებ გადაწყვეტილება, შესაბამისი სანქციების დაკისრების ან არ დაკისრების შესახებ, ან ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტის უარყოფის შესახებ; გადაწყვეტილება ანტიდოპინგური წესების დარღვევის განხილვის გაგრძელების შეუძლებლობის შესახებ პროცედურული მიზეზების გამო (როგორცაა მაგალითად ხანდაზმულობის ვადის გასვლა); მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უარი თქვას გამონაკლისის დაშვებაზე სპორტიდან წასული სპორტმენისთვის რომ გაუქმდეს ექვსთვიანი შეტყობინების ვალდებულება, რომელიც მას კოდექსის მიხედვით ევალება სპორტში დასაბრუნებლად მუხლი 5.6.1-ის მიხედვით; მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილება დანიშნოს შედეგების მართვის ორგანო კოდექსის მუხლი 7.1 მიხედვით; სადსის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ ჩათვალოს უარყოფითი ანალიტიკური შედეგი ან ატიპური შედეგი ანტიდოპინგური წესების დარღვევად ან გადაწყვეტილება რომ არ გააგრძელოს წარმოება ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტზე მას შემდეგ, რაც განახორციელა გამოძიება შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; გადაწყვეტილება, რომ დააკისროს ან გააუქმოს დროებითი დისკვალიფიკაცია წინასწარი მოსმენის საფუძველზე; სადსის მიერ 7.4 მუხლით დადგენილ მოთხოვნების შეუსრულებლობა; გადაწყვეტილება რომ სადსს არ გააჩნია უფლებამოსილება, დაიწყოს წარმოება ანტიდოპინგური წესების შესაძლო დარღვევაზე ან მის შედეგებზე; გადაწყვეტილება რომ დაწესდეს ან არ დაწესდეს დისკვალიფიკაცია, რომ მოხდეს სტატუსის აღდგენა ან გაუქმება, რომ დადგეს შედეგები მუხლის 10.7.1 ის მიხედვით; კოდექსის მუხლების 7.1.4 და 7.1.5 დარღვევა; მუხლის 108.1 დარღვევა; გადაწყვეტილება მუხლის 10.14.3 შესაბამისად; გადაწყვეტილება რომ სადსმა არ აღასრულოს სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მუხლი 15-ის შესაბამისად; და გადაწყვეტილება კოდექსის მუხლის 27.3 შესაბამისად, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ გასაჩივრდეს მუხლის 13.2 მიხედვით.

13.2.1 გასაჩივრება რომელიც ეხება საერთაშორისო სპორტსმენებს ან საერთაშორისო ღონისძიებებს

ის შეთხვევები, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებასთან ან საერთაშორისო ღონის სპორტსმენებთან დაკავშირებულ

გადაწყვეტილებებთან, გასაჩივრდება ექსკლუზიურად საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.⁵⁶

13.2.2 სპორტსმენთან ან სხვა პირებთან დაკავშირებული გასაჩივრება

შემთხვევები, როდესაც სახეზე არ არის 13.2.1 მუხლით გათვალისწინებული პირობები, გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სადსის სააპელაციო პანელში. გასაჩივრების პროცესი უნდა წარიმართოს შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

13.2.2.1 სადსის სააპელაციო პანელში საქმის განხილვა

13.2.2.1.1 სადსის სააპელაციო პანელი უნდა შედგებოდეს დამოუკიდებელი თავმჯდომარისგან და ოთხი სხვა დამოუკიდებელი წევრისგან.

13.2.2.1.2 თითოეული წევრი უნდა დაინიშნოს მათი ანტიდოპინგური გამოცდილების შესაბამისად, მათ შორის სამართლებრივი, სპორტული, სამეცნიერო ან სამეცნიერო საქმიანობის გათვალისწინებით. თითოეული წევრი უნდა დაინიშნოს ერთხელ განახლებადი ოთხწლიანი პერიოდით.

13.2.2.1.3 დანიშნული წევრები უნდა იყვნენ დამოუკიდებლები. საბჭოს წევრები, თანამშრომლები, კომისიის წევრები, კონსულტანტები და სადსის ან მასთან დაკავშირებული ორგანიზაციის (მაგალითად დელეგირებული მესამე მხარე) ოფიციალური წარმომადგენლები, ასევე პირი, რომელიც ჩართული იყო წინასწარ გამოძიებაში, ან შედეგების მართვასი არ შეიძლება დაინიშნონ სადსის გასაჩივრების პანელის წევრებად ან ადმინისტრატორებად. განსაკუთრებით, არც ერთი წევრი არ შეიძლება იყოს დაკავშირებული ამ საქმეში თერაპიული გამოყენების გამოწვევის გაცემასთან, შედეგების მართვის გადაწყვეტილებასთან პირველ ინსტანციაში ან გასაჩივრებასთან რომელიც უკავშირდება იმავე სპორტსმენს ან საქმეს.

13.2.2.1.4 სადსის ანტიდოპინგური გასაჩივრების პანელს უნდა შეეძლოს განხილვის ჩატარება სადსის ან ნებისმიერი მესამე მხარის ჩარევის გარეშე.

13.2.2.1.5 თუ თავმჯდომარის მიერ დანიშნულ წევრს არ უნდა ან არ შეუძლია საქმის განხილვაში მონაწილეობა, თავმჯდომარეს შეუძლია დანიშნოს მისი შემცველი ან თავიდან დააკომპლექტოს მთლიანი პანელი.

13.2.2.1.6 საქართველოს ანტიდოპინგური გასაჩივრების პანელს აქვს უფლებამოსილება, თავისი დისკრეციის ფარგლებში დანიშნოს ექსპერტი გადაწყვეტილების მიღებაში დასახმარებლად.

13.2.2.1.7 საერთაშორისო ფედერაციას, დაკავშირებულ ეროვნულ ფედერაციას, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს (თუ ისინი არ წარმოადგენენ მხარეს) მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ შეიძლება მისცეს უფლება დაესწრონ საქმის განხილვას როგორც დამკვირვებლები.

⁵⁶ [კომენტარი მუხლზე 13.2.1: სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებები საბოლოოა და მხოლოდ გარდა გამოსაყენებელი სამართლით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომელიც ითვალისწინებს ამ გადაწყვეტილების გაუქმებას ან აღსრულებას.]

13.2.2.1.8 ამ მუხლით გათვალისწინებული განხილვა უნდა ჩატარდეს სწრაფად და ექვეფქტურად. ღონისძიებებთან დაკავშირებული განხილვები უნდა ჩატარდეს დაჩქარებული წესით.

13.2.2.2 საქართველოს ანტიდოპინგური გასაჩივრების პანელის მიერ საქმისწარმოება

13.2.2.2.1 საქართველოს ანტიდოპინგური გასაჩივრების პანელის მიერ საქმის წარმოება უნდა მოხდეს შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლებით დადაგენილი პრინციპების შესაბამისად.

13.2.2.2.2 თავმჯდომარემ უნდა დანიშნოს სამი წევრი (მათ შორის ერთი შეიძლება იყოს თავმჯდომარე) საქმის განხილვისთვის. ამ შემთხვევაში პანელის ერთი წევრი უნდა იყოს კვალიფიციური იურისტი, სულ მცირე სამწლიანი შესაბამისი იურიდიული განათლებით, ერთი წევრი უნდა იყოს კვალიფიციური პრაქტიკოსი ექიმი რომელსაც გააჩნია სულ მცირე სამწლიანი შესაბამისი გამოცდილება.

13.2.2.2.3 დანიშვნისას, თითოეულმა წევრმა ხელი უნდა მოაწეროს დეკლარაციას, რომ არ არსებობს ფაქტობრივი გარემოებები, რაც მათთვის გახდა ცნობილი, რომელიც ხელს შეუშლის მათ მიუკერძოებლობას, გარდა იმ გარემოებებისა, რაც მათთვის საქმიდან გამომდინარე გახდა ცნობილი.

13.2.2.2.4 მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს თავისი საქმე, ხოლო მოპასუხემ უნდა წარმოადგინოს თავისი საქმე შეპასუხებაში.

13.2.2.2.5 თუ რომელიმე მხარე ვერ მიიღებს მონაწილეობას განხილვაში შეტყობინების მიღების მიუხედავად, საქმის განხილვა მაინც უნდა ჩატარდეს.

13.2.2.2.6 თითოეულ მხარეს უფლება აქვს ჰყავდეს წარმომადგენელი თავისი ხარჯებით.

13.2.2.2.7 თითოეულ მხარეს უფლება აქვს ჰყავდეს თარჯიმანი თავისი ხარჯებით.

13.2.2.2.8 თითოეულ მხარეს უფლება აქვს ხელი მიუწვდებოდეს და წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, წერილობითი და ზეპირი წარდგინებები, და დაკითხოს მოწმეები.

13.2.2.3 სადსის გასაჩივრების პანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

13.2.2.3.1 განხილვის დასრულებისას ან მისი დასრულებიდან მალევე, სადსის გასაჩივრების პანელმა უნდა გამოსცეს წერილობითი, დათარიღებული და ხელმოწერილი გადაწყვეტილება შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის მე-9 მუხლით დადაგენილი პრინციპების გათვალისწინებით.

13.2.2.3.2 გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს იმ მიზეზებს რამაც განაპირობა გადაწყვეტილება დისკვალიფიკაციის პერიოდის დაწესებასთან დაკავშირებით, მათ შორის იმის დასაბუთებას, თუ რატომ არ მოხდა დისკვალიფიკაციის მაქსიმალური პერიოდის გამოყენება ასეთის არსებობის შემთხვევაში.

13.2.2.3.3 სადსმა უნდაა ცნობოს სპორტსმენს ან სხვა პირს, მის ეროვნულ ფედერაციას და ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ გასაჩივრების უფლება მუხლის 13.2.3 შესაბამისად, გადაწყვეტილების შესახებ, და დაუყოვნებლივ განათავსოს ინფორმაცია ადამსში.

13.2.2.3.4 გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 13.2.3 მუხლის შესაბამისად და გასაჯაროვდეს მუხლის 14.3 შესაბამისად.

13.2.3 გასაჩივრების უფლების მქონე პირები

13.2.3.1 გასაჩივრება რომელიც ეხება საერთაშორისო დონის სპორტსმენებს ან საერთაშორისო დონის სპორტსმენებს

13.2.1 გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემდეგ პირებს აქვს საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში გასაჩივრების უფლება: ა) სპორტსმენს ან სხვა პირს რომელიც არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების სუბიექტი; ბ) საქმეში არსებული სხვა მხარეს, ვის მიმართაც მიღებულია გადაწყვეტილება; გ) შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას; დ) სადსს ან (თუ განსხვავებულია) იმ ქვეყნის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომლის რეზიტენტი, მოქალაქე ან ლიცენზიის მფლობელი არის დამრღვევი პირი; დ) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტს ან საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტს, როდესაც გადაწყვეტილებას შეიძლება გავლენა ჰქონდეს ოლიმპიურ თამაშებს ან პარალიმპიურ თამაშებზე, მათ შორის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ოლიმპიური თამაშების და პარალიმპიური თამაშებში მონაწილეობის უფლებას; ე) მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს.

13.2.3.2 გასაჩივრება რომელიც ეხება სხვა სპორტსმენებს და სხვა პირებს იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა 13.2.2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები, გასაჩივრების უფლების მქონე პირები უნდა განისაზღვროს ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებით, მაგრამ სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგ მხარეებს: ა) სპორტსმენი ან სხვა პირი, რომელიც არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების სუბიექტი; ბ) საქმეში არსებული სხვა მხარე, ვის მიმართაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება; გ) შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია; დ) სადსი (ან თუ განსხვავებულია) იმ ქვეყნის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომლის რეზიტენტი, მოქალაქე ან ლიცენზიის მფლობელი არის დამრღვევი პირი; დ) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ან საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი, როდესაც გადაწყვეტილებას შეიძლება გავლენა ჰქონდეს ოლიმპიურ თამაშებს ან პარალიმპიურ თამაშებზე, მათ შორის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ოლიმპიური თამაშების და პარალიმპიური თამაშებში მონაწილეობის უფლებას; ე) მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტო. 13.2.2 მუხლის შესაბამისად, WADA- ს, საერთაშორისო

ოლიმპიურ კომიტეტს, საერთაშორისო პარაოლიმპიურ კომიტეტსა და შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას ასევე აქვთ უფლება, მიმართონ CAS- ს, ეროვნული დონის სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. საჩივრის შემტან ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიიღოს დახმარება საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟისგან, იმ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციისგან ინფორმაციის გამოსათხოვად, რომლის გადაწყვეტილებაც გასაჩივრებულია. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს, თუ საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟი ასე გადაწყვეტს.

13.2.3.3 შეტყობინების ვალდებულება

საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში აპელაციის შემტანი ყველა მხარე ვალდებულია, დროულად აცნობოს მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და ყველა სხვა მხარეს, რომელსაც აქვთ გასაჩივრების უფლება, გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ.

13.2.3.4 დროებითი დისკვალიფიკაციის დაწესებასთან დაკავშირებული გასაჩივრება

წინამდებარე სხვა დებულებების მიუხედავად, ერთადერთი მხარე, ვისაც აქვს დროებითი დისკვალიფიკაციის გასაჩივრების უფლება არის სპორტსმენი ან სხვა პირი, ვის მიმართაც გამოტანილია დროებითი დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება.

13.2.3.5 მუხლი 12-ის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება

სადსის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია მუხლი 12-ის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ მსოფლიო საარბიტრაჟო სასამართლოში ეროვნული ფედერაციის ან სხვა ორგანოს მიერ.

13.2.4 ნებადართული ჯვარედინი გასაჩივრებები და თანმდევი გასაჩივრებები

ჯვარედინი გასაჩივრებები და თანმდევი გასაჩივრებები ნებადართულია ნებისმიერი რესპოდენტისგან, რომელიც დასახლდა საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში საქმის განხილვისას კოდექსის მიხედვით. ნებისმიერი მხარეს რომელსაც მე-13 მუხლის თანახმად აქვს გასაჩივრების უფლება, უნდა შეიტანოს ჯვარედინი საჩივარი ან თანმდევი საჩივარი არა უგვიანეს მხარისგან პასუხის მიღებისა.⁵⁷

13.3 სადსის მიერ დროული გადაწყვეტილების გამოტანის შეუძლებლობა

⁵⁷ [კომენტარი მუხლზე 13.2.4: ეს დებულება აუცილებელია, რადგან 2011 წლის შემდგომ CAS -ის წესები აღარ აძლევს სპორტსმენებს უფლებას შეიტანონ ჯვარედინი აპელაცია, როდესაც ანტიდოპინგური ორგანიზაცია გასაჩივრებს გადაწყვეტილებას მას შემდეგ რაც ამოიწურება სპორტსმენის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა. ეს დებულება საშუალებას იძლევა ჩატარდეს სრულფასოვანი მოსმენა ყველა მხარისათვის.]

იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც სადსი ვერ უზრუნველყოფს მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დადგენილ დროის გონივრულ პერიოდში გადაწყვეტილების გამოტანას იმის შესახებ, დაირღვა თუ არა ანტიდოპინგური წესები, მაშინ მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას უფლება აქვს პირდაპირ აპელაციით მიმართოს საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟს ისე, თითქოს სადსმა გამოიტანა გადაწყვეტილება ანტიდოპინგური წესების დარღვევის არ არსებობის შესახებ. თუ საარბიტრაჟო სასამართლო დაადასტურებს ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტს და ჩათვლის, რომ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ შეტანილი საჩივარი იყო გონივრული, მაშინ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს ხარჯები და ადვოკატის მომსახურება უნდა აანაზღაუროს სადსმა.⁵⁸

13.4 თერაპიული გამოყენების გამონაკლისთან დაკავშირებული გასაჩივრებები

თერაპიული გამოყენების გამონაკლისთან დაკავშირებული გასაჩივრებები შესაძლებელია მხოლოდ 4.4 მუხლით დადგენილ შემთხვევებში.

13.5 გასაჩივრებული გადაწყვეტილებების შესახებ შეტყობინება

სადსმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გასაჩივრების გადაწყვეტილება სპორტსმენს ან სხვა პირს და იმ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს გასაჩივრების უფლება მუხლის 13.2.3 შესაბამისად, მუხლი 14.2 დებულებების მიხედვით.

13.6 გასაჩივრების ვადები⁵⁹

13.6.1 გასაჩივრება სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში

სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის გასაჩივრების ვადა უნდა განისაზღვროს 21 დღით, მას შემდეგ რაც მიღებული იქნება მოსარჩელის გადაწყვეტილება. მიუხედავად ზემოთთქმულისა, შემდეგი დებულებები უნდა იყოს გამოყენებული იმ გასაჩივრებებთან დაკავშირებით, რომელიც აღძრა მხარემ, რომელიც არ იყო ამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხარე:

⁵⁸ [კომენტარი მე-13 მუხლის მე-3 პუნქტზე: ანტიდოპინგური წესის დარღვევის გამოძიების, შედეგების მართვისა და მოსმენის პროცესის განსხვავებული გარემოებების გათვალისწინებით, შეუძლებელია სადსისთვის განსაზღვრული ვადის დადგენა, მანამ სანამ WADA-ს ჩაერევა და მიმართავს პირდაპირ CAS-ს. ამგვარი მოქმედებების დაწყებამდე, WADA გაივლის კონსულტაციას სადსთან და მისცემს შესაძლებლობას განმარტოს, რატომ არ მიუღია მას გადაწყვეტილება.]

⁵⁹ [კომენტარი მუხლზე 13.6: როდესაც გამოიყენება საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის ან ეს ანტიდოპინგური წესები, მხარისთვის ვადის ათვლა არ დაიწყება მანამ, სანამ არ მოხდება მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარება. ამ მიზეზით, მხარეს არ ჩამოერთმევა გასაჩივრების უფლება, თუ მას არ ჩაბარდა გადაწყვეტილება.]

(ა) თხუთმეტი დღე გადაწყვეტილების შეტყობინების მიღებიდან, ამ მხარეს უფლება აქვს მოთხოვოს საქმის მთლიანი მასალები იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციისგან, რომელმაც განახორციელა შედეგების მართვა;

(ბ) თუ ამგვარი მოთხოვნა მოხდა თხუთმეტი დღის ვადაში, მაშინ ამ მხარეს აქვს 21 დღე მასალების მიღებიდან, რომ გადაწყვეტილება გაასაჩივროს საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.

მიუხედავად ზემოთთქმულისა, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსთვის გასაჩივრების ვადა უნდა იყოს არა უგვიანეს:

(ა) ოცდაერთი დღისა, მას შემდეგ რაც ნებისმიერ სხვა მხარეს ვისაც ჰქონდა გასაჩივრების უფლება ან

(ბ) ოცდაერთი დღისა, მას შემდეგ რაც მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ მიიღო საქმესთან დაკავშირებული ყველა მასალა.

13.6.2 მუხლი 13.2.2-თან დაკავშირებული გასაჩივრებები

სადსის გასაჩივრების პანელის გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს მოსარჩელისთვის ამ გადაწყვეტილების მიღებიდან ოცდაერთი დღის ვადაში. მიუხედავად ზემოთთქმულისა, შემდეგი ვადები უნდა იქნეს გამოყენებული იმ გასაჩივრებასთან დაკავშირებით სადაც მოსარჩელე არ იყო გადაწყვეტილების მიღებისას წარმოდგენილი როგორც მხარე:

(ა) თხუთმეტი დღის განმავლობაში გადაწყვეტილების შეტყობინების მიღებიდან ამ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს საქმის მთლიანი მასალები იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციისგან, რომელსაც ჰქონდა შედეგების მართვის უფლებამოსილება.

(ბ) თუ ამგვარი მოთხოვნა გაკეთდა 15 დღის განმავლობაში, მაშინ მხარეს აქვს 21 დღე ფაილების მიღებიდან, რომ გაასაჩივროს გადაწყვეტილება ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს გასაჩივრების პანელში.

ზემოთთქმულისგან მიუხედავად, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსთვის გასაჩივრების ვადა უნდა იყოს არა უგვიანეს:

(ა) ოცდაერთი დღისა, მას შემდეგ რაც ყველა მხარეს ექნებოდა გასაჩივრების ვადა, ან

(ბ) ოცდაერთი დღისა, მას შემდეგ რაც ვადა მიიღეს საქმესთან დაკავშირებულ ყველა მასალას.

მუხლი 14 კონფიდენციალურობა და შეტყობინება

14.1 ინფორმაცია სპორტსმენისასთვის არასასურველი ტესტის შედეგებზე, ატპიური მონაცემები და სხვა დადასტურებული ანტიდოპინგური წესების დარღვევები

14.1.1 სპორტსმენის და სხვა პირის ინფორმირება ანტიდოპინგური წესის დარღვევის შესახებ

სპორტსმენის და სხვა პირის ინფორმირება, რომ დადასტურდა მათ მიერ ანტიდოპინგური წესის დარღვევა, უნდა მოხდეს წინამდებარე ანტიდოპინგური წესების 7 და 14 მუხლების თანახმად. სპორტსმენის ან ეროვნული ფედერაციის სხვა წევრის ინფორმირება შეიძლება მოხდეს ეროვნულ ფედერაციაში შესაბამისი შეტყობინების მიწოდების გზით.

14.1.2 საერთაშორისო ფედერაციების და მადს-ის ინფორმირება ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ

საერთაშორისო ფედერაციების და მადს-ის ინფორმირება ანტიდოპინგური წესის დადასტურებული დარღვევის შესახებ უნდა მოხდეს წინამდებარე ანტიდოპინგური წესების 7 და 14 მუხლების შესაბამისად, და ერთდროულად სპორტსმენის ან სხვა პირის ინფორმირებასთან ასეთი დარღვევის ფაქტის შესახებ.

14.1.3 ანტიდოპინგური წესის დარღვევის შესახებ შეტყობინების შინაარსი

2.1 მუხლით გათვალისწინებული ანტიდოპინგური წესის დარღვევის შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს: სპორტსმენის სახელს, ქვეყანას, სპორტის სახეობას და ამ სახეობის სპორტულ დისციპლინას, სპორტსმენის საშეჯიბრო დონეს, როდის იყო ჩატარებული ტესტირება საშეჯიბრო თუ არასაშეჯიბრო პერიოდში, სინჯის აღების თარიღს, ლაბორატორიის მიერ გამოგზავნილი ანალიზის პასუხებს, და სხვა ინფორმაციას ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

შეტყობინება ანტიდოპინგური წესის დარღვევის შესახებ, რომელიც არ არის 2.1 მუხლში გაწერილი, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას თუ რომელი ანტიდოპინგური წესი იყო დარღვეული და რის საფუძველზე მოხდა დარღვევის ფაქტის დადასტურება.

14.1.4 შეტყობინებები სტატუსის შესახებ

გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გამოძიების შედეგად არ დაიწერა შეტყობინება ანტიდოპინგური წესის დარღვევის შესახებ 14.1.1. მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო

ფედერაციებმა და მადს-მა უნდა რეგულარულად მიიღონ განახლებული ინფორმაცია 7, 8 ან 13 მუხლებით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახედვის ან განხილვის სტატუსზე და შედეგებზე, და მათ უნდა სწრაფად მიიღონ წერილობითი შეტყობინება შესაბამისი ახსნა-განმარტებით ან მიღებული გადაწყვეტილების ტექსტი საქმის გადაწყვეტის თანდართული ახსნით.

14.1.5 კონფიდენციალობა

მიმღებმა ორგანიზაციებმა არ უნდა გაასაჯაროონ ის ინფორმაცია, რომელიც მათ უნდა მიაწოდონ მხოლოდ იმ პირებს ვისაც ესაჭიროება ამის ცოდნა (ასეთ პირებს მიეკუთვნება შესაბამისი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული ფედერაცია და გუნდი სპორტის გუნდური სახეობების შემთხვევაში); ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამას გაასაჯაროვებს ან ვერ გაასაჯაროვებს სადს-ი.

სადს-მა უნდა უზრუნველყოს, რომ ინფორმაცია სპორტსმენისათვის არასასურველი ტესტის შედეგებზე, ატიპიურ მონაცემებზე და სხვა ანტიდოპინგური წესის დადასტურებული დარღვევის შესახებ, ინარჩუნებდეს კონფიდენციალობას ვიდრე გასაჯაროვდება 14.3 მუხლის შესაბამისად, და კონფიდენციალობის დაცვის და აგრეთვე კონფიდენციალური ინფორმაციის არამართლზომიერი და/ან უნებართვოდ გასაჯაროების ფაქტების გამოძიების და სათანადო სანქციების გამოტანის მიზნით, შეტყობინება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სადს-ის და მისი ნებისმიერი თანამშრომლის (მუდმივი ან დროებითი) მიერ დადებულ კონტრაქტებზე, კონტრაქტორებზე, აგენტებზე და კონსულტანტებზე.

14.2 ანტიდოპინგურის წესის დარღვევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შეტყობინება და მასალების გამოთხოვნა

14.2.1 ანტიდოპინგური წესის დარღვევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებში 7.11, 8.3, 10.4, 10.5, 10.6, 10.12.3 ან 13.5 მუხლების შესაბამისად სრულად უნდა იყოს მითითებული ასეთი გადაწყვეტილების მიღების მიზეზები, მათ შორის, თუ საჭიროა, იმის გასამართლებელი საბუთები, თუ რატომ არ დაეკისრა დამნაშავეს ამ დარღვევისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სანქციები. თუ შეტყობინება არ არის ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე, სადს-მა უნდა წარადგინოს მიღებული გადაწყვეტილების და ასეთი გადაწყვეტილების გასამართლებელი არგუმენტების მოკლე რეზიუმე ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე.

14.2.2 გასაჩივრების უფლების მქონე ანტიდოპინგურ ორგანიზაციას გადაწყვეტილების შეტყობინების მიღების შემდეგ 14.2.1 მუხლის შესაბამისად შეუძლია თხუთმეტდღიან ვადაში გამოითხოვოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული საქმის მასალების სრული პაკეტი

14.3 გასაჯაროება

14.3.1 სპორტსმენის ან სხვა პირის პიროვნება, რომელმაც ჩაიდინა სადს-ის მიერ დამტკიცებული ანტიდოპინგური წესის დარღვევა, შეიძლება გასაჯაროვდეს მხოლოდ სადს-ის მიერ მას შემდეგ, რაც სპორტსმენმა ან სხვა პირმა მიიღო შეტყობინება ამის შესახებ 7.3, 7.4, 7.5, 7.6 ან 7.7 მუხლების შესაბამისად; და ეს შეტყობინება იმავდროულად მიიღო მადს-მა და სპორტსმენის ან სხვა პირის საერთაშორისო ფედერაციამ 14.1.2 მუხლის შესაბამისად.

14.3.2 არა უგვიანეს 20 დღისა, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა მოსარჩლის საბოლოო გადაწყვეტილება 13.2.1 ან 13.2.2 მუხლის შესაბამისად, ან თუ მოსმენაზე უარი იყო ნათქვამი მუხლი 8 შესაბამისად, ან ანტიდოპინგური წესის დარღვევის ფაქტის დადგენა არ იყო დროულად გასაჩივრებული, საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო ვალდებულია გაასაჯაროს ამ ანტი-დოპინგური დარღვევის შინაარსი, მათ შორის დაასახელოს სპორტის სახეობა, სადაც მოხდა ანტიდოპინგური წესის დარღვევა, ანტიდოპინგური წესის დამრღვევი სპორტსმენის ან სხვა პირის სახელი, დაასახელოს გამოყენებული აკრძალული ნივთიერება ან აკრძალური მეთოდი (თუ ასეთ რამეს ქონდა ადგილი) და დაკისრებული სანქციები. სადს-მა აგრეთვე ოცდლიან ვადაში უნდა გაასაჯაროს საბოლოო გასაჩივრების გადაწყვეტილებები ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ მათ შორის ზევით მოყვანილი ინფორმაცია.

14.3.3 ყველა შემთხვევაში, როცა საქმის მოსმენის ან გასაჩივრების შემდეგ დადასტურდება, რომ სპორტსმენს ან სხვა პირს არ დაურღვევია ანტიდოპინგური წესი, საქმის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჯაროვდეს მხოლოდ ამ გადაწყვეტილების ფიგურანტი სპორტსმენის ან სხვა პირის თანხმობით. სადს-მა უნდა გამოიჩინოს გონივრული ძალისხმევა ასეთი თანხმობის მისაღებად. თუ თანხმობა მიღებულია, სადს-მა უნდა გაასაჯაროს გადაწყვეტილების სრული ტექსტი ან მისი მოკლე შინაარსი, რომელსაც მოიწონებს სპორტსმენი ან სხვა პირი.

14.3.4 გასაჯაროება უნდა მოხდეს სულ ცოტა სადს-ის ვებ გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნების სახით, ან ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებებით. ინფორმაცია რჩება ვებ გვერდზე ან ინფორმაციის გავრცელების სხვა წყაროებში ერთ თვეზე მეტ ხანს ან დისკვალიფიკაციის ნებისმიერი პერიოდის მანძილზე.

14.3.2 არც სადს, არც ეროვნულ ფედერაციებს და არც ნებისმიერი ორგანოს ოფიციალურ პირს არა აქვთ უფლება ნებისმიერი მიმდინარე საქმის განხილვის სპეციფიურ ფაქტებზე საჯარო კომენტარის გაკეთება (პროცესის და მეცნიერული ფაქტების ზოგადი აღწერისაგან განსხვავებით), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჭიროა პასუხი ანტიდოპინგური წესის დადასტურებულად დამრღვევ სპორტსმენთან ან სხვა პირთან ან მათ წარმომადგენლებთან დაკავშირებულ საჯაროდ გამოქვეყნებულ კომენტარზე.

14.3.6 სავალდებულო გასაჯაროება, რომელსაც მოითხოვს 14.3.2 მუხლი, არ არის საჭირო, თუ სპორტსმენი ან სხვა პირი, რომელსაც დაუმტკიცდა ანტიდოპინგური წესის დარღვევა, არასრულწლოვანია. ნებისმიერი სხვა სახის გასაჯაროება, როცა საქმე არასრულწლოვანს ეხება, უნდა იყოს მისადაგებული საქმის ფაქტებს და გარემოებებს.

14.4 სტატისტიკური ანგარიში

სადს-მა მინიმუმ წელიწადში ერთხელ უნდა გამოაქვეყნოს ზოგადი სტატისტიკური ანგარიში თავის დოპინგ კონტროლის საქმიანობის შესახებ. ამ ანგარიშის ასლი გადაეცემა მადს. სადს-მა აგრეთვე შეიძლება გამოაქვეყნოს ანგარიშები, სადაც იქნება მითითებული ყველა სპორტსმენის სახელი და ყოველი ტესტირების თარიღი.

14.5 დოპინგ კონტროლის ინფორმაციის გავრცელება

კოორდინირებული ტესტირების გავრცელების დაგეგმვის მიზნით, და სხვადასხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ ტესტირების უსარგებლო დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, სადს-მა უნდა შეატყობინოს მადს-ის ინფორმაციის გამავრცელებელ ორგანოს ყველა საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო პერიოდში ჩატარებული ტესტირების შემთხვევების და სპორტსმენების ან სხვა პირების შესახებ, ადამს-ის მეშვეობით, ამ ტესტირების ჩატარებიდან უმოკლეს ვადაში. ეს ინფორმაცია საჭიროების შემთხვევაში და შესაბამისი წესების მიხედვით ხელმისაწვდომი უნდა იყოს სპორტსმენისათვის, სპორტსმენის საერთაშორისო ფედერაციისათვის და სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციებისათვის, რომლებიც უფლებამოსილი არიან ჩაატარონ სპორტსმენის ტესტირება.

14.6 მონაცემთა გასაიდუმლოება

14.6.1 კოდექსით და საერთაშორისო სტანდარტებით (მათ შორის საიდუმლოს და პირადი ინფორმაციის დაცვის საერთაშორისო სტანდარტით) და წინამდებარე ანტიდოპინგური წესებით განსაზღვრული ანტიდოპინგური საქმიანობის შესრულების მიზნით, სადს უფლება აქვს შეაგროვოს, შეინახოს, დაამუშავოს ან გაასაჯაროოს სპორტსმენების ან სხვა პირების პირადი ინფორმაცია, როცა ეს აუცილებელი და მართებულია.

14.6.2 წინამდებარე ანტიდოპინგური წესების თანახმად, ნებისმიერი მონაწილე, რომელიც გადასცემს ინფორმაციას მათ შორის პირად მონაცემებს ნებისმიერ პირს, მონაცემთა დაცვის შესაბამისი კანონების და სხვა წესებს თანახმად უნდა ეთანხმებოდეს დებულებას, რომ ასეთ პირს უფლება აქვს შეაგროვოს, შეინახოს, გაასაჯაროოს და გამოიყენოს ეს ინფორმაცია

წინამდებარე ანტიდოპინგური წესების განსახორციელებლად საიდუმლოების და პირადი ინფორმაციის დაცვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, და სხვა შემთხვევებში გამოიყენოს ეს ინფორმაცია წინამდებარე ანტიდოპინგური წესების შესასრულებლად.

მუხლი 15 გადაწყვეტილებების შესრულება

15.1 ხელმომწერი ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ავტომატური სავალდებულო შესრულება.

15.1.1 ანტიდოპინგური ორგანიზაციის, სააპელაციო ორგანოს (კოდექსის 13.2.2 მუხლი) ან სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მას შემდეგ, რაც პროცესში მონაწილე მხარეებს ეცნობებათ, ავტომატურად, სავალდებულო შესასრულებელია მხარეებისთვის, სადს-ს და ნებისმიერი ეროვნული ფედერაციისათვის საქართველოში, ასევე სპორტის ყველა სახეობაში ხელმომწერი მხარისათვის, ქვემოთ აღწერილი შედეგებით:

15.1.1.1 ნებისმიერი ზემოთ აღნიშნული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დისკვალიფიკაციის პერიოდის დაკისრების შესახებ, (მას შემდეგ, რაც დროებითი მოსმენა ჩატარდა, ან სპორტსმენმა ან სხვა პირმა მიიღო დროებითი დისკვალიფიკაცია, ან უარი თქვა დროებითი მოსმენის, დაჩქარებული მოსმენის ან დაჩქარებული გასაჩივრების უფლებაზე 7.4.3 მუხლის შესაბამისად) ავტომატურად უკრძალავს სპორტსმენს ან სხვა პირს სპორტის ყველა დისციპლინაში, ნებისმიერი ხელმომწერის უფლებამოსილების ფარგლებში ასპარეზობას. (როგორც ეს აღწერილია მუხლში 10.14.1)

15.1.1.2 ნებისმიერი ზემოთ აღნიშნული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, დისკვალიფიკაციის პერიოდის დაკისრების შესახებ, (მოსმენის ჩატარების ან უარის თქმის შემდეგ) დისკვალიფიკაციის პერიოდში ავტომატურად უკრძალავს სპორტსმენს ან სხვა პირს სპორტის ყველა დისციპლინაში, ნებისმიერი ხელმომწერის უფლებამოსილების ფარგლებში ასპარეზობას. (როგორც ეს აღწერილია მუხლში 10.14.1)

15.1.1.3 ნებისმიერი ზემოთ აღნიშნული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ანტიდოპინგური წესის დარღვევის შესახებ, ავტომატურად ავალდებულებს ყველა ხელმომწერს გადაწყვეტილების შესრულებას.

15.1.1.4 ნებისმიერი ზემოთ აღნიშნული ორგანოს გადაწყვეტილება შედეგების დისკვალიფიკაციაზე 10.10 მუხლის შესაბამისად, დისკვალიფიკაციის პერიოდში, ავტომატურად ვრცელდება ყველა მიღწეულ შედეგზე, ნებისმიერი ხელმომწერის უფლებამოსილების ფარგლებში

15.1.2 სადს-მა და საქართველოში მოქმედმა ნებისმიერმა ეროვნულმა ფედერაციამ უნდა ცნოს და განახორციელოს გადაწყვეტილება და მისი შედეგები 15.1.1 მუხლის შესაბამისად, ყოველგვარი დამატებითი მოქმედების გარეშე, სადს მიიღებს შეტყობინებას გადაწყვეტილების შესახებ ან გადაწყვეტილების თარიღს, რომელიც განთავსდება ADAMS-ში.

15.1.3 ანტიდოპინგური ორგანიზაციის, სააპელაციო ორგანოს ან სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შეჩერების ან მოხსნის შესახებ, სავალდებულოა სადს-სთვის და ნებისმიერი ეროვნული ფედერაციისთვის საქართველოში, ყოველგვარი დამატებითი მოქმედების გარეშე, სადს მიიღებს ფაქტობრივ შეტყობინებას გადაწყვეტილების შესახებ ან გადაწყვეტილების თარიღს, რომელიც განთავსებულია ADAMS-ში.

15.1.4 ამასთან, 15.1.1. მუხლის ნებისმიერი დებულების მიუხედავად, მთავარი სპორტული ღონისძიების ორგანიზატორების გადაწყვეტილება ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ, რომელიც გაკეთდა დაჩქარებულ პროცესში, შეჯიბრების დროს სავალდებულო არ არის შესასრულებლად სადს-სთვის ან ეროვნული ფედერაციისთვის საქართველოში, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია შეჯიბრების წესებით და უზრუნველყოფს სპორტსმენის ან სხვა პირის გასაჩივრების შესაძლებლობას დაუჩქარებელი პროცედურებით.

15.2 ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ სხვა გადაწყვეტილებების შესრულება

სადს-ს და ნებისმიერ ეროვნულ ფედერაციას შეუძლია შეასრულოს ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ მიღებული ანტიდოპინგური გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არის აღწერილი 15.1.1 მუხლში მაგალითად : დროებითი დისკვალიფიკაცია დროებითი მოსმენის დაწყებამდე ან სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ აღიარება.

15.3 ორგანოს მიერ ისეთი გადაწყვეტილებების განხორციელება, რომელიც არ არის ხელმომწერი

ანტიდოპინგური გადაწყვეტილება იმ ორგანიზაციის მიერ, რომელიც არ არის კოდექსის ხელმომწერი, იმ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს სადს-ს და

საქართველოში ეროვნული ფედერაციის მიერ, თუ სადს დაადგენს, რომ გადაწყვეტილების მიზნები ამ ორგანოს კომპეტენციაში შედის და ამ ორგანოს ანტიდოპინგური წესები სხვაგვარად შეესაბამება კოდექსს.

[კომენტარი მუხლის 15.1.4 – ზე: მაგალითისთვის, როდესაც ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორის წესები აძლევს სპორტსმენს ან სხვა პირს CAS– ის დაჩქარებული გასაჩივრების ან CAS– ის გასაჩივრების არჩევის შესაძლებლობას CAS– ის ნორმალური პროცედურის შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილება ან განსჯა ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორის სავალდებულოა სხვა ხელმომწერებისათვის, მიუხედავად იმისა, აირჩევს თუ არა სპორტსმენი ან სხვა პირი დაჩქარებული გასაჩივრების ვარიანტს.]

[კომენტარი 15.1 და 15.2 მუხლებზე: ანტიდოპინგური ორგანიზაციის გადაწყვეტილებები 15.1 მუხლის შესაბამისად, სხვა ხელმომწერების მიერ ავტომატურად ხორციელდება ხელმომწერების მხრიდან რაიმე გადაწყვეტილების ან შემდგომი მოქმედების მოთხოვნის გარეშე. მაგალითად, როდესაც ანტიდოპინგური ეროვნული ორგანიზაცია გადაწყვეტს დროებით შეაჩეროს სპორტსმენი, ეს გადაწყვეტილება ავტომატურად მოქმედებს საერთაშორისო ფედერაციის დონეზე. გასაგებად რომ ვთქვათ, "გადაწყვეტილება" არის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საერთაშორისო ფედერაციის მიერ ცალკე გადაწყვეტილება არ მიიღება. ამრიგად, სპორტსმენის ნებისმიერი პრეტენზია იმის შესახებ, რომ დროებითი დისკვალიფიკაცია არასწორად იქნა დაწესებული, მხოლოდ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის წინააღმდეგ შეიძლება დამტკიცდეს. ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ 15.2 მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება ექვემდებარება თითოეული ხელმომწერის შეხედულებას. ხელმომწერის მიერ 15.1 ან 15.2 მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ ხდება ძირითადი გადაწყვეტილების გასაჩივრებისგან დამოუკიდებლად. სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციების TUE გადაწყვეტილების აღიარების ზომა განისაზღვრება მე -4 მუხლის მე -4 პუნქტით და თერაპიული გამოყენების გამონაკლისების საერთაშორისო სტანდარტით.]

[კომენტარი მუხლი 15.3-ზე: თუ კოდექსზე არახელმომწერი ორგანოს გადაწყვეტილება გარკვეული თვალსაზრისით შეესაბამება კოდექსს და სხვა თვალსაზრისით არ შეესაბამება კოდექსს, ხელმომწერებმა უნდა შეეცადონ გამოიყენონ ეს გადაწყვეტილება კოდექსის პრინციპების შესაბამისად. მაგალითად, თუ კოდექსის შესაბამისად, არა-ხელმომწერმა აღმოაჩინა, რომ სპორტსმენმა ჩაიდინა ანტიდოპინგური წესის დარღვევა სპორტსმენის სხეულში აკრძალული ნივთიერების არსებობის გამო, მაგრამ დისკვალიფიკაციის პერიოდი უფრო მოკლეა, ვიდრე კოდექსში მითითებული პერიოდი, მაშინ ყველა ხელმომწერმა უნდა აღიაროს ეს და ანტიდოპინგურმა ეროვნულმა ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს მოსმენა მე -8 მუხლის შესაბამისად, იმის დასადგენად, უნდა დააკისროს თუ არა კოდექსით გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის უფრო მეტი ვადა.

ხელმომწერი მხარის მიერ 15.3-ე მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების შესრულება ან შეუსრულებლობა შეიძლება გასაჩივრდეს მე -13 მუხლით.]

მუხლი 16 შეზღუდვების სტატუსი

სპორტსმენის ან სხვა პირის მიმართ არც ერთი ანტიდოპინგური წესის დარღვევის განხილვა არ შეიძლება იწარმოოს, თუ სპორტსმენი ან სხვა პირი არ იქნება ინფორმირებული ანტიდოპინგური წესის დარღვევის შესახებ მუხლი 7 შესაბამისად, ან თუ არ გაკეთებულა შეტყობინების გონივრული მცდელობა, წესის დარღვევის დამტკიცების დღიდან (10) ათწლიანი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 17 განათლება

სადს-მ უნდა დაგეგმოს, განახორციელოს, შეაფასოს და ხელი შეუწყოს ანტიდოპინგურ განათლებას კოდექსის 18.2 მუხლის მოთხოვნების და განათლების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მუხლი 18 ეროვნული ფედერაციების დამატებითი როლები და პასუხისმგებლობები

18.1 საქართველოს ყველა ეროვნულმა ფედერაციამ და მათმა წევრებმა უნდა დაიცვან კოდექსი, საერთაშორისო სტანდარტები და ანტიდოპინგური წესები.

საქართველოს ყველა ეროვნულმა ფედერაციამ და სხვა წევრებმა თავიანთ პოლიტიკაში, წესებსა და პროგრამებში უნდა შეიტანონ ის დებულებები, რომლებიც აუცილებელია სადს-ის უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის აღიარებისათვის, ეროვნული ანტიდოპინგური პროგრამის განსახორციელებლად და ამ ანტიდოპინგური წესების აღსრულებისათვის (მათ შორის, ტესტირების ჩატარება) უშუალოდ სპორტსმენებისა და მათი ანტიდოპინგური უფლებამოსილების ქვეშ მყოფი სხვა პირების მიმართ, როგორც ეს მითითებულია ამ ანტიდოპინგური წესების შესავალში (სექცია "ამ ანტიდოპინგური წესების

18.2 საქართველოს თითოეულმა ეროვნულმა ფედერაციამ უნდა მიიღოს და დაიცვას საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური პროგრამის სულისკვეთება და პირობები და ეს ანტიდოპინგური წესები, როგორც პირობა იმისა, რომ მიიღონ ფინანსური ან/და სხვა სახის დახმარება საქართველოს მთავრობისგან ან/და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისგან.

18.3 საქართველოს თითოეულმა ეროვნულმა ფედერაციამ უნდა შეიტანოს ეს ანტიდოპინგური წესები, პირდაპირ ან მითითების სახით, მის მმართველ დოკუმენტაციაში, კონსტიტუციაში და/ან წესები, როგორც სპორტული წესების ნაწილი, რაც ავალდებულებს მათ წევრებს ისე, რომ ეროვნულმა ფედერაციამ შეძლოს აღასრულოს ისინი უშუალოდ სპორტსმენებისა და მისი ანტიდოპინგური უფლებამოსილების ქვეშ მყოფი სხვა პირების მიმართ.

18.4 ამ ანტიდოპინგური წესების მიღებით და მათი ჩართვით მმართველ დოკუმენტაციაში და სპორტის წესებში, ეროვნულმა ფედერაციებმა უნდა ითანამშრომლონ და მხარი დაუჭირონ სადს-ს ამ ფუნქციების შესრულებაში. მათ ასევე უნდა აღიარონ, დაემორჩილონ და შეასრულონ ამ ანტიდოპინგური წესების შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებები, მათ შორის იმ გადაწყვეტილებების ჩათვლით, რომლებიც სანქციებს უყენებენ მათ უფლებამოსილ პირებს.

18.5 საქართველოს ყველა ეროვნულმა ფედერაციამ უნდა მიიღოს სათანადო ზომები კოდექსის, საერთაშორისო სტანდარტებისა და ამ ანტიდოპინგური წესების დაცვის მიზნით, მათ შორის:

- (i) მხოლოდ მათი საერთაშორისო ფედერაციის მიერ დოკუმენტურად დამტკიცებული ტესტირების ჩატარება და სინჯების შეგროვებისთვის, სადს-ის ან დოპინგ ტესტირების უფლების მქონე სხვა ორგანიზაციის გამოყენება, ტესტირებისა და გამოკვლევების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად;
- (ii) სადს-ს უფლებამოსილების ცნობა კოდექსის 5.2.1 მუხლის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში დახმარების გაწევა სადს-სთვის მათ სპორტში ევორნული ტესტირების პროგრამის დანერგვაში.
- (iii) ყველა შეგროვებული სინჯის, WADA-ს მიერ აკრედიტირებული ან WADA-ს მიერ დამტკიცებული ლაბორატორიის მეშვეობით გაანალიზება.
- (iv) დამოუკიდებელი მოსმენის კოლეგიის მიერ ნებისმიერი ეროვნული დონის ანტიდოპინგური წესის დარღვევის შემთხვევის ოპერატიულად განხილვის უზრუნველყოფა, 8.1 მუხლისა და შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

18.6 ყველა ეროვნულმა ფედერაციამ უნდა დაადგინოს წესები, რომლებიც მოითხოვს, რომ ყველა სპორტსმენი, რომელიც ემზადება ან მონაწილეობს სპორტულ ღონისძიებაში ან საქმიანობაში, რომელიც ავტორიზებულია ან ორგანიზებულია ეროვნული ფედერაციის ან მისი რომელიმე წევრი ორგანიზაციის მიერ და

სპორტსმენის ყველა დამხმარე პერსონალი, რომელიც ასეთ სპორტსმენებთან არიან დაკავშირებული, ეთანხმება და ემორჩილება ამ ანტიდოპინგურ წესებს და ანტიდოპინგური ორგანიზაციის შედეგების მართვის ორგანოს კოდექსის შესაბამისად, როგორც მონაწილეობის პირობას.

18.7 ყველა ეროვნულმა ფედერაციამ უნდა აცნობოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც კავშირშია ან უკავშირდება ანტიდოპინგური წესების დარღვევას სადს-ს და მათ საერთაშორისო ფედერაციას, და უნდა ითანამშრომლონ გამოძიებასთან, რომელსაც ჩაატარებს ნებისმიერი ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელსაც აქვს გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება.

18.8 ყველა ეროვნულ ფედერაციას უნდა ჰქონდეს დისციპლინარული წესები, იმისთვის რომ თავიდან აირიდონ სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ აკრძალული ნივთიერებების ან აკრძალული მეთოდების დასაბუთებული მიზეზის გარეშე სპორტსმენზე გამოყება, იმისთვის, რომ დაეხმაროს სპორტსმენს, რომელიც არის სადს-ს ან ეროვნული ფედერაციის უფლებამოსილების ქვეშ.

18.9 ყველა ეროვნულმა ფედერაციამ უნდა ჩაატაროს ანტიდოპინგური განათლება სადს-ს სთან კოორდინაციაში.

მუხლი 19 სადს-ს დამატებითი როლები და მოვალეობები

19.1 კოდექსის 20.5 მუხლში აღწერილი ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციების როლისა და მოვალეობების გარდა, სადს ვალდებულია WADA-ს წარუდგინოს ანგარიში კოდექსთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ, კოდექსის 24.1.2 მუხლის მიხედვით.

19.2 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და კოდექსის 20.5.10 მუხლის მიხედვით, სადს-ს გამგეობის ყველა წევრმა, დირექტორმა, ოფიცერმა, თანამშრომლებმა (და დანიშნული მესამე მხარის წარმომადგენლებმა), რომლებიც მონაწილეობენ დოპინგ-კონტროლის ნებისმიერ ასპექტში, ხელი უნდა მოაწერონ სადს-ს მიერ მოწოდებულ ფორმას, ეთანხმებიან და ვალდებული არიან დაიცვან ანტიდოპინგური წესები, როგორც პირებმა, რომლებიც ექვემდებარებიან კოდექსს პირდაპირი ან განზრახ გადაცდომისათვის.

19.3 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და კოდექსის 20.5.11 მუხლის მიხედვით, სადს-ს ნებისმიერმა თანამშრომელმა, რომელიც მონაწილეობს დოპინგ-

კონტროლში (ანტიდოპინგური საგანმანათლებლო ან სარეაბილიტაციო პროგრამების გარდა) ხელი უნდა მოაწეროს სადს-ს მიერ მოწოდებულ ფორმას, რითაც ადასტურებენ, რომ ისინი არ არიან დროებით დისკვალიფიცირებული, ან არ იხდიან დისკვალიფიკაციის პერიოდს, ან არ ყოფილან უშუალოდ ან განზრახ ჩართული ანტიდოპინგური წესების დარღვევის პროცესში, ბოლო ექვსი (6) წლის განმავლობაში, თუ მათ მიმართ მოქმედებდა კოდექსის შესაბამისი წესები.

მუხლი 20 სპორტსმენების დამატებითი როლები და მოვალეობები

20.1 იცოდეს და შეასრულოს ანტიდოპინგური წესები.

20.2 ტესტირებისათვის იყოს ყოველთვის ხელმისაწვდომი.

20.3 იღებდნენ პასუხისმგებლობას იმაზე, რასაც იღებენ და იყენებენ, ანტიდოპინგური კონტექსტში.

20.4 აცნობონ სამედიცინო პერსონალს თავიანთი ვალდებულების შესახებ, რომ არ გამოიყენონ აკრძალული ნივთიერებები და აკრძალული მეთოდები და იღებენ პასუხისმგებლობას დარწმუნდნენ იმაში, რომ ნებისმიერი მიღებული სამედიცინო მკურნალობა არ არღვევს ანტიდოპინგურ წესებს.

20.5 განუცხადონ სადს-ს და მათ საერთაშორისო ფედერაციას არახელისმომწერი ორგანოს მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ, სადაც დასტურდება, რომ სპორტსმენმა ანტიდოპინგური წესები დაარღვია წინა ათი (10) წლის განმავლობაში.

20.6 ითანამშრომლოს ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებთან, რომლებიც იძიებენ ანტიდოპინგური წესების დარღვევას.

20.7 გაამჟღავნონ თავიანთი დამხმარე პერსონალის ვინაობა სადს-ის ან ეროვნული ფედერაციის ან სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციის მოთხოვნით, რომელსაც უფლებამოსილება აქვს სპორტსმენზე.

მუხლი 21 სპორტსმენის დამხმარე პერსონალის დამატებითი როლები და მოვალეობები

21.1 იცოდეს და შეასრულოს ანტიდოპინგური წესები.

21.2 ითანამშრომლოს სპორტსმენის ტესტირების პროგრამასთან.

21.3 გამოიყენონ თავიანთი გავლენა სპორტსმენის ღირებულებებსა და ქცევაზე, რათა ხელი შეუწყოს ანტიდოპინგურ დამოკიდებულებას.

21.4 განუცხადონ სადს-ს და მათ საერთაშორისო ფედერაციას არა ხელმომწერი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მათ დაარღვიეს ანტიდოპინგური წესები წინა ათი (10) წლის განმავლობაში.

21.5 ითანამშრომლოს ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებთან, რომლებიც იძიებენ ანტიდოპინგური წესების დარღვევას.

21.6 სპორტსმენის დამხმარე პერსონალი არ უნდა იყენებდეს ან ფლობდეს რაიმე აკრძალულ ნივთიერებას ან აკრძალულ მეთოდს სწორი დასაბუთების გარეშე.

მუხლი 22 სხვა პირების დამატებითი როლები და პასუხისმგებლობები ამ ანტიდოპინგური წესების შესაბამისად

22.1 იცოდეს და შეასრულოს ანტიდოპინგური წესები.

22.2 განუცხადონ სადს-ს და მათ საერთაშორისო ფედერაციას არა ხელმომწერი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მათ დაარღვიეს ანტიდოპინგური წესები წინა ათი (10) წლის განმავლობაში.

22.3 ითანამშრომლოს ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებთან, რომლებიც იძიებენ ანტიდოპინგური წესების დარღვევას.

22.4 არ უნდა იყენებდეს ან ფლობდეს რაიმე აკრძალულ ნივთიერებას ან აკრძალულ მეთოდს სწორი დასაბუთების გარეშე.

მუხლი 23 კოდექსის ინტერპრეტაცია

23.1 კოდექსის ოფიციალური ტექსტი უნდა ინახებოდეს WADA-ში, და უნდა გამოქვეყნდეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ინგლისური და ფრანგული ვერსიებს შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვერსიას.

23.2 კოდექსის ინტერპრეტაციისთვის გამოყენებული იქნება კოდექსის სხვადასხვა დებულებების აღმნიშვნელი კომენტარები.

23.3 კოდექსი ინტერპრეტირება უნდა მოხდეს, როგორც დამოუკიდებელი და ავტონომიური ტექსტი და არა ხელმომწერთა ან მთავრობების მოქმედი კანონის ან წესდების მითითებით.

23.4 კოდექსის სხვადასხვა ნაწილების და მუხლების სათაურები მოყვანილია მხოლოდ ხელსაყრელობის მიზნით, და ამიტომ არ უნდა აღიქვებოდნენ როგორც კოდექსის არსის ნაწილი და არ უნდა იქონიონ გავლენა იმ დებულებების ენაზე, რომლებსაც ეკუთვნის ეს სათაურები.

23.5 თუ კოდექსში ან საერთაშორისო სტანდარტში გამოიყენება ტერმინი "დღე", ეს ნიშნავს კალენდარულ დღეებს, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

23.6 კოდექსი არ გამოიყენება რეტროაქტიულად იმ საკითხებზე, რომლებიც არ არის ხელმომწერების მიერ კოდექსის მიღების და მისი წესების დანერგვის დღემდე. ამასთან, კოდექსის ანტიდოპინგური წესების დარღვევები კვლავ ითვლება "პირველ დარღვევებად" ან "მეორე დარღვევებად" მე -10 მუხლით გათვალისწინებული სანქციების განსაზღვრის მიზნით კოდექსის შემდგომი დარღვევებისთვის.

23.7 მიზანი, ხედვა და ორგანიზაცია მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამის, კოდექსი და დანართი 1, განმარტებები და დანართი 2, მე -10 მუხლის გამოყენების მაგალითები, უნდა განიხილოს, როგორც კოდექსის განუყოფელი ნაწილები.

მუხლი 24 დასკვნითი დებულებები

24.1 თუ კოდექსში ან საერთაშორისო სტანდარტში გამოიყენება ტერმინი "დღე", ეს ნიშნავს კალენდარულ დღეებს, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

24.2 ეს ანტიდოპინგური წესები უნდა განიმარტოს, როგორც დამოუკიდებელი და ავტონომიური ტექსტი და არა არსებული კანონის ან წესდების მითითებით.

24.3 ეს ანტიდოპინგური წესები მიღებულია კოდექსისა და საერთაშორისო სტანდარტების მოქმედი დებულებების შესაბამისად და უნდა განიმარტოს ისე, რომ კოდექსისა და საერთაშორისო სტანდარტების მოქმედ დებულებებს შეესაბამებოდეს. კოდექსი და საერთაშორისო სტანდარტები უნდა ჩაითვალოს ანტიდოპინგური წესების განუყოფელ ნაწილად და შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მათ მიენიჭოს.

24.4 შესავალი და დანართი 1 უნდა ჩაითვალოს ანტიდოპინგური წესების განუყოფელ ნაწილებად.

24.5 ამ ანტიდოპინგური წესების სხვადასხვა დებულებების აღმნიშვნელი კომენტარები უნდა იქნეს გამოყენებული ამ ანტიდოპინგური წესების ინტერპრეტაციისთვის.

24.6 ეს ანტიდოპინგური წესები ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან ("ძალაში შესვლის თარიღი"). ისინი გააუქმებენ სადს- ს ანტიდოპინგური წესების ნებისმიერ წინა ვერსიას.

24.7 ანტიდოპინგური წესები არ მოქმედებს უკუქცევით იმ საკითხებზე, რომლებიც ამოქმედებულია ძალაში შესვლის თარიღამდე. ამასთან:

24.7.1 ანტიდოპინგური წესების დარღვევებს, რომლებსაც ადგილი ქონდა ძალაში შესვლის დღემდე, განიხილება როგორც “პირველი დარღვევა” ან “მეორე დარღვევა”, ძალაში შესვლის დღის შემდეგ ჩადენილი დარღვევისათვის მუხლი 10 -ით გათვალისწინებული სანქციების დასადგენად.

24.7.2 ანტიდოპინგური წესების დარღვევის ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, როცა მიმდინარე საქმის მოსმენა გრძელდება ძალაში შესვლის დღეს და ნებისმიერი საქმის განხილვა, რომელიც დაიწყო ძალაში შესვლის დღის შემდეგ, თუ ის აღიძრა ძალაში შესვლის დღემდე დაფიქსირებული ანტიდოპინგური წესის დარღვევის საფუძველზე, უნდა იყოს განხილული იმ ანტიდოპინგური წესების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებდნენ ანტიდოპინგური წესის სავარაუდო დარღვევის დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის მომსმენი კომისია გადაწყვიტავს, რომ მოცემული საქმის ვითარებიდან გამომდინარე უპრიანია “მეტი შემწყნარებლობის” (“lex mitior”) პრინციპის გამოყენება. რეტროსპექტულ პერიოდებში ჩადენილი წინა დარღვევები, რომლებიც შეიძლება განიხილოს, როგორც მრავალჯერადი დარღვევა 10.9.4 მუხლის შესაბამისად, და 16 მუხლით განსაზღვრული შეზღუდვების სტატუსი პროცედურული წესებია, არა არსებითი წესები, და უნდა იქნეს გამოყენებული რეტროაქტიულად, ამ ანტიდოპინგური წესების ყველა სხვა პროცედურულ წესთან ერთად. (ამასთან, იმ პირობით, რომ მე -16 მუხლი გამოყენებული იქნება რეტროაქტიულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვების პერიოდის სტატუსი არ ამოიწურა ძალაში შესვლის დღემდე).

24.7.3 2.4 მუხლის თანახმად, სპორტსმენის დათქმულ ადგილზე არყოფნის (სინჯის აღების შესაბამისი დოკუმენტაციის შეუვსებლობა იქნება თუ გამოტოვებული ტესტი, რადგან ეს ტერმინები განსაზღვრულია შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტში) ყველა შემთხვევა, რომლებსაც ადგილი ქონდათ ძალაში შესვლის დღემდე, უნდა გადაეცეს განსახლიველად, და ვადის გასვლამდე საფუძვლად უნდა დაედოს გამოძიებას ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, მაგრამ ასეთი შემთხვევა უნდა ჩაითვალოს ვადაგასულად მისი დაფიქსირების თარიღიდან 12 თვის გასვლის შემდეგ.

24.7.4 იმ საქმეებში, როცა საბოლოო გადაწყვეტილება ადასტურებს ანტიდოპინგური წესების დარღვევას და ეს გადაწყვეტილება გამოიცა ძალაში შესვლის დღემდე, მაგრამ სპორტსმენი ან სხვა პირი ჯერ კიდევ იხდიან თავისი დისკვალიფიკაციის ვადას ძალაში შესვლის დღეს, სპორტსმენს ან სხვა პირს უფლება აქვთ მიმართონ სადს-ს ან სხვა ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც ქონდა შედეგების მართვის პასუხისმგებლობა ანტიდოპინგური წესის დარღვევაზე, თხოვნით განიხილოს დისკვალიფიკაციის პერიოდის შეკვეცის შესაძლებლობა წინამდებარე ანტიდოპინგური წესების გათვალისწინებით. ასეთი მიმართვა უნდა გაკეთდეს დისკვალიფიკაციის პერიოდის ამოწურვამდე. გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 13.2 მუხლის შესაბამისად. წინამდებარე ანტიდოპინგური წესები არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა საქმის განხილვის საბოლოო გადაწყვეტილებაში დადასტურდა ანტიდოპინგური წესის დარღვევა, ხოლო დისკვალიფიკაციის პერიოდი ამოიწურა.

24.7.5 10.9.1-ე მუხლით გათვალისწინებული მეორე დარღვევისათვის დასაშვებობის ვადის შეფასების მიზნით, როდესაც პირველი დარღვევისათვის სანქცია ძალაში შესული წესების საფუძველზე განისაზღვრა, გამოყენებული უნდა იქნეს დისკვალიფიკაციის პერიოდი, რომელიც ანტიდოპინგური წესების პირველი დარღვევისთვის გამოიყენებოდა.

24.7.6 ცვლილებები აკრძალულ სიასთან და ტექნიკურ დოკუმენტებთან დაკავშირებულ ნივთიერებებთან და მეთოდებთან აკრძალულ სიაში, არ გამოიყენებოდეს რეტროაქტიულად სანამ მათში სხვა რამ არ არის დადგენილი. როგორც გამონაკლისი, როდესაც აკრძალული ნივთიერება ან აკრძალული მეთოდი ამოღებულია აკრძალული სიიდან, სპორტსმენმა ან სხვა პირმა, რომელიც ამჟამად იხდის დაუშვებლობის პერიოდს, ადრე აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამო, შეიძლება მიმართოს სადს-ს ან სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციას, რომელსაც ეკისრებოდა პასუხისმგებლობა შედეგების მართვაზე ანტიდოპინგური წესის დარღვევისას, განიხილოს დაუშვებლობის პერიოდის შემცირება აკრძალული სიიდან ნივთიერების ან მეთოდის ამოღების ფონზე.

დანართი 1 განმარტებები

ადამს (ADAMშ): ანტიდოპინგური ადმინისტრაციის და მართვის სისტემა არის ქსელური მონაცემთა ბაზის მართვის ინსტრუმენტი მონაცემების შეყვანის, შენახვის, გაზიარების და გამოქვეყნების მიზნით, რომელიც შეიქმნა ყველა დაინტერესებული პირის და მადს-ის დასახმარებლად მათ მიერ განხორციელებულ ანტიდოპინგურ ოპერაციებში მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან ერთად.

მიღება (ადმინისტრაციონ): აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის მიწოდება, მიცემა, მათი მოხმარების პროცესის თვალთვალი, მოხმარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, ან სხვა რაიმე სახით მონაწილეობა აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის მოხმარებაში ან მოხმარების მცდელობაში. ამასთან ეს განმარტება არ გულისხმობს სამედიცინო პერსონალის მიერ აკრძალული ნივთიერებების ან აკრძალული მეთოდის უანგარო (ზონა ფიდუ) გამოყენებას ჭეშმარიტი და ლეგალური სამედიცინო მიზნებისათვის, ან სხვა რაიმე მისაღებ გამართლებას, და აგრეთვე არ ეხება ისეთ ქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია ისეთი აკრძალული ნივთიერებების მოხმარებასთან, რომელთა მიღება არ არის აკრძალული არასაშეჯიბრო პერიოდში ტესტირებისას, გარდა გარემოებებისა, რომლებიც მთლიანობაში ნათელს ხდიან, რომ ასეთი აკრძალული ნივთიერებები არ გამოიყენება ჭეშმარიტი სამედიცინო მიზნით ან მათი გამოყენება ხდება სპორტსმენის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.

სპორტსმენისათვის არასასურველი ანალიტიკური მონაცემები: აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტების ან მარკერების (მათ შორის ენდოგენური ნივთიერებების მომატებული დონის) არსებობის ან აკრძალული მეთოდის გამოყენების სამხილის შესახებ წარდგენილი ანგარიში მადს-ის მიერ მოწონებული ლაბორატორიიდან, რომელიც პასუხობს ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტის და თანმხლები დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

არასასურველი საპასპორტო მონაცემები: შეტყობინება, რომელიც კვალიფიცირდება როგორც არასასურველი საპასპორტო მონაცემები შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებში მოყვანილი აღწერის თანახმად.

ანტიდოპინგური ორგანიზაცია: ხელისმომწერი ორგანიზაცია, რომელიც იღებს ვალდებულებას, დაიწყოს, შეასრულოს ან იძულებითი გზის უზრუნველყოს დოპინგ კონტროლის ნებისმიერი პროცესი. ასეთი ორგანიზაციებია მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტი, სხვა მთავარი

ღონისძიებების ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი ღონისძიებების დროს ატარებენ სპორტსმენების ტესტირებას, მადს, საერთაშორისო ფედერაციები და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციები.

სპორტსმენი: ნებისმიერი პირი, რომელიც მონაწილეობს შეჯიბრში საერთაშორისო დონეზე (როგორც ამას განსაზღვრავს თითოეული საერთაშორისო ფედერაცია), ან ეროვნულ დონეზე (როგორც ამას განსაზღვრავს თითოეული ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია). ანტიდოპინგურ ორგანიზაციას თავისი სურვილისამებრ უფლება აქვს გამოიყენოს ნებისმიერი ანტიდოპინგური წესი სპორტსმენის მიმართ, რომელიც არ არის არც საერთაშორისო და არც ეროვნული დონის სპორტსმენი, და ამგვარად მოაქციოს ასეთი პირები “სპორტსმენების” კატეგორიაში. იმ შემთხვევაში, როცა სპორტსმენი არც საერთაშორისო და არც ეროვნული დონის სპორტსმენი არ არის, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეიძლება არჩიოს: ჩაატაროს შეზღუდული ტესტირება ან არ ჩაატაროს არანაირი ტესტირება; სინჯების ანალიზის დროს გამოიყენოს აკრძალული ნივთიერებების არასრული მენიუ; მოითხოვოს შეზღუდული ინფორმაცია სპორტსმენის ადგილსამყოფელზე, ან სულ არ მოითხოვოს არაფერი; არ მოსთხოვოს სპორტსმენს წინასწარ წარადგინოს სგნ. მიუხედავად ამისა, თუ ანტიდოპინგური ორგანიზაციის დაქვემდებარებაში მყოფი სპორტსმენი, რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო ან ეროვნულ დონეზე უფრო დაბალ შეჯიბრში, დაუშვებს 2.1, 2.3 ან 2.5 მუხლებით გათვალისწინებული ანტიდოპინგური წესების დარღვევას, მის მიმართ უნდა გამოიყენოს 2.8 და 2.9 მუხლებით გათვალისწინებული სანქციები (გარდა 14.3.2 მუხლით გათვალისწინებული სანქციებისა). 2.8 და 2.9 მუხლების და ანტიდოპინგური ინფორმაციის და განათლების კონტექსტში, ნებისმიერი პირი, რომელიც მონაწილეობს ხელმომწერი ორგანოს, მთავრობის ან კოდექსის მცნობი სხვა სპორტული ორგანიზაციის იურისდიქციაში შესულ სპორტულ ღონისძიებაში, განისაზღვრება როგორც “სპორტსმენი”.

[კომენტარი: ეს განმარტება ცალსახად ადასტურებს, რომ ყველა საერთაშორისო და ეროვნული დონის სპორტსმენი ექვემდებარება კოდექსის ანტიდოპინგურ წესებს, და მოითხოვს, რომ საერთაშორისო ფედერაციებმა და ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა თავის ანტიდოპინგურ წესებში ჩართონ შესაბამისად საერთაშორისო და ეროვნული დონის სპორტის მკაფიო და ზუსტი განმარტება. ეს განმარტება აგრეთვე უფლებას აძლევს თითოეულ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას თავისი სურვილისამებრ გააფართოვოს თავისი ანტიდოპინგური პროგრამა საერთაშორისო და ეროვნული სპორტსმენების ჩარჩოების მიღმა, და გაავრცელოს თავისი ანტიდოპინგური პროგრამის მოქმედება შეჯიბრების უფრო დაბალი დონის სპორტსმენებზეც ან იმ პირებზე, რომლებიც მოღვაწეობენ ფიტნესის საქმიანობაში, მაგრამ არ იღებენ მობნაწილეობას არანაირ შეჯიბრში. მაგალითისთვის, ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეიძლება გადაწყვიტოს შეამოწმოს რეკრეაციული დონის მეტოქეები, მაგრამ არ მოსთხოვოს მათ წინასწარ წარადგინონ სგნ. მაგრამ ანტიდოპინგური

წესის დარღვევას, რომელიც ეხება არასასურველ ანალიტიკურ შედეგებს ან შედეგების ფალსიფიკაციას, მოსდევს კოდექსის მიერ გათვალისწინებული სანქციების დაკისრება (გარდა 14.3.2 მუხლში გაწერილი სანქციებისა). იმის გადაწყვეტილება, თუ რამდენად უნდა შეეხოს ანტიდოპინგური წესების დარღვევისათვის გაწერილი სანქციები რეკრეაციული დონის სპორტსმენებს, რომლებიც მოღვაწეობენ ფიტნეს საქმიანობაში, მაგრამ არასოდეს არ მონაწილეობენ შეჯიბრებებში, ეროვნული დონის ანტიდოპინგური ორგანიზაციის პრეროგატივაა. ზუსტად ასევე ღონისძიების ორგანიზატორს, რომელიც ამ ღონისძიებას ატარებს მხოლოდ სპორტის ოსტატის დონის მეტოქეებისათვის, შეუძლია გადაწყვიტოს მონაწილეების ტესტირება, მაგრამ მათი სინჯების ანალიზი არ მოხდება აკრძალული ნივთიერებების გამოვლენის სრული მენიუს მიხედვით. მეტოქეებმა უნდა მიიღონ ანტიდოპინგური ინფორმაცია და განათლება შეჯიბრის ყველა დონეზე].

სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტი: ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტით და ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტით გაწერილი მონაცემების შეკრების და შეჯერების პროგრამა და მეთოდები.

მცდელობა: შეგნებული საქციელი, რომელიც თავის პროცესში წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ამ საქციელის დამაგვირგვინებელი ანტიდოპინგური წესის დარღვევის მიმართულებით. მაგრამ ანტიდოპინგური წესის დარღვევის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ მცდელობის საფუძველზე არ შეიძლება, თუ სპორტსმენი უარს იტყვის მცდელობაზე, ვიდრე ამას გაიგებს მესამე მხარე, რომელიც არ არის ჩარეული მცდელობაში.

სპორტსმენის მომსახურე პერსონალი: ნებისმიერ მწვრთნელი, პერსონალური მწვრთნელი, გუნდის თანამშრომელი, ოფიციალური პირი, სამედიცინო პერსონალი, პარამედიკოსი, პერსონალი, მშობელი ან სხვა პირი, რომელიც მუშაობს შეჯიბრში მონაწილე ან შეჯიბრებისათვის მომზადების ეტაპზე მყოფ სპორტსმენთან, მკურნალობს ან ეხმარება მას.

ატიპური შედეგი: მადს-ის მიერ აკრედიტირებული ლაბორატორიის ან სხვა მადს-ის მიერ მოწონებული ლაბორატორიის დასკვნა, რომელიც საჭიროებს შემდგომ გამოძიებას ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ან შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტები, არასასასურველი ანალიტიკური შედეგის დადასტურებამდე.

ატიპიური საპასპორტო მონაცემები: ანგარიში, რომელიც შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით აღწერილია როგორც ატიპიური საპასპორტო მონაცემები.

სსს: სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო.

კოდექსი: მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი

შეჯიბრი: პიროვნული შეჯიბრი რბენაში, მატჩი, თამაში ან სპორტის პიროვნული შეჯიბრებები. მაგალითად კალათბურთის მატჩი ან საფინალო ოლიმპიური შეჯიბრი 100 მეტრზე სირბილში მძლეოსნობაში. მრავალეტაპიანი რბოლისათვის ან სხვა სპორტული შეჯიბრებისათვის, სადაც პრიზები გაიცემა ყოველდღიურად ან შუალედურ ეტაპებზე. განსხვავება შეჯიბრების და ღონისძიების ტერმინებს შორის განისაზღვრება შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის წესების განმარტებით.

ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები (“შედეგები”): სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს: (ა) დისკვალიფიკაცია, რაც ნიშნავს, რომ სპორტსმენის ან სხვა პირის შედეგები მოცემულ შეჯიბრში ან ღონისძიებაში უქმდება, ხოლო დანაშაულის შედეგად მიღებული სანქციები გულისხმობენ ყველა მედლის, ქულის და პრიზის ჩამორთმევას; (ბ) არაუფლებამოსილება: ნიშნავს, რომ სპორტსმენს ან სხვა პირს გარკვეული დროის პერიოდში ეკრძალება ნებისმიერ შეჯიბრში ან 10.12.1 მუხლით გაწერილ სხვა საქმიანობაში მონაწილეობა ან დაფინანსების მიღება; (გ) დროებითი შეჩერება: ნიშნავს, რომ სპორტსმენს ან სხვა პირს დროებით ეკრძალება ყველანაირ შეჯიბრში და საქმიანობაში მონაწილეობა 8 მუხლის შესაბამისად ჩატარებული საქმის მოსმენის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ; (დ) ფინანსური შედეგები: ნიშნავს ფინანსურ სანქციას, რომელიც ინიშნება ანტიდოპინგური წესების დარღვევისათვის ან ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას ; და (ე) ინფორმაციის გასაჯაროება ან საჯაროდ გამოცხადება: ნიშნავს ინფორმაციის გავრცელებას ან განაწილებას საზოგადოებაში ან იმ პირებს შორის, ვისაც უფლება აქვთ ადრე მიიღონ შეტყობინება მუხლი 14 შესაბამისად. კოდექსის მუხლი 11 შესაბამისად სანქციები შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე გუნდებზე სპორტის გუნდური სახეობების შემთხვევაში.

დაბინძურებული პროდუქტი: არის პროდუქტი, რომელიც შეიცავს აკრძალულ ნივთიერებას, რომელიც არ არის დატანილი ამ პროდუქტის ეტიკეტზე ან არ არის ნახსენები ინტერნეტში მოძიებულ ხელმისაწვდომ ინფორმაციაში.

დისკვალიფიკაცია: იხილე ზევით მოყვანილი ანტიდოპინგური წესების დარღვევების შედეგები.

დოპინგ კონტროლი: ყველა ეტაპი და პროცესი დაწყებული ტესტირების განაწილების დაგეგმვიდან ნებისმიერი საჩივართან დაკავშირებული საბოლოო დადგენილებით დამთავრებული, ყველა შუალედური ეტაპის და პროცესის ჩათვლით, როგორცაა ადგილსამყოფელზე ინფორმაციის მიწოდება, სინჯების აღება და გაფორმება, ლაბორატორული ანალიზი, სგნ, შედეგების მართვა და საქმის მოსმენები.

ლონისძიება: ინდივიდუალური შეჯიბრებების სერია, რომელიც ტარდება ერთი მმართველი ორგანოს მიერ (მაგ. ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო ჩემპიონატი წყლის სპორტის სახეობებში, ან პანამერიკული თამაშები).

ლონისძიების ჩატარების ადგილები: ლონისძიების ჩატარების ადგილები, რომლებსაც განსაზღვრავს ლონისძიების მმართველი ორგანო.

ლონისძიების პერიოდი: დროის მონაკვეთი ლონისძიების დაწყებიდან მის დამთავრებამდე, რომელსაც განსაზღვრავს ლონისძიების მმართველი ორგანო.

ბრალი: ბრალი ნიშნავს ნებისმიერი მოვალეობის უგულველყოფას ან გარკვეული სიტუაციის მიმართ არასათანადო ყურადღებით მოქცევას. სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალის სიმძიმის შეფასებისას ყურადსაღებია შემდეგი ფაქტორები: მაგალითად, სპორტსმენის ან სხვა პირის გამოცდილება; არის თუ არა სპორტსმენი ან სხვა პირი არასრულწლოვანი; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალურ გარემოებებს როგორცაა დაზიანება, ზარალი, რისკი, რომელიც უნდა ესმოდეს სპორტსმენს, და რამდენად ენაღვლება სპორტსმენს თავისი საქციელის შედეგები და რამდენად კარგად შეისწავლა საკითხი, რომელიც ეხება რისკის დონეს. სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალის შეფასებისას ყურადსაღები გარემოებები უნდა იყოს სპეციფიური და რელევანტური სპორტსმენის ან სხვა პირის ქცევის მოსალოდნელი

სტანდარტიდან გადახვევის მიზეზების ასახსნელად. ასე მაგალითად, ის, რომ სპორტსმენი დაკარგავს შესაძლებლობას იშოვოს დიდი თანხები არაუფლებამოსილების პერიოდში, ან ის, რომ სპორტსმენის კარიერის დასრულებამდე ცოტა დრო დარჩა, ან სპორტული კალენდარის განრიგი, არ შეიძლება ჩაითვალოს რელევანტურ ფაქტორებად, რომლებიც შეიძლება იყოს გათვალისწინებული 10.5.1 ან 10.5.2 მუხლებით გაწერილი არაუფლებამოსილების პერიოდის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

კომენტარი: სპორტსმენის ბრალის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები ერთნაირია ყველა იმ მუხლის შესაბამისად, რომლებიც განიხილავენ ბრალეულობის საკითხს. მიუხედავად ამისა, 10.5.2 მუხლის თანახმად, სანქციის შემცირება არ არის მართებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბრალის შეფასების შემდეგ დაიდება დასკვნა, რომელიც დაადასტურებს, რომ სპორტსმენს ან სხვა პირს არ მიუძვით მნიშვნელოვანი ბრალი ან არ გამოუჩენიათ წესების მნიშვნელოვანი უგულვეყოფა].

ფინანსური შედეგები: იხ, ზევით მოყვანილი ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები.

საშეჯიბრო პერიოდი: თუ საერთაშორისო ფედერაციის ან მოცემული ღონისძიების მმართველი ორგანოს წესებით სხვა გვარად არ არის განმარტებული, „საშეჯიბრო პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება შეჯიბრამდე 12 საათით ადრე, რომელშიც მიონაწილეობს სპორტსმენი, და სრულდება ასეთი შეჯიბრისა და მასთან დაკავშირებული სინჯების აღების პროცესით.

[კომენტარი: საერთაშორისო ფედერაციას ან ღონისძიების მმართველ ორგანოს შეუძლიათ განსაზღვრონ „საშეჯიბრო პერიოდი“ უშუალოდ ღონისძიების ჩატარების პერიოდისაგან განსხვავებულად].

დამოუკიდებელი დამკვირვებლის პროგრამა: მადს-ის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი დამკვირვებელთა ჯგუფი, რომელიც აკვირდება და ხელმძღვანელობს დოპინგ კონტროლის პროცესს მოცემულ ღონისძიებაში, და აქვეყნებს ამ დაკვირვების ანგარიშს.

სპორტის ინდივიდუალური სახეობა: სპორტის ნებისმიერი სახეობა, რომელიც არ არის გუნდური.

არაუფლებამოსილება: იხ. ანტიდოპინგური წესების დარღვევების შედეგები.

საერთაშორისო ღონისძიება: ღონისძიება ან შეჯიბრი, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ფედერაცია, ღონისძიების მთავარი ორგანიზაცია ან სხვა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია წარმოადგენს ღონისძიების მმართველ ორგანოს ან ნიშნავს ოფიციალურ ტექნიკურ პირებს ამ ღონისძიებისათვის.

საერთაშორისო დონის სპორტსმენები: სპორტსმენები, რომლებიც იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო დონის სპორტულ შეჯიბრებებში, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო ფედერაციის მიერ ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

[კომენტარი: ტესტირებისა და გამოძიების სტანდარტის შესაბამისად, საერთაშორისო ფედერაციას შეუძლია განსაზღვროს კრიტერიუმები, სპორტსმენებისათვის საერთაშორისო დონის სპორტსმენის კატეგორიის მისანიჭებლად, მაგ. სპორტსმენების რანჟირებით, სპეციფიურ ღონისძიებებში განსაკუთრებით საერთაშორისო დონის ღონისძიებებში მონაწილეობით, ლიცენზიის ტიპით, და ა.შ. ამასთან, საერთაშორისო ფედერაციამ უნდა გამოაქვეყნოს ეს კრიტერიუმები მკაფიო და ნათელი ფორმულირებით, რომ სპორტსმენებს შეეძლოდ სწრაფად და იოლად დაადგინონ, რა შემთხვევაში ენიჭებათ მათ საერთაშორისო დონის სპორტსმენის კატეგორია. მაგალითად, თუ კრიტერიუმები გულისხმობენ გარკვეულ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობას, მაშინ საერთაშორისო ფედერაციამ უნდა გამოაქვეყნოს ასეთი საერთაშორისო ღონისძიებების სია].

საერთაშორისო სტანდარტი: კოდექსის მხარდასაჭერად მადს-ის მიერ მიღებულმა სტანდარტმა (განსხვავებით სხვა ალტერნატიული სტანდარტის, პრაქტიკის ან პროცედურისაგან) შესაძლებელი უნდა გახადოს დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული პროცედურები სწორედ იყო შესრულებული. საერთაშორისო სტანდარტები უნდა შეიცავდენ ნებისმიერ ტექნიკურ დოკუმენტს, რომელიც გამოიცა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ღონისძიების მთავარი ორგანიზაცია: ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების და სხვა საერთაშორისო მულტი-სპორტული ორგანიზაციების ევროპული ასოციაციები, რომლებიც ფუნქციონირებენ, როგორც ნებისმიერი ევროპული, რეგიონალური ან საერთაშორისო ღონისძიების მმართველი ორგანო.

მარკერი: ნაერთი, ნაერთთა ჯგუფი ან ბიოლოგიური ცვლადი(ები), რომლებიც მიაწოდებენ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენებაზე.

მეტაბოლიტი: ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნა ბიოტრანსფორმაციის პროცესის შედეგად.

არასრულწლოვანი: პირი, რომელსაც ჯერ არ მიუღწევს თვრამეტი წლის ასაკს.

ეროვნული ანტიდოპინგური ორგანოზაცია: ორგანო(ები), რომელიც ინიშნება თითოეულ ქვეყანაში, როგორც ორგანო, რომელსაც გააჩნია მთავარი ძალაუფლება და პასუხისმგებლობა მიიღოს და განახორციელოს ანტიდოპინგური წესები, უხელმძღვანელოს სინჯების აღებას, ტესტის შედეგების მართვას, და ჩაატაროს საქმის მოსმენები ეროვნულ დონეზე. თუ ასეთი დანიშვნა არ ხდება კომპეტენტური საჯარო ხელისუფლების(ების) მიერ ასეთ ორგანოდ უნდა ჩაითვალოს ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ან მის მიერ დასახელებული ორგანო.

ეროვნული ღონისძიება: სპორტული ღონისძიება ან შეჯიბრი, რომელშიც მონაწილეობენ საერთაშორისო ან ეროვნული დონის სპორტსმენები, მაგრამ თვითონ ღონისძიება არ არის საერთაშორისო კატეგორიის.

ეროვნული ფედერაცია: ეროვნული ან რეგიონალური ორგანო, რომელიც არის საერთაშორისო ფედერაციის წევრი ან რომელსაც საერთაშორისო ფედერაცია სცნობს, როგორც ორგანოს, რომელიც ხელმძღვანელობს საერთაშორისო ფედერაციის მიერ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებას მოცემულ ქვეყანაში ან რეგიონში.

ეროვნული დონის სპორტსმენი: სპორტსმენები, რომლებიც ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოქმედი ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის განსაზღვრებით, მონაწილეობენ ეროვნული დონის სპორტულ შეჯიბრებში. საქართველოში ეროვნული დონის სპორტსმენების კატეგორია განისაზღვრება 1.4 მუხლის შესაბამისად.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი: ორგანიზაცია, რომელსაც სცნობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. ტერმინი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აგრეთვე გულისხმობს ეროვნულ სპორტულ კონფედერაციას იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნული სპორტული კონფედერაცია, იღებს თავის თავზე ტიპური ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მოვალეობებს ანტიდოპინგური პოლიტიკის სფეროში.

ბრალის ან დაუდევრობის არარსებობა: სპორტსმენი ან სხვა პირი, რომელიც დაამტკიცებს, რომ მან არ იცოდა, არც რაიმე ეჭვი ქონდა, და რაგინდ ფრთხილად არ უნდა მოქცეულიყო ვერც შეეძლო, რომ სცოდნოდა ან ეჭვი აეღო, რომ მან გამოიყენა ან მიიღო აკრძალული ნივთიერება ან აკრძალული მეთოდი, ან სხვა რაიმე გზით დაარღვია ანტიდოპინგური წესი. გარდა შემთხვევებისა, როცა სპორტსმენი არასრულწლოვანია, 2.1 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი დარღვევისას, სპორტსმენმა უნდა აგრეთვე დაადგინოს რანაირად მოხდა აკრძალული ნივთიერება მის ორგანიზმში.

მნიშვნელოვანი ბრალის ან დაუდევრობის არარსებობა: სპორტსმენი ან სხვა პირი, რომელიც დაამტკიცებს, რომ მისი ბრალი ან დაუდევრობა ყველა გარემოებების მთლიანობაში განხილვით და ბრალის ან დაუდევრობის არ არსებობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, არ არის მნიშვნელოვანი ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან მიმართებაში. გარდა შემთხვევებისა, როცა სპორტსმენი არასრულწლოვანია, 2.1 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი დარღვევისას, სპორტსმენმა უნდა აგრეთვე დაადგინოს რანაირად მოხდა აკრძალული ნივთიერება მის ორგანიზმში.

[კომენტარი: კანაბიოიდების (კანაბინოლის ჯგუფის ნივთიერებები) შემთხვევაში, სპორტსმენს შეუძლია დაამტკიცოს მნიშვნელოვანი ბრალის ან დაუდევრობის არარსებობა, თუ იგი ცალსახად დაასაბუთებს, რომ ასეთი გამოყენების არსი არ იყო დაკავშირებული მის სპორტულ შედეგებთან].

არასაშეჯიბრო პერიოდი: ნებისმიერი პერიოდი, რომელიც არ არის საშეჯიბრო პერიოდი.

მონაწილე: ნებისმიერი სპორტსმენი ან სპორტსმენის დამხმარე პირი.

პირი: ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია ან ორგანო.

მფლობელობა: ფაქტიური ფიზიკური მფლობელობა ან კონსტრუქციული მფლობელობა (მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა პიროვნება სრულად აკონტროლებს ან განზრახული აქვს გააკონტროლოს აკრძალული ნივთიერება ან აკრძალული მეთოდი, ან ადგილი, სადაც არსებობს აკრძალული ნივთიერება ან აკრძალული მეთოდი); მაგრამ, თუ პიროვნება სრულად ვერ აკონტროლებს აკრძალულ ნივთიერებას ან აკრძალულ მეთოდს, ან ადგილს სადაც არსებობს აკრძალული ნივთიერება ან აკრძალული მეთოდი, კონსტრუქციული მფლობელობის კვალიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პიროვნებამ იცოდა აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ყოფნის შესახებ და განზრახული ჰქონდა მისი გაკონტროლება. მაგრამ მხოლოდ მფლობელობის საფუძველზე ანტიდოპინგური წესის დარღვევის ფაქტის დადასტურებულად ცნობა არ შეიძლება, თუ ანტიდოპინგური წესის დარღვევის შესახებ ნებისმიერი სახის შეტყობინების მიღებამდე პიროვნება განახორციელებს გარკვეულ ქმედებებს, რომლებიც ნათლად მეტყველებენ, რომ ამ პიროვნებას არასოდეს ჰქონდა განზრახული აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის მფლობელობა, და რომ ანტიდოპინგური ორგანიზაციისათვის მისი დეკლარირებით მან ფაქტიურად უარყო მფლობელობის ფაქტი. მიუხედავად ყველაფრისა, რაც ეწინააღმდეგება ამ განმარტებას, აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის შეძენა (ელექტრონულად ან სხვა გზით) კვალიფიცირდება როგორც მფლობელობა იმ პირის მიმართ, ვინც შეიძინა აკრძალული ნივთიერება ან აკრძალული მეთოდი.

[კომენტარი: ამ განმარტების შესაბამისად, სპორტსმენის მანქანაში აღმოჩენილი სტეროიდები ითვლება დარღვევად, თუ სპორტსმენი არ დაამტკიცებს, რომ მანქანით ვიღაც სხვა პირმა ისარგებლა; ასეთ შემთხვევაში ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაადგინოს, იცოდა თუ არა სპორტსმენმა სტეროიდების შესახებ და ჰქონდა თუ არა მას განზრახული მათი გამოყენება, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ რაღაც პერიოდში სპორტსმენს არ ჰქონდა მანქანის სრული გაკონტროლების საშუალება. ანალოგიურად, იმ შემთხვევებში, როცა სტეროიდებს აღმოაჩენენ სახლში სამედიცინო კარადაში, რომელითაც ერთობლივად სარგებლობენ სპორტსმენი და მისი მეუღლე, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაადგინოს, რომ სპორტსმენმა იცოდა, რომ სტეროიდები ინახებოდა სამედიცინო კარადაში, და რომ სპორტსმენს განზრახული

ქონდა სტეროიდების გამოყენება. ცალკე აღებული აკრძალული ნივთიერების შეძენის ფაქტი განიხილება როგორც მფლობელობა, მაშინაც, როცა მაგალითად, შეძენილი პროდუქტი ჯერ არ არის სახლში მოტანილი, ან შენაძენი მიიღო მესამე პირმა, ან თუ ეს შენაძენი გაიგზავნა მესამე პირის მისამართზე].

აკრძალულების ჩამონათვალი: სია, რომელშიც ჩამოთვლილია აკრძალული ნივთიერებები და აკრძალული მეთოდები

აკრძალური მეთოდები: ნებისმიერი მეთოდი, რომელიც აღწერილია აკრძალულების ჩამონათვალში

აკრძალური ნივთიერებები: ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთიერებათა კლასი, რომელიც აღწერილია აკრძალულების ჩამონათვალში.

წინასწარი მოსმენა: 7.9 მუხლის შესაბამისად, დაჩქარებული შემოკლებული წერსით საქმის განხილვა, რომელიც წინ უძღვის 8 მუხლით გათვალისწინებულ განხილვას, სადაც სპორტსმენი იღებს შეტყობინებას და მას ეძლევა საშუალება წერილობითი ან ზეპირი ფორმით გამოთქვას თავისი მოსაზრებები.

[კომენტარი: წინასწარი მოსმენა მხოლოდ წინასწარი განხილვაა, სადაც შეიძლება არც იყოს განხილული საქმის ყველა ფაქტი. წინასწარი განხილვის შემდეგ, სპორტსმენს რჩება უფლება შემდგომი საქმის არსობრივი სრულმშტაბიანი განხილვისა. ამ განმარტების საწინააღმდეგოდ 7.9 მუხლში გამოყენებული “დაჩქარებული მოსმენის” ტერმინი ფაქტობრივად შეესაბამება საქმის სრულმშტაბიან მოსმენას, რომელიც ტარდება დაჩქარებული გრაფიკით].

დროებითი შეჩერება: იხ. ზევითმოყვანილი ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები.

რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაცია: რეგიონალური ორგანო, რომელსაც ნიშნავენ წევრი ქვეყნები თავისი ანტიდოპინგური პროგრამების კოორდინაციის და დელეგირებული სეგმენტების მართვის მიზნით, რაც შეიძლება იყოს ანტიდოპინგური წესების მიღება და განხორციელება, სინჯების აღების დაგეგმვა და შეგროვება, შედეგების მართვა, სგნ

შემთხვევების განხილვა, საქმის მოსმენების ჩატარება და საგნმანათლებლო პროგრამების განხორციელება რეგიონალურ დონეზე.

ტესტირების რეგისტრირებული სია (პული): უმაღლესი პრიორიტეტის მქონე სპორტსმენების პული, რომელიც საერთაშორისო დონეზე ცალკე გამოარჩია საერთაშორისო ფედერაციებმა, ხოლო ეროვნულ დონეზე – ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა. ამ პულში შემავალი სპორტსმენები უნდა იყვნენ საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირების ყურადღების ცენტრში როგორც საერთაშორისო ფედერაციების და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციების ტესტირების გავრცელების გეგმის ნაწილი, რის გამოც მათ მოეთხოვებათ თავისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მოწოდება კოდექსის და ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის მუხლი 5.6 შესაბამისად.

სინჯი ან ნიმუში: დოპინგ კონტროლის განხორციელების მიზნით აღებული ნებისმიერი ბიოლოგიური მასალა.

[კომენტარი: ზოგჯერ გამოითქმის მოსაზრება, რომ სისხლის ნიმუშების აღება არღვევს გარკვეული რელიგიური და კულტურული ჯგუფების რწმენას. დადგინდა, რომ ასეთი რამ უსაფუძვლოა].

ხელისმომწერნი: ორგანოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს კოდექს და ემორჩილებიან მის მოთხოვნებს კოდექსის 23 მუხლის შესაბამისად.

განსაზღვრული (მითითებული) ნივთიერებები: იხ. 4.2.2 მუხლი.

მკაცრი ვალდებულება: წესი, რომლის მიხედვითაც, 2.1 და 2.2 მუხლებით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, ანტიდოპინგური ორგანიზაციისათვის ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტის დასადასტურებლად არ არის საჭირო დაამტკიცოს სპორტსმენის განზრახვა, ბრალი, დაუდევრობა ან შეგნებული გამოყენება.

მნიშვნელოვანი დახმარება: 10.6.1 მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საქმის გამომძიებელ ორგანოს უნდა (1) წერილობით განცხადებაში მოიყვანოს მის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ, და (2) სრულად ითანამშრომლოს გამოძიებასთან და ამ ინფორმაციასთან

დაკავშირებულ საქმის მომსმენ ორგანოსთან, მათ შორის, მაგალითად, საქმის მოსმენის დროს მოწმის სახით ჩვენების მიცემა, თუ ამას ითხოვს ანტიდოპინგური ორგანიზაცია ან საქმის მომსმენი კომისია. მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს სარწმუნო და უნდა ეხებოდეს აღძრული საქმის მთავარ ნაწილს, ან თუ საქმე აღძრული არ არის, ეს ინფორმაცია უნდა იძლეოდეს საქმის აღძვრის საკმარის საფუძველს.

ფალსიფიცირება: შედეგების შეცვლა დანაშაულებრივი მიზნით ან დანაშაულებრივი გზით; ჩვენებების მიცემის ბოროტად გამოყენება; დანაშაულებრივი ჩარევა; ხელის შეშლა, შეცდომაში შეყვანა ან სხვა რაიმე თაღლითური ქმედების ჩადენა შედეგების შეცვლის ან ნორმალური პროცედურების ხელის შეშლის მიზნით.

მიზნობრივი ტესტირება: გარკვეული სპორტსმენების შერჩევა ტესტირებისათვის ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ კრიტერიუმების საფუძველზე.

გუნდური სპორტი: სპორტის სახეობა, სადაც სპორტსმენების შეცვლა შეჯიბრის პერიოდში ნებადართულია.

ტესტირება: დოპინგ კონტროლის ნაწილი, რომელიც შეიცავს ტესტირების გავრცელების დაგეგმვას, სინჯების აღებას, სინჯების გაფორმებას და სინჯების ლაბორატორიაში ტრანსპორტირებას.

ტრეფიკინგი: ანტიდოპინგური ორგანიზაციის იურისდიქციაში მყოფი სპორტსმენის ან სპორტსმენის დამხმარე პირის, ან სხვა პირის მიერ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გაყიდვა, მიცემა ტრანსპორტირება, გაგზავნა, მიტანა (ფიზიკურად ან ელექტრონულად ან რაიმე სხვა გზით) ნებისმიერი მესამე მხარისათვის; ამასთან ეს განსაზღვრება არ ეხება “უანგარო” სამედიცინო პერსონალს, როცა აკრძალული ნივთიერება გამოიყენება ჭეშმარიტი და ლეგალური სამკურნალო ან სხვა რაიმე მისაღები და კარგად დასაბუთებული მიზნით, და აგრეთვე არ ეხება ქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია იმ აკრძალურ ნივთიერებებთან, რომლებიც არ არიან აკრძალული არასაშეჯიბრო ტესტირების პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებული გარემოებები მთლიანობაში მეტყველებენ იმაზე, რომ ასეთი აკრძალული ნივთიერების გამოყენება არ არის განკუთვნილი

ქეშმარიტი და ლეგალური გამოყენებისათვის, ან მათი გამოყენება მიზნად ისახავს სპორტსმენის შედეგების გაზრდას.

სგნ სმკურნალო გამოყენების ნებართვა, იხ. მუხლი 4.4.

იუნესკოს კონვენცია: საერთაშორისო კონვენცია სპორტში დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ, რომელიც იყო მიღებული იუნესკოს ოცდამეცამეტე გენერალური კონფერენციის მიერ 2005 წლის 19 ოქტომბერს, რომელიც მოიცავს ნებისმიერ და ყველა ცვლილებას კონვენციასთან მიმართებით მონაწილე მხარეებისგან და ასევე კონფერენციის მხარეებისგან სპორტში დოპინგის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციასთან მიმართებით.

გამოყენება: ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება, აპლიკაცია, პერორალურად ან ინექციის სახით მიღება, ან სხვა რაიმე გზით მოხმარება.

მადს: მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო.

[კომენტარი: განსაზღვრული ტერმინები უნდა მოიცავდენ თავის მრავლობით და კუთვნილებით ფორმებს, და აგრეთვე მეტყველების სხვა ფორმებს, რომლებიც ეკუთვნის ამ ტერმინებს].

დანართი 2.10 მუხლის გამოყენების მაგალითები

მაგალითი 1.

ფაქტები: საშეჯიბრო პერიოდში ჩატარებული ტესტირებისას მიღებულია არასასურველი ანალიტიკური შედეგები სინჯში ანაბოლიკური სტეროიდის აღმოჩენის შედეგად (მუხლი 2.10); სპორტსმენი მყისიერად აღიარებს ანტიდოპინგური წესის დარღვევას; სპორტსმენი ამტკიცებს მნიშვნელოვანი ბრალის ან დაუდევრობის არარსებობას; და სპორტსმენი უზრუნველყოფს მნიშვნელოვან დახმარებას.

100

საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტო (სადს)

ანტიდოპინგური წესები 2021

სანქციების დაკისრება

1. ათვლის წერტილია მუხლი 10.2. რადგან ითვლება, რომ სპორტსმენს მიესედაგება მნიშვნელოვანი ბრალის ან დაუდევრობის არარსებობის მუხლი, ეს იქნება საკმარისი დამატებითი მტკიცებულება (მუხლები 10.2.1.1 და 10.2.3), რომ ეს კონკრეტული ანტიდოპინგური წესების დარღვევა არ იყო განზრახ ჩადენილი; და ამგვარად მისი არაუფლებამოსილების პერიოდი ნაცვლად 4 წლისა იქნება 2 წელი (მუხლი 10.2.2).
2. მეორე ეტაპზე საქმის მომსმენი კომისია გაანალიზებს გამართლებულია თუ არა ბრალთან დაკავშირებული ვადის შეკვეცა (მუხლები 10.4 და 10.5). მნიშვნელოვანი ბრალის ან დაუდევრობის არარსებობის დებულების (მუხლი 10.5.2) საფუძველზე, რადგან ანაბოლიკური სტეროიდი არ წარმოადგენს მითითებულ ნივთიერებას, სანქციების მისაღები დიაპაზონი შემცირდება ორიდან ერთ წლამდე (ორწლიანი სანქციის მინიმუმ ნახევრამდე). შემდეგ საქმის მომსმენი კომისია განსაზღვრავს გამოსაყენებელ არაუფლებამოსილობის პერიოდს ამ დიაპაზონის ფარგლებში სპორტსმენის ბრალის ხარისხის საფუძველზე. (საილუსტრაციოდ დავუშვათ, რომ ამ კონკრეტულ მაგალითში კომისია სხვა შემთხვევაში მიუსჯიდა სპორტსმენს არაუფლებამოსილობის 16 თვიან პერიოდს).
3. მესამე ეტაპზე საქმის განმხილველი კომისია შეაფასებს შეჩერების ან შეკვეცის შესაძლებლობას 10.6 მუხლის შესაბამისად (შემცირება, რომელიც არ არის დაკავშირებული ბრალთან). ასეთ შემთხვევაში გამოსადეგია მხოლოდ მუხლი 10.6.1 (მნიშვნელოვანი დახმარება). (მუხლი 10.6.3 სწრაფი აღიარება აქ არ გამოდგება, რადგან არაუფლებამოსილების პერიოდი უკვე უფრო ნაკლებია ვიდრე მუხლი 10.6.3 გათვალისწინებული ორწლიანი მინიმუმი). მნიშვნელოვანი დახმარების დებულების საფუძველზე არაუფლებამოსილების პერიოდი შეიძლება შემცირდეს არაუფლებამოსილების თექვსმეტთვიანი პერიოდის ერთ მეოთხედამდე.* ამგვარად არაუფლებამოსილების პერიოდის მინიმუმალური ვადაა ოთხი თვე. (ილუსტრირების მიზნით დავუშვათ, რომ ამ მაგალითში საქმის მომსმენი კომისია შეაჩერებს 10 თვიან პერიოდს, მაშინ არაუფლებამოსილების პერიოდი იქნება 6 თვე).
4. 10.11 მუხლის თანახმად, არაუფლებამოსილების პერიოდი პრინციპში იწყება საქმის მოსმენის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან. მაგრამ, რადგან სპორტსმენმა სწრაფად აღიარა ანტიდოპინგური წესის დარღვევა, არაუფლებამოსილების პერიოდის ათვლა შეიძლება დაიწყოს სინჯის აღების თარიღიდან, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში სპორტსმენმა უნდა მოიხადოს არაუფლებამოსილების პერიოდის მინიმუმ ნახევარი (ანუ სამი თვე) საქმის მოსმენის დასკვნის გამოტანის დღიდან (მუხლი 10.11.2).

5. რადგან ადგილი ქონდა არასასურველი ანალიტიკური მონაცემების აღმოჩენას, საქმის მომსმენმა კომისიამ უნდა მოახდინოს ამ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგის ავტომატური დისკვალიფიკაცია (მუხლი 9).

6. 10.8 მუხლის შესაბამისად, სპორტსმენის მიერ მიღწეული ყველა შედეგი, რომელიც მან უჩვენა სინჯის თარიღის ალების დღიდან მისი არაუფლებამოსილების პერიოდის მოხდის დაწყების დღემდე, აგრეთვე ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სამართლიანობა მოითხოვს სხვანაირ გადაწყვეტილებას.

7. 14.3.2 მუხლით მითითებული ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სპორტსმენი არასრულწლოვანია, რადგან გასაჯაროება არის ყველა სანქციის იძულებითი ნაწილი (მუხლი 10.13).

8. სპორტსმენს ეკრძალება ნებისმიერი სახით მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრში ან სხვა სპორტთან დაკავშირებულ საქმიანობაში სპორტსმენის არაუფლებამოსილების მთელი პერიოდის განმავლობაში (10.12.1 მუხლი). მაგრამ სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს თავის გუნდთან ერთად ვარჯიშებს, ან გამოიყენოს მისი სპორტული კლუბის სავარჯიშო დარბაზები არანაკლებ: (ა) სპორტსმენის არაუფლებამოსილების პერიოდის ბოლო ორი თვიდან ან (ბ) მისჯილი არაუფლებამოსილების პერიოდის ბოლო მეოთხედში (10.12.2 მუხლი). ამგვარად ჩვენ სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს ვარჯიშს მისი არაუფლებამოსილების პერიოდის ამუწურვამდე თვენახევრით ადრე.

მაგალითი 2 განსაზღვრული ნივთიერებება

ფაქტები: საშეჯიბრო პერიოდში ჩატარებული ტესტირებისას მიღებულია არასასურველი ანალიტიკური შედეგები სინჯში სტიმულანტის აღმოჩენის შედეგად, რომელიც წარმოადგენს მითითებულ ნივთიერებას (მუხლი 2.1); ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეძლო დაემტკიცებინა, რომ სპორტსმენმა შეგნებულად დაარღვია ანტიდოპინგური წესები; სპორტსმენი ვერ ამტკიცებს, რომ აკრძალული ნივთიერება გამოყენებული იყო არასაშეჯიბრო პერიოდში არა სპორტული შედეგების გაუმჯობესების მიზნით; სპორტსმენი სწრაფად არ აღიარებს ანტიდოპინგური წესის დარღვევას; ამასთან სპორტსმენი აღმოუჩენს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას მნიშვნელოვან დახმარებას.

სანქციების დაკისრება:

1. ათვლის წერტილად ითვლება 10.2 მუხლი. რადგან ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეძლო დაემტკიცებინა, რომ ადგილი ქონდა ანტიდოპინგური წესის შეგნებულად დარღვევას, ხოლო სპორტსმენი ვერ ამტკიცებს, რომ აკრძალული ნივთიერება ნებადართული იყო არასაშეჯიბრო პერიოდში, და რომ მისი გამოყენება არ იყო დაკავშირებული სპორტული შედეგების გაუმჯობესებასთან (მუხლი 10.2.3), არაუფლებამოსილების პერიოდი იქნება ოთხი წელი (10.2.1.2 მუხლი).
2. რადგან ადგილი ქონდა განზრახ დარღვევას, ვადის შემცირება ბრალის საფუძველზე შეუძლებელია (10.4 და 10.5 მუხლების გამოყენება შეუძლებელია). მნიშვნელოვანი დახმარების საფუძველზე სანქცია შეიძლება შეჩერდეს ოთხწლიანი ვადის სამ მეოთხედამდე.* ამგვარად, არაუფლებამოსილების მინიმალური პერიოდი იქნება ერთი წელი
3. 10.11 მუხლის თანახმად, არაუფლებამოსილების პერიოდის ათვლა დაიწყება საქმის მოსმენის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან.
4. რადგან არასასურველი ანალიტიკური მონაცემების აღმოჩენა მოხდა საშეჯიბრო პერიოდში, საქმის მომსმენი კომისია ავტომატურად გააუქმებს შეჯიბრში მიღებულ შედეგებს.
5. 10.8 მუხლის თანახმად, სპორტსმენის მიერ მიღწეული ყველა შედეგი სინჯის აღების თარიღიდან არაუფლებამოსილების პერიოდის დაწყებამდე აგრეთვე იქნება დისკვალიფიცირებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს სხვა გადაწყვეტილებას.
6. 14.3.2 მუხლიში მითითებული ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სპორტსმენი არასრულწლოვანია, რადგან გასაჯაროება არის ყველა სანქციის იძულებითი ნაწილი (მუხლი 10.13).
7. სპორტსმენს ეკრძალება ნებისმიერი სახით მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრში ან სხვა სპორტთან დაკავშირებულ საქმიანობაში სპორტსმენის არაუფლებამოსილების მთელი პერიოდის განმავლობაში (10.12.1 მუხლი). მაგრამ სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს თავის გუნდთან ერთად ვარჯიშებს, ან გამოიყენოს მისი სპორტული კლუბის ან სხვა წევრი ორგანიზაციის სავარჯიშო დარბაზები არანაკლებ: (ა) სპორტსმენის არაუფლებამოსილების პერიოდის ბოლო ორი თვიდან ან (ბ) მისჯილი არაუფლებამოსილების პერიოდის ბოლო მეოთხედში (10.12.2 მუხლი). ამგვარად ჩვენ სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს ვარჯიშს მისი არაუფლებამოსილების პერიოდის ამუწურვამდე ორი თვით ადრე.

მაგალითი 3.

ფაქტები: არასაშეჯიბრო პერიოდში ჩატარებული ტესტირებისას მიღებულია არასასურველი ანალიტიკური შედეგები სინჯში ანაბოლიკური ნივთიერებების აღმოჩენის შედეგად (იხ. მუხლი 2.1); სპორტსმენი ამტკიცებს მნიშვნელოვანი ბრალის ან დაუდევრობის არარსებობას; სპორტსმენი აგრეთვე ამტკიცებს, რომ არასასურველი ანალიტიკური შედეგები გამოიწვია დაბინძურებულმა პროდუქტმა.

სანქციების დაკისრება:

1. ათვლის წერტილად იქნება მუხლი 10.2. რადგან სპორტსმენს შეუძლია დაამტკიცოს დამატებითი მტკიცებულებების მეშვეობით, რომ მას არ ჩაუდენია ანტიდოპინგური წესების დარღვევა შეგნებულად, ანუ მას არ მიუძღვის მნიშვნელოვანი ბრალი დაბინძურებული პროდუქტის გამოყენებაში (10.2.1.1 და 10.2.3 მუხლები), არაუფლებამოსილების პერიოდი იქნება ორი წესი (მუხლი 10.2.2).
2. მეორე ეტაპზე საქმის მომსმენმა კომისიამ უნდა გაანალიზოს ვადის შემცირების ბრალთან დაკავშირებული შეძლებლობები (10.4 და 10.5 მუხლები). რადგან სპორტსმენს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ანტიდოპინგური წესის დარღვევა მოხდა დაბინძურებული პროდუქტის მოხმარების გამო, რომ მისი საქციელი მნიშვნელოვანი ბრალის ან დაუდევრობის არარსებობის განსაზღვრის შესაბამისია 10.5.1.2 მუხლის თანახმად, არაუფლებამოსილების პერიოდის მისაღები დიაპაზონი შემცირდება ორი წლიდან საყვედურის გამოცხადებამდე. საქმის განმხილველმა კომისიამ უნდა განუსაზღვროს სპორტსმენს არაუფლებამოსილების პერიოდის ხანგრძლივობა ამ დიაპაზონის ფარგლებში სპორტსმენის ბრალის ხარისხის საფუძველზე (საილუსტრაციოდ, ჩავთვალოთ, რომ ამ მაგალითში სხვა შემთხვევაში სპორტსმენი დაისჯებოდა არაუფლებამოსილების ოთხთვიანი პერიოდით).
3. 10.8 მუხლის შესაბამისად, არაუფლებამოსილების პერიოდის დაწყების მომენტისათვის სპორტსმენის მიერ ნაჩვენები ყველა შედეგი უნდა იყოს დისკვალიფიცირებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს სხვანაირ გადაწყვეტილებას.
4. 14.3.2 მუხლში მითითებული ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სპორტსმენი არასრულწლოვანია, რადგან გასაჯაროება არის ყველა სანქციის იძულებითი ნაწილი (მუხლი 10.13).
5. სპორტსმენს ეკრძალება ნებისმიერი სახით მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრში ან სხვა სპორტთან დაკავშირებულ საქმიანობაში, რომელიც იმართება ხელისმომწერი ორგანოს ან მისი ფილიალების ეგიდით, სპორტსმენის არაუფლებამოსილების მთელი პერიოდის განმავლობაში (10.12.1 მუხლი). მაგრამ სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს თავის გუნდთან

ერთად ვარჯიშებს, ან გამოიყენოს მისი სპორტული კლუბის ან სხვა წევრი ორგანიზაციის სავარჯიშო დარბაზები არანაკლებ: (ა) სპორტმენის არაუფლებამოსილების პერიოდის ბოლო ორი თვიდან ან (ბ) მისჯილი არაუფლებამოსილების პერიოდის ბოლო მეოთხედში (10.12.2 მუხლი). ამგვარად ჩვენ სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს ვარჯიშს მისი არაუფლებამოსილების პერიოდის ამუწურვამდე ერთი თვით ადრე.

მაგალითი 4.

ფაქტები: სპორტსმენს, რომელსაც მანამდე არასოდეს ქონია არასასურველი ანალიტიკური მონაცემები, და მის მიმართ არასოდეს არ წაუყენებიათ ანტიდოპინგური წესების დარღვევის ბრალი, სპონტანურად აღიარებს, რომ მან გამოიყენა ანაბოლიკური სტეროიდი თავის სპორტული შედეგის გასაუმჯობესებლად. სპორტსმენი აგრეთვე უზრუნველყოფს მნიშვნელოვან დახმარებას.

1. რადგან დარღვევა შეგნებული იყო, გამოსაყენებელია მუხლი 10.2.1, და მისასაჯი არაუფლებამოსილების პერიოდი უნდა იყოს ოთხი წელი.
2. ვადის შემცირება ბრალის საფუძველზე შეუძლებელია (10.4 და 10.5 მუხლების გამოყენება შეუძლებელია).
3. მხოლოდ სპორტსმენის სპონტანური აღიარების საფუძველზე (მუხლი 10.6.2) არაუფლებამოსილების პერიოდი შეიძლება შემცირდეს ოთხწლიანი ვადის ნახევრამდე. მხოლოდ სპორტმენის მიერ გაწეული მნიშვნელოვანი დახმარების საფუძველზე (მუხლი 10.6.1), არაუფლებამოსილების პერიოდი შეიძლება შეჩერდეს ოთხწლიანი ვადის სამი მეოთხედით.* 10.6.4 მუხლის შესაბამისად, სპონტანური აღიარების და გაწეული მნიშვნელოვანი დახმარების გათვალისწინებით, სანქციის ვადა ან შეჩერება შეიძლება მაქსიმუმ შემცირდეს ოთხწლიანი ვადის სამი მეოთხედით. ამგვარად არაუფლებამოსილების მინიმალური პერიოდი იქნება ერთი წელი.
4. არაუფლებამოსილების პერიოდი პრინციპში იწყება საქმის მოსმენის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან (10.11 თუ სპონტანური აღიარება გათვალისწინებულია არაუფლებამოსილების პერიოდის შემცირებისას, მაშინ არაუფლებამოსილების პერიოდის ათვლის ადრე დაწყება 10.11.2 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია. ასეთი პირობის მიზანია არ დაუშვას, რომ სპორტმენმა ორჯერ ისარგებლებს შეღავათით ერთიდაიგივე ფაქტორის გამო. მაგრამ, თუ არაუფლებამოსილების პერიოდის შეჩერება მოხდა მხოლოდ მნიშვნელოვანი დახმარების საფუძველზე, მაშინ 10.11.2 მუხლის

გამოყენება შესაძლებელია, და არაუფლებამოსილების პერიოდის ათვლა უნდა დაიწყოს იმ დღიდან, როცა სპორტსმენმა უკანასკნელად მოიხმარა ანაბოლიკური სტეროიდი.

5. 10.8 მუხლის თანახმად, ანტიდოპინგური წესის დარღვევის დღიდან არაუფლებამოსილების პერიოდის დაწყებამდე სპორტსმენის მიერ ნაჩვენები ყველა შედეგი უნდა იყოს დისკვალიფიცირებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს სხვანაირ გადაწყვეტილებას.

6. 14.3.2 მუხლი მითითებული ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სპორტსმენი არასრულწლოვანია, რადგან გასაჯაროება არის ყველა სანქციის იძულებითი ნაწილი (მუხლი 10.13).

7. სპორტსმენს ეკრძალება ნებისმიერი სახით მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრში ან სხვა სპორტთან დაკავშირებულ საქმიანობაში, რომელიც იმართება ხელისმომწერი ორგანოს ან მისი ფილიალების ეგიდით, სპორტსმენის არაუფლებამოსილების მთელი პერიოდის განმავლობაში (10.12.1 მუხლი). მაგრამ სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს თავის გუნდთან ერთად ვარჯიშებს, ან გამოიყენოს მისი სპორტული კლუბის ან სხვა წევრი ორგანიზაციის სავარჯიშო დარბაზები არანაკლებ: (ა) სპორტსმენის არაუფლებამოსილების პერიოდის ბოლო ორი თვიდან ან (ბ) მისჯილი არაუფლებამოსილების პერიოდის ბოლო მეოთხედში (10.12.2 მუხლი). ამგვარად ჩვენ სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს ვარჯიშს მისი არაუფლებამოსილების პერიოდის ამუწურვამდე ორი თვით ადრე.

მაგალითი 5.

ფაქტები:

სპორტსმენის დამხმარე პირი ეხმარება მას მოტყუებითი გზით გვერდი აუაროს სპორტსმენისათვის მისჯილი არაუფლებამოსილების პერიოდს, და შეყავს იგი შეჯიბრში ყალბი სახელით. სპორტსმენის დამხმარე პირი სპონტანურად აღიარებს ანტიდოპინგური წესის ამ დარღვევას (მუხლი 2.9) მანამდე, ვიდრე ანტიდოპინგური ორგანიზაცია შეატყობინებს მას ანტიდოპინგური წესის დარღვევის შესახებ.

დაკისრებული სანქციები

1. 10.3.4 მუხლის შესაბამისად, არაუფლებამოსილების პერიოდი შეადგენს ორიდან ოთხ წლამდე, დარღვევის სიმძიმის მიხედვით. (საილუსტრაციოდ დავუშვათ, რომ ამ მაგალითში საქმის მომსმენი კომისია სპონტანური აღიარების გარეშე დააკისრებდა სპორტსმენის დამხმარე პირს სამწლიან არაუფლებამოსილების პერიოდს).
2. ამ შემთხვევაში არ არსებობს ბრალთან დაკავშირებული ვადის შემცირების შესაძლებლობა, რადგან განზრახულობა წარმოადგენს 2.9 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის ელემენტს (იხ. 10.5.2 მუხლის კომენტარი).
3. 10.6.2 მუხლის შესაბამისად, თუ აღიარება არის ერთადერთი სანდო მტკიცებულება, არაუფლებამოსილების პერიოდი შეიძლება შემცირდეს ნახევრამდე (საილუსტრაციოდ დავუშვათ, რომ საქმის მომსმენმა კომისიამ შეამცირა არაუფლებამოსილების პერიოდი 18 თვემდე).
4. 14.3.2 მუხლში მითითებული ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სპორტსმენი არასრულწლოვანია, რადგან გასაჯაროება არის ყველა სანქციის იძულებითი ნაწილი (მუხლი 10.13).

მაგალითი 6.

ფაქტები: სპორტსმენს დაეკისრა სანქცია ანტიდოპინგური წესის პირველად დარღვევისათვის არაუფლებამოსილების თოთხმეტოვანი პერიოდის სახით, რომელთაგანაც ოთხი თვე შეჩერებული იყო მნიშვნელოვანი დახმარების საფუძველზე. ეხლა სპორტსმენი მეორედ არღვევს ანტიდოპინგურ წესებს, რადგან მისმა საშეჯიბრო პერიოდში გაკეთებულმა ტესტმა უჩვენა სინჯში სტიმულანტის არსებობა, რომელიც არ არის მითითებული ნივთიერება (მუხლი 2.1); სპორტსმენი ამტკიცებს მნიშვნელოვანი ბრალის ან დაუდევრობის არარსებობას; სპორტსმენი უზრუნველყოფს მნიშვნელოვან დახმარებას. ეს რომ წესების დარღვევის პირველი შემთხვევა ყოფილიყო, საქმის გამხილველი კომისია მიუსჯიდა სპორტსმენს თექვსმეტოვანი არაუფლებამოსილების პერიოდს და ექვსოვანი შეჩერებას მნიშვნელოვანი დახმარებისათვის.

დაკისრებული სანქციები:

1. წესების მეორედ დარღვევისათვის გამოიყენება მუხლი 10.7, რადგან შეიძლება გამოვიყენოთ მუხლები 10.7.4.1 და 10.7.4.5.

2. 10.7.1 მუხლის შესაბამისად არაუფლებამოსილების პერიოდი უნდა აღემატებოდეს:

(ა) ექვს თვეს;

(ბ) პირველი ანტიდოპინგური წესის დარღვევისათვის მისჯილი არაუფლებამოსილების პერიოდის ნახევარს 10.6 მუხლით გათვალისწინებული შემცირების გაუთვალისწინებლად (ამ შემთხვევაში ეს იქნება 14 თვის ნახევარი, ანუ შვიდი თვე); ან

(გ) არაუფლებამოსილების პერიოდი ანტიდოპინგური წესის მეორედ

დარღვევისათვის, რომელიც განიხილება როგორც პირველად

დარღვევა, ორმაგდება 10.6 მუხლით გაწერილი შემცირების

გაუთვალისწინებლად (ამ მაგალითში ეს იქნება 16 თვე

გამრავლებული ორზე = 32 თვე).

ამგვარად არაუფლებამოსილების პერიოდი ანტიდოპინგური წესების მეორედ დარღვევისათვის იქნება (ა), (ბ) და (გ) ქვეპუნქტებში მითითებულ ვადებზე უფრო მეტი, და შეადგენს 32 თვეს.

3. შემდეგ ეტაპზე საქმის განმხილველი კომისია შეაფასებს შეჩერების ან შემცირების შესაძლებლობას 10.6 მუხლის შესაბამისად (ბრალთან დაუკავშირებელი შემცირებები). წესების მეორედ დარღვევის შემთხვევაში, მხოლოდ 10.6.1 მუხლის (მნიშვნელოვანი დახმარება) გამოყენებაა შესაძლებელი. მნიშვნელოვანი დახმარების საფუძველზე არაუფლებამოსილების პერიოდი შეიძლება შემცირდეს 32 თვიანი ვადის სამი მეოთხედით.* არაუფლებამოსილების მინიმალური პერიოდი ამგვარად შეადგენს რვა თვეს. (საილუსტრაციოდ, დავუშვათ, რომ ამ მაგალითში საქმის მომსმენმა კომისიამ გადაწყვიტა არაუფლებამოსილების პერიოდის რვათვიანი შეჩერება მნიშვნელოვანი დახმარებისათვის, რაც ამცირებს დაკისრებულ არაუფლებამოსილების პერიოდს ორ წლამდე).

4. რადგან არასასურველი ანალიტიკური შედეგი მიღებულ იქნა საშეჯიბრო პერიოდში, საქმის განმხილველი კომისია ავტომატურად გააუქმებს შეჯიბრში მიღწეულ შედეგს.

5. 10.8 მუხლის შესაბამისად, სპორტსმენის მიერ მიღწეული ყველა შედეგი სინჯის აღების დღიდან არაუფლებამოსილების პერიოდის დაწყებამდე აგრეთვე ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სამართლიანობის პრინციპი თხოულობს სხვაგვარ გადაწყვეტილებას.

6. 14.3.2 მუხლში მითითებული ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სპორტსმენი არასრულწლოვანია, რადგან გასაჯაროება არის ყველა სანქციის იძულებითი ნაწილი (მუხლი 10.13).

7. სპორტსმენს ეკრძალება ნებისმიერი სახით მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრში ან სხვა სპორტთან დაკავშირებულ საქმიანობაში, რომელიც იმართება ხელისმომწერი ორგანოს ან მისი ფილიალების ეგიდით, სპორტსმენის არაუფლებამოსილების მთელი პერიოდის განმავლობაში (10.12.1 მუხლი). მაგრამ სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს თავის გუნდთან ერთად ვარჯიშს, ან გამოიყენოს მისი სპორტული კლუბის ან სხვა წევრი ორგანიზაციის სავარჯიშო დარბაზები არანაკლებ: (ა) სპორტსმენის არაუფლებამოსილების პერიოდის ბოლო ორი თვიდან ან (ბ) მისჯილი არაუფლებამოსილების პერიოდის ბოლო მეოთხედში (10.12.2 მუხლი). ამგვარად ჩვენ სპორტსმენს შეუძლია დაუბრუნდეს ვარჯიშს მისი არაუფლებამოსილების პერიოდის ამუწურვამდე ორი თვით ადრე.

*გამონაკლისი გარემოებების შემთხვევაში სადს-ის თანხმობით, არაუფლებამოსილების პერიოდის შეჩერების მაქსიმუმი შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე სამი მეოთხედი, ხოლო შეტყობინება და გასაჯაროება შეიძლება გადაიდოს.